



მეუკლესანი

სამთავროს წმიდა ნინოს ღვლამა მონასტრის პერიოდული გამოცემა.
ქუჩნალი გამოცემის 2010 წლის 5 ივნისიდან, სამ თვეში ერთხელ.

28 აპრილი 2012. №2(8)



„მიმუარან მაყუალნი ებე უმედი
და მუნ მენეკას გონეპითა“

წმიდა მეფე გიორგი

იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით

„როცა ვფიქრობთ იმაზე, თუ რა არის ქართული იდეა, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართველი ერის დანიშნულებაა – იქადაგოს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ხომ არსებობს წინასწარმეტყველება, რომ საქართველო, ქართველი ერი უკანასკნელ ჟამს გაბრწყინდება. ვიცით სახარებიდან, რომ უკანასკნელ ჟამს ყველგან დაეცემა რწმენა, ზნეობა, საქართველო კი ღვთის მადლითა და წყალობით გაბრწყინდება და ჯილდოდ ამისა, როგორც დიდი მამა და მოღვაწე ამბობს, მეორედ მოსვლის ჟამს მთელი ქვეყნიერება განიკითხება „ქართულითა ენითა“. ეს იქნება კიდევ ერთი მადლი, რომელსაც მოგვანიჭებს უფალი. მადლობას ვწირავთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას, რომელმაც იწება, რომ იყოს პატრონი საქართველოსი...“

უწმიდესი და უნეტარესი
ილია II

ISSN 1987-5207

ISBN 9771987520003

უპაკ (UDC) 27 + 271.2

მ – 407

| | | |
|---|---|---|
|  | სსამგვრდ შპრენალ-გაგვითჲაის სარმენეზიო სამსახური ძირითადი რეგისტრაციის №..... | მიმდინარე რეგისტრაციის № 8 13.04.12. თარიღი |
| | დასახელება: <i>ქუჩისა და მუყაოვანი</i> რეცენზენტი: <i>მ.ჩიბრაძისი ვახუ კაცნიტი</i> | |

შინაარსი

| | |
|---|---|
| ეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი) ქართველთა შესანიშნავი ჯვარის მონასტერი.....7 | ვაჟა კიკნაძე გიორგი ბრწყინვალე და ქართული ეკლესია.....40 |
| არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე) საკვირაო ქადაგება.....11 | გულნაზ ბარათაშვილი ნანა ბურჭულაძე სამთავროს ნაქარგი ხატი.....45 |
| მართლმადიდებლობის ზეიმი აჭარაში.....13 | „გამოჩნდა ქვის საოცარი ოსტატი“.....51 |
| მარიამ (მარინე) ნიაური მამა დავითის ცრემლები.....20 | „ცხადი ღიდებამ მაყვლოვანთა მათ“.....55 |
| გიორგი ნოზაძე ივერიელთა მონასტერი ათონზე.....27 | |

რედაქტორი: მარიამ (მარინე) ნიაური
სარედაქციო კოლეგია:
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)
იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი),
მონოზონი სოსანა (კუპრეიშვილი).
პასუხისმგებელი მდივანი:
მორჩილი მარიამი (იაკობაძე).

მისამართი: მცხეთის სამთავროს
წმიდა ნინოს დედათა მონასტერი.
მირიან მეფის ქუჩა N 3
ტელ: 893 76 31 87; 893 30 07 07
ელ.ფოსტა: samtavrosmonasteri@yahoo.com
ანგარიშის ნომერი: GE65BG0000000158107700



მირონმდინარე ცხოველმყოფელი სვეტი

სამთავროს წმიდა ნინოს
დედათა მონასტრის ხატი (XIX ს.)



* * *

„საუკუნის მეოთხედი შეერთვა დროის სწრაფმავალ დინებას დღიდან თქვენი აღსაყდრებისა და ამ ხნის მანძილზე დაუღალავი შემართებით აღასრულებთ ღვთიურ მისიას, რომელშიც გაერთიანებულია არა მხოლოდ კათოლიკოს-პატრიარქის, არამედ მირონცხეული მეფის უწმიდესი და უდიდესი მოვალეობანი წინაშე ღვთისა და წინაშე ერისა, რამეთუ მოსე წინასწარმეტყველის მიერ უღაბნოდ აღპყრობილი ორი ხელი, წმიდა მამათა განმარტებით, მოიაზრება ერის უფალთან ზეადმყვანებელ ორ ფრთად – მეფედ და პატრიარქად. დღეს კი საქართველო მირონცხეული მეფის გარეშეა და ამ უკანასკნელის უხილავ ჯვარსაც საკუთარი მხრებით ეზიდებით გოლგოთის ეკლიან აღმართზე, ეზიდებით თავმდაბლობით, სიყვარულით, მოთმინებით და თქვენს მიერ განვლილი გზის შემყურეთ თქვენივე სიტყვები გვახსენდება: „ჭეშმარიტებასთან წილნაყარ კაცზე დიადი არაფერია“.

რუის-ურბნისის მიტროპოლიტი მეუფე იობი (აქიაშვილი)



* * *

„დღეს, როცა ასეთი რთული პერიოდია გლობალიზაციის, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ განმტკიცდეს მართლმადიდებელი სარწმუნოება მთელს მსოფლიოში და შევინარჩუნოთ ის ფასეულობანი, რომელნიც ჩვენ საუკუნეების მანძილზე გვქონდა.“



* * *

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წინასწარმეტყველ მეფე დავითს ცრემლით და ლოცვით გადააფარა ოქრომკედის საფარველი და ქართული სამეფო დინასტიის – იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატიონების წინაპარს შეავედრა საქართველო.

QARTVELTA SESANISNAVI JVARIS MONASTERI

ოთხშაბათი, 9 ივნისი. ამ დღეს ვნახე და მოვილოცე ჯვარის მონასტერი, რომელიც კშორავს იერუსალიმს სამი ანუ ოთხის ვერსით. თითონ ბერძენნი უწოდებენ ამ სავანეს ქართველთა მონასტრად. ამის ხილვამ ამიშალა სულის დიდი მწუხარება. ოდესმე სახელოვანს, დიდებულ ქართველთა ერსა იერუსალიმში ჰქონდა 18 მონასტერი და აწ არცა ერთიღა მოგვეპოვება! ვაი, ჩვენს დაკნინებას! ამ მონასტერში ეხლა სასულიერო სემინარიაა, სადაც იღებს განათლებას შვიდს ენაზედ ბერძენთა და არაბთა ახალგაზრდობა. ვისისა და რა საშუალებით ინახება ეს სასწავლებელი? ამ მონასტერს, ქართველ მეფეთაგან აღშენებულს, მესუთე საუკუნეში მათგანვე აქვს შეწირული ქალაქ ტფილისში მამული, წოდებული „ჯვარის მამისად“. აქ, ტფილისში, არის ეკლესია, გარშემო სახლები და დუქნები, მისი კუთვნილი: აი, ამ დუქნებისა და ეკლესიის შემოსავლით, უცხოეთში ინახება სემინარია, უცხო ტომთა აღსაზრდელად და განსანათლებლად. შარშან საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭომ წინადადება მისცა ამ ეკლესიის წინამძღვარს, არქიმანდრიტს სოფრონსა, ტომით ბერძენსა, რათა ეკლესიის ეზოში გაჰმართოს სამრევლო საეკლესიო სკოლა; ხოლო მან მოახსენა საბჭოს წინადადება პატრიარქსა; იერუსალიმის სინოდმა განიხილა რა ეს თხოვნა, რასაკვირველია, უარყო შესრულება ამ გვარის წმიდა მოვალეობისა, ვითარც არს ყრმათა საღმრთო სჯულის სწავლება ეკლესიის მფარველობის ქვეშ. როგორც ზევით იყო თქმული, ივნისის 2-ს პირადად მოვახსენე მის უნეტარესობას ეს საქმე და ვნახოთ რა გამოვა?... 1897-1898 წელსა, ოსმალთა და ბერძენთა შორის ბრძოლის დროს, კრიტის კუნძულიდამ დეკემბით უბრძანებდნენ ჯვარის მამის წინამძღვარს არქიმანდრიტს ტფილისში, რათა აქაური საეკლესიო შემოსავლიდან გაეგზავნა ფული ომის გასაგრძელებლად; ხოლო აქაური საეკლესიო სკოლის შასანახავად კი არ მოეპოვებოდათ, არცა ბინა და არცა სხვა ღონისძიება!

XVIII საუკუნის ნახევრამდის ყოფილან ჯვარის მონასტერში ქართველნი წინამძღვრად და მამანიცა. მე ვნახე ერთი საბუთის ქაღალდი ათონის ქართველთა სავანეში, რომლიდანაც ცხადად ჩანს, რომ კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის პატრიარქთა სრულიად გადაუხდიათ ვალები, რაოდენიც ყოფილა ამ სავანეზედ. გარდაუხდიათ შემოწირულებითა,

რომელიც საქართველოს მეფისა, პატრიარქისა და ერისაგან მიუღიათ, და დანაშთენიც ვითომც თითონ დაუმატებიათ, და აცხადებენ ამ ქაღალდით, რომ შეუძლიათ ქართველთა მიიღონ თავის მფლობელობაში ეს მონასტერი. ეს გარდაწვევტილების პირი გადმოღებულია კონსტანტინეპოლის საპატრიარქო არქივიდან და ეს დადგენილება არის თარიღით 1702 წელს, თარგმნილი რუსულად და დაბეჭდილი; და ეხლა ერთს უბრალო ოთახსაც არ გვითმობენ ჩვენს სამშობლოში, ჩვენის შვილების აღსაზრდელად, არ გვითმობენ იმ მამულიდგან, რომელიც საქართველოს მეფეს შეუწირავს ქართველთა სავანესა და ძმათათვის, ხოლო თითონ ბერძენნი სუქდებიან ჩვენის პურითა, ღვინითა და სხვა სიკეთითა. აი ამას შეიძლება ვუწოდოთ სიტყვით – ოქროს მთების ბოძება, და საქმით – თიხისაც არ მიცემა.

ჯვარის მონასტერს გარშემო ავლია ოთხკუთხიანი მკვიდრი ქვითკირის გალავანი, დასაცველად და უშიშარსაყოფელად მონაზონთა თავს დასხმისაგან მტერთა და ავაზაკთაგან. მონასტრის ეკლესია მშვენიერის გუმბათით არის განათებული ზევიდამ; იატაკი მოფენილია მოზაიკითა ანუ ფერადის მარმარილოთი, რომელზედაც შესავალთან, სტოვაში, ეკლესიის კარების წინ მოსჩანან ცხადად შავი ნიშნები – ვითარცა კვალნი სისხლისა, აქ მოწყვეტილთა, ქრისტეს სარწმუნოებისათვის, მონაზონთა სარკინოზთაგან. მთელი კედლები ეკლესიაში არის დასურათებული მხატვრობითა ძველისა და ახლის აღთქმათა მოთხრობებითა. უკანასკნელად, განუახლებია ეს ტაძარი 1644 წელსა სამეგრელოს მთავარს, ლევან დადიანსა. საშუალ ეკლესიისა, ირგვლივ მარმარილოს იატაკზედ აწერია ქართულის ასომთავრულით სახელი განმაახლებლისა, მხოლოდ გადაცვეთილია ფერხთაგან და ძნელად წაიკითხება.

საუფლო ჯვარის ძელისათვის, რომლის სახელზედაც არის დაფუძნებული ეს წმიდა სავანე, აღმოსავლეთის გარდმოცემანი, და ერთი სირიული აპოკრიფული წერილი, მოგვითხრობენ შემდეგსა: ერთს დროსა, როდესაც ლოტმა შესცოლა, წარვიდა იგი, რათა აღეარებინათვისი შეცოდება წინაშე აბრაამ მამამთავრისა. შემდეგ მოსმენისა ლოტის მძიმედ შეცოდებისა, აბრაამმა გამოიღო ცეცხლიდან სამი მუგუზალი, რომელნიც იყვნენ კვიპროსისა, ნაძვისა და სოჭისა და უბრძანა ლოტსა: დანერგე ეს მუგუზალნი და მორწყე; უკეთუ



იერუსალიმი. ქართველთა ჯვარის მონასტერი.

ეს მუგუზლები იხარებენ და გაიზრდებიან, ეს იქნება ნიშნად მიტევებისა შენის მიძიმე ცოდვისა. ლოტმა შეასრულა ესრეთ, ვითარცა უბრძანა მას ბიძამან; მუგუზლები განედღდენ, აღმოსცენდენ და შეერთდენ ერთ ხედ. სოლომონ მეფის ტაძრის აღშენების დროს იქმნა მოჭრილ ეს ხე, მაგრამ რადგანაც არ გამოდგა შენობისათვის, იგი იქმნა დატევებულ უხმარებელად. ხოლო მაცხოვრის ჯვარცმის დროს, საკუთარის განგებითა დვთისათა, იგი იქმნა მოღებულ და ხმარებულ ჯვარის მოსამზადებლად, რომელზედაც ჯვარცმულ-იქმნა უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

მეორე გარდამოცემა მოგვითხრობს შემდეგსა: როდესაც პირველი მამა ადამ მიძიმედ დასნეულდა, მან წარავლინა სეით, ძე თვისი, ედემსა, რათამცა ეთხოვნა წამალი საკურნებელად უძღურებისა. ანგელოზმა, რომელიც იცავდა სამოთხის ბჭეთა ცეცხლის ხრმალითა, წამლის მაგიერ მისცა მას სამი თესლი: კვიპაროსის, ნაძვის და სოჭისა. მაგრამ სეითის მობრუნებამდის უკვე გარდაიცვალა ადამ. სეითს მოუვიდა აზრად დათესვა ამ სამის თესლისა მამის საფლავზედა. ამ სამის თესლისაგან აღმოსცენდა შემდეგ ერთი დიდი ხე. როდესაც აშენებდნენ სოლომონის ტაძარსა და ყოველის მხრიდგან შეჭკრებადნენ უმჯობეს მასალათა, მაშინ ეს ხეც იქმნა მოკვეთილ; მაგრამ გამოჩნდა იგი ხმარებისათვის უვარგისად; ამისათვის იგი იქმნა გადაგებულ მახლობელს სილოამის საბანელში ხიდათ, რომლითაც გადადიოდნენ მეორე ნაპირზედ. როდესაც უფალსა იესო ქრისტეს მიუსაჯეს ჯვარცმით სიკვდილი, მაშინ ურიათა მონღლომეს მიძიმე ხისაგან შემზადება ჯვა-

რისა მათ მიერ მოძულებული-სა რაბინისათვის (მოძღვრისა) და აღირჩიეს ეს ხე, ვითარცა ყველაზე უმძიმესი, რადგანაც მთელი საუკუნოები იდვა წყალში.

ეს გარდამოცემა, შეწყნარებული მამათა მიერ ეკლესიისა და წმიდა იოანე დამასკელის მიერ და სხვათა გალობის მოხვედრითა, ქრისტეანობრივის ეკლესიისა, შეიქმნა საფუძველად აღშენებისა ამ ადგილზედ სავანისა და სახელწოდებისა მისისა მონასტრად, პატიოსნისა და ცხოველსყოფელისა ჯვარისა.

მონასტერს გარშემო აქვს მშვენიერი ვენახი, და ბაღიც ლიმონისა, ფორთოხალისა,

ლელვისა და ბროწეულისა. შიგ,

მონასტრის ეზოს ამშვენებს დიდებული კვიპაროსის ხე ოცის საუენის სიმადლისა.

იერუსალიმის ჯვარის მონასტრის იღუმენი დაინიშნებოდა ქართველთ მეფისაგან. იგივე იღუმენი ირიცხებოდა წინამძღვრად გოლგოთისა და იგზავნებოდა იგი საქართველოდამ; იგი განაგებდა ყოველსავე: ქართველთა შენობებსაც და მონასტრების ძმობათაც პალესტინაში; ამ იღუმენის შუამავლობით საქართველოს მეფესა ჰქონდა მიწერ-მოწერა იერუსალიმის პატრიარქთან. უფლის საფლავზედ 1049 წელსა უკვე იყო ქართულ ძმათა კრებული.

მახლობლად ჯვარის მონასტრისა, ესრეთ წოდებულ „ვარდის ღელესა“, არს დაბა „მალხა“, სადაც სცხოვრობს 600 სული ორივე სქესისა; ამბობენ, რომ ეს მცხოვრებნი არიან შთამომავალნი აქ გადმოსახლებულთა ქართველთა მეფე ვახტანგ გორგასლანის დროსა, მეხუთე საუკუნეში, დასაცველად ჯვარის მონასტრისა მტერთა დაცემისაგან. მათ დაუვიწყებიათ მშობლიური ენა და სარწმუნოებაცა მამა-პაპათა; მაგრამ გარდამოცემით იციან, რომ იგინი არიან შთამომავალნი შორეულ ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულთა და უწოდებენ თავის თავსა „გურჯებად“ – ქართველებად; და გარეშე მცხოვრებნი არაბნიც ისე უყურებენ, ვითარცა მოსულსა უცხო ტომსა. იგინი ლაპარაკობენ არაბულად, რაოდენამე თათრულად და ბერძნულადაც. იგინი იცავენ ჯვარის მონასტერს და ემსახურებიან მას. იგინი სარგებლობენ საკუთარის უფლებითა, შეიმუშავონ მონასტრის მინდვრები და ვენახები და აძლევენ მონასტერსა მხოლოდ მესამედს ნაწილს შემოსავლისას. მონასტერს არ შეუძლიან ეს საქმე გადასცენ სხვათა, რომ უსია-

მოვნება არ გამოიწვიოს მალხის მცხოვრებთა შორის. სახითა, ზნეობითა და ჩვეულებითა იგინი განსხვავდებიან გარეშე მცხოვრებთა არაბის ტომისაგან.


იერუსალიმში მიღებულია წესად ყოველს ეკლესიებში ხმარება, აიაზმის მარტივის წყალის მაგიერ, ვარდის წყალით მომზადებული-სა. ქრისტეს საფლავის წინაშე მლოცველთა შესვლის და გამსოვლის დროს ასხურებენ ვარდის წყალის აიაზმითა ვერცხლის სურ-რიდამ. მახლობლად სოფლის მალხისა არს ვრცელი „ვარდის დელე“; ამ სოფლის მცხოვრებნი მისდევენ ბლომად ვარდის მოყვანას და იგინივე შეამზადებენ ვარდის წყალსა, და აქედან ეგზავნებათ ვარდის წყალი აიაზმად სახმარებლად და ტრაპეზის კურთხევაზედ განსაბანელად სრულიად პალესტინაში და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოშიაც.

თავადს გიორგი ავალიშვილს ჯვარის მონასტერში, ტრაპეზის ძირს, სადაც მოსჩანს ძირკვი ამ ადგილზე მოკვეთილი ძელისა, რომელზედაც ჯვარს ეცვა უფალი იესო ქრისტე, უხილავს ქართული წარწერა, რომელიც ეხლა სრულიად მოსპობილია. ამ თავადს წამოუღია აქედან 15 ქართული წიგნი, დაბეჭდილი და დაწერილი ეტრატზედ 1820 წელს.

ამ დროებით, ჯვარის მონასტერშიდა დარჩენილა ქართული წარწერანი, რომელნიც სხვა მონასტრებში სრულიად ამოუფხვრიათ; ეკლესიის დასავლეთის კარების თავზედ, შიგნიდან არის წარწერა ქართული ასომთავრულით, ამისვე მეორე ნახევარზედ იგივე – ბერძნულად.

მარცხნივ მხარეს, სვეტზედ, კვალად ქართული წარწერაა, საშუალო სვეტზედ – ეგრეთვე; მხოლოდ, ამ ადგილზედ ახლად ხის კიბე გაუმართავთ კათედრაზედ, ვითარცა ქანდარაზედ ასასვლელად, სახარების წასაკითხავად, ვითარცა არს მიღებული ეს წესი ბერძენთა ეკლესიაში მე-15 საუკუნიდამ; და ამ კიბეს ჯერეთ შეუღებავს, დაუფარავს ზედ შუაზედ ქართული წარწერა. ამის წამწერელი ევედრება მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოსთა; საშუალო იატაკზედ მრგვალად არის ქართული წარწერა. უკანასკნელად ეს საგანე განუახლებია სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს, რომელსაც ბერძენნი და რუსის მწერალნი შეცდომით უწოდებენ „ტატიანი, საქართველოს ბრწყინვალე ხელმწიფე“. საკურთხეველში, ორსავე მხარეს კედლები შეღესილია თეთრად. ცხადია, აქ ქართველთა წმიდანების სახენი წაბღალულ და დაფარულია. მე რომ გულმწუხარედ ვუყურებდი, ესევითარ მტარვალბო-სა და გავუზიარე ჩემის სულის მჭმუნვარება, რუსის დეკანოზს, მან ჰკითხა ეკლესიის მოსამსახურე ბერძენს: ეს კედლები ნახევრად რად არის გათეთრებულიო? უბუნურმა მოგვიგო:

„ეს ოსმალთ გაათეთრესო“. თითქოს ოსმალთათვის ერთი და იგივე არ იყოს ბერძენთა და ქართველთა წმიდანები. ტრაპეზის ქვეშ არს ირგვლივ ნახევრები ადგილი, რომელზედაც მოუჭრიათ სამგზის სანატრელი ხე ქრისტეს ჯვარცმისათვის. ამ კედლის უკან უჩვენებენ ძირს იმ ხისას. ამაზედაც ბერძნული წარწერა დაშთენილა და ქართული ამოუფხვრიათ. მხილველს ამ ბოროტმოქმედებისას უნებურად მოაგონდება ფსალმუნის სიტყვები: „საჯენ უფალო, მავნებელნი ჩვენნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩვენთა“ (ფსალ. 34,1); ანუ იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადების სიტყვანი: „უკეთუ ვინმე მოაკლოს სიტყვათა წიგნისა ამის ცხოვრებისათა, მოაკლენ ღმერთმან ნაწილი მისი წიგნისა მისგან ცხოვრებისა“ (გამოცხად. იოან. 22,18). საზოგადოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა მონასტერში, რომელიც კი დაფუძნებულია ქართველთაგან, ბერძენნი სპობენ ყოველს კვალსა ქართველ-



ლოტი რწყავს ჯვარის ხეს.

თა მოღვაწეობისას; დასავლეთის კარებთან, მარცხენით კერძო, დარჩენილან დახატულნი კედელზედ ობლად მხოლოდ ორნი ღირსნი მამანი ევთიმი და გიორგი; ამათაც მხოლოდ ბერძნული წარწერა აქვთ. დავვარდი წინაშე მათსა და გულმხურვალედ შევავედრე იგი ერი, რომლისაც შვილნი იგინი იყვნენ და გაუნათლებდენ ცხოველის სარწმუნოებითა კეთილმსახურების გზასა თვისს სამშობლო-სა. და აწცა არიან იგინი მეოხნი მხურვალენი წინაშე ზეციურის მეუფისა, ქართველის ერი-სათვის. გულით ვეძებე შოთა რუსთაველის სურათი და ძლივს შევნიშნე მარჯვენა მხ-



წმიდა მეფე მირიანი, წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი და მეფე ბაგრატ კურაპალატი.
(იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კედლიდან გადმოიღო ეპისკოპოსმა ტიმოთე გაბაშვილმა).

არეს სვეტზედა, რადგანაც წაბღალულია ზედ წარწერა მას ზედა. არაფერი ნაშთი ქართული მწიგნობრობისა არ მაჩვენეს ამ მონასტერში და დიდად გულნატკენი დავბრუნდი იქიდან ბინაზედ.

შემადგენელი რუსულს ენაზედ წიგნისა „მაჩვენებელი გზისა პალესტინაში“ შეცდომით უწოდებს წმიდა კონსტანტინე მოციქულთასწორის თანამედროვეს „ივერიის პრინცი მარიამით“, აქ უნდა ვიგულისხმოთ საქართველოს მეფე მირიანი¹. ამასვე (მირიანს – რედ.) მიაწერს საქართველოს ისტორია პირველ სამლოცველოს აღშენებას გოლგოთაზედ. აგრეთვე სრულიად შეცდომით სწერს ზემოსხენებული წიგნის გამოძეგმი რუსულ ენაზედ, ვითომც ქართველთ ძმათაგან გაყიდული ვალებში ჯვარის მონასტერი, გამოისყიდა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა, თავისის საფასითა, ბერძენთა სასარგებლოდ. ამ მწერალს არ სცოდნია არსებობა ზემოსხენებულის საბუთისა, რომლიდგანაც ცხადად სჩანს, რომ ჯვარის მონასტერი დაიხსნეს ვალისაგან იმ შემოწირულობით, რომელიც უძღვნეს საქართველოს მეფემ, პატრიარქმა, მთავარმა და ქართველმა ერმა; დამატებით კი თავისი ჯიბიდან, ბერძენთა პატრიარქები არას დაუმატებდნენ.

არავითარის სულთანის ფირმანით ჯვარის მონასტერი არ იქნება გარდაცემული და დამტკიცებული ბერძენთა საკუთრებად, როგორც შეცდომით იხსენიებს რუსის მწერალი; მისათვის, რომ ეს ცნობა ეწინააღმდეგება ზემოსხენებულს გარდაწვევტილებას იერუსალიმისა და კონსტანტინეპოლის პატრიარქებისას. ამ მონასტერს დღესაც ბერძენნი უწოდებენ ქართველთა სავანედ. რუსის მწერალი ამბობს კვალადცა შეცდომით, რომ წარწერა ხატებზედ

1. ცნობილია, რომ ჯვარის მონასტრის მიწა მოციქულთასწორ მეფე მირიანს, უშუალოდ მოციქულთასწორმა კონსტანტინე დიდმა შეწირა. ამისთვის ცდილობდნენ წმიდა მეფე მირიანის სახელის მიჩქმალვას (რედ.)

ჯვარის მონასტერში ქართულადაც არის; ხოლო მე ერთიც ვერა ვნახე წარწერა ხატებზედ ქართულად, მხოლოდ კედლებზედ სამს ადვილას არის წარწერა ქართულად, ეგრეთვე იატაკზედა. მაშასადამე, შესაძლებელია, რომ შემდეგ მოუსპიათ ბერძენთა ქართული წარწერანი ხატებზედა. არა რომელისამე კლასიკურის მწერლის² სურათი არ მოიპოვება ამ მონასტერში, როგორც ამბობს რუსის მწერალი, ვითომც, პლატონ ფილოსოფოსის სურათი ენახოს შიგ ეკლესიაში. ეგრეთვე, არც იმას იხსენიებს რუსის მწერალი თავის წიგნში, რომ ამ ჯვარის მონასტერს ქალაქ ტვილისში აქვს შეწირული ქართველთა მეფეთაგან მამული, რომელზედაც არის აღშენებული ეკლესია და გარემოს მისსა რამდენიმე დუქანი; ამათის შემოსავლით ბერძენნი სარგებლობენ და ინახავენ სემინარიას იმავე ჯვარის მონასტრის ეზოში.




იერუსალიმის ჯვარის მონასტერი.
წმიდა მაქსიმე აღმსარებელი, წმიდა იოანე დამასკელი და შოთა რუსთაველი.

18 მონასტერში, რომელნიც ქართველთ აღუშენებიათ იერუსალიმში, მხოლოდ ჯვარის მონასტერსლა შერჩენია სახელი ქართველთ სავანისა და ამის ცნობასაც სწორედ არა სწერს რუსის მწერალი. იაკობ ზებედეს მოციქულის მონასტერს იერუსალიმში დიდად აქებს, კეთილმდგომარეობით, რუსის მწერალი. იგი აწ სომეხთა პატრიარქის მეტოქიად ითვლება; ესეც ქართველების სავანე ყოფილა და ამაზედაც სრულიად არას ამბობს რუსის მწერალი.

„მოგ ზაურობა იერუსალიმსა და ათონის მთაზე“ თბილისი – 2010 წ.

2. იგულისხმება შოთა რუსთაველი (რედ.)

SAKVIRAO QADAGEBA



ქრისტე აღსდგა!

დღეს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს საქართველოს ზეციური მფარველის, მთავარმოწამისა და სასწაულმოქმედის, წმიდა გიორგის დღესასწაულს – გიორგობას. ამჯერად, წმიდა გიორგის მიწიერ ცხოვრებისეულ ეპიზოდებზე არ გვექნება საუბარი, არც იმაზე, თუ რამდენად პოპულარულია წმიდა გიორგი საქართველოში და რომ საქართველოს ყველა ბორცვსა და ყველა მთაზე დგას დიდმოწამე გიორგის სახელზე აგებული ეკლესია. საქართველოში გიორგობას ზეიმობენ თითქმის 365 დღის მანძილზე და პატივს მიაგებენ ევროპასა და აზიაშიც.

როგორია ხატება წმიდა გიორგისა?

წმიდა გიორგი არის, ბოროტებასთან, დემონურ ძალებთან მებრძოლი, შესაბამისად, მისი სიმბოლური ხატებაა - წმიდა გიორგი თრგუნავს დრაკონს.

სიმბოლურია დიდმოწამის ბიოგრაფიული შტრიხიც: ჭაბუკობის ხანაში, ძღვევაშემოსილი გიორგი, კაბადოკიის ელიტარული ჯარის უმაღლესი წოდების მემკვიდრე, იმპერატორ დიოკლიტიანეს ქრისტიანთა დევნის დაწყებისთანავე, ბოროტების გამოვლინებისა და შეცნობისთანავე უპირისპირდება; გვერდზე დებს საბრძოლო იარაღს, შეუდგება უსამართლოდ დევნილ ქრისტიანულ რელიგიას და სულიწმიდის მადლით აღჭურვილი, ბოროტებასთან ბრძოლაში ებმება; ხოლო

მთავარმოწამისა და საკვირველმოქმედის ხარისხში ამადლებული დიდმოწამე გიორგი სამართლიან ბრძოლას შეეწევა ცათა სასუფეველიდან. წმიდა გიორგი ყველა მართლმდისარებელი ხალხის მცველია.

მრავალტანჯული ქართველი ხალხი ყოველთვის გრძნობდა წმიდა გიორგის თანადგომას, რაც ერში აღსრულებული უამრავი სასწაულითაც დასტურდება; მაგრამ თქვენს ყურადღებას მივაპყრობ არა ამ სასწაულების ჩამონათვალს, არამედ იმ ღირებულებების წარმოჩენას, რაც ქრისტიანული სწავლების პოზიციიდან არის ფასეული და, რომელსაც არა მარტო შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საზოგადოებისათვის, არამედ უფრო მეტად, მას აკისრია აღმზრდელობითი ფუნქცია; უკანასკნელი ორსაუკუნოვანი ვაიპატრიოტიზმისა და კვაზიგანათლების, და რაც მთავარია, ცრურელიგიურობის გავლენით, გაჩნდა საფრთხე, წმიდა გიორგის სახელს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ინტერპირებული ცრუსასწაულებიც დაუკავშირონ.

როგორც მოგახსენეთ, წმიდა გიორგი იბრძვის იმ ხალხის მხარეს, ვინც აწარმოებს სამართლიან ბრძოლას, ვინც დგას ჭეშმარიტების სადარაჯოზე. უკეთუ ვინმე იტყვის, რომ წმიდა გიორგი ებრძოდა მონარქიას, ეს იქნება მტკნარი სიცრუე, რადგან, როგორი დესპოტიც უნდა ყოფილიყო მეფე, ის იყო თავისი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უპირველესი დამცველი და გარანტი, თავისი ხალხის რწმენისა და ეროვნული თვითშეგნების უპირველესი დარაჯი. ასევე, წმიდა გიორგი არ იბრძვის რევოლუციების მხარეს, რადგან რევოლუცია მხოლოდ ანგრევს და არაფერს აშენებს. წმიდა გიორგი იყო მებრძოლი და დიდმოწამე ქრისტიანობისათვის, მართლმადიდებლობისათვის და არა გლობალიზაციის პროცესებში ჩართულობისათვის. ამის საილუსტრაციოდ წაგიკითხავთ ერთ პატარა ამონარიდს ქართული ისტორიული ქრონიკიდან:

როგორც მოგახსენეთ, წმიდა გიორგი იბრძვის იმ ხალხის მხარეს, ვინც აწარმოებს სამართლიან ბრძოლას, ვინც დგას ჭეშმარიტების სადარაჯოზე. უკეთუ ვინმე იტყვის, რომ წმიდა გიორგი ებრძოდა მონარქიას, ეს იქნება მტკნარი სიცრუე, რადგან, როგორი დესპოტიც უნდა ყოფილიყო მეფე, ის იყო თავისი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უპირველესი დამცველი და გარანტი, თავისი ხალხის რწმენისა და ეროვნული თვითშეგნების უპირველესი დარაჯი. ასევე, წმიდა გიორგი არ იბრძვის რევოლუციების მხარეს, რადგან რევოლუცია მხოლოდ ანგრევს და არაფერს აშენებს. წმიდა გიორგი იყო მებრძოლი და დიდმოწამე ქრისტიანობისათვის, მართლმადიდებლობისათვის და არა გლობალიზაციის პროცესებში ჩართულობისათვის. ამის საილუსტრაციოდ წაგიკითხავთ ერთ პატარა ამონარიდს ქართული ისტორიული ქრონიკიდან:

„შეკრბეს ესე ყოველნი, შეითქუნეს, შეიმტკიცნეს სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღივსო ქვეყანა, და აგვისტოსსა თურამეტსა მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა. ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოველად უძრავმან გულითა, თუ ვითარ წინაგანაწყო სპა მისი, და თუ ვითარ ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ჰყო, რაბამ რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოველად ბრძნად განაგო, და თუ ვითარ თვისნი სპანი დაიცვნა უვნებელად, ამათ ყოველთათვის არა ჩუენი, არამედ ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მითხრობად ზედა-მიწევნით ყოველსავე.

რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ ხელი მაღლისა შეეწეოდა, და ძალი ზეგარდამო ფარვიდა მას, და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას, მკლავითა თვისითა მოსრვიდა ზედამოწეულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თვით იგი უსჯულონი და უმცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგვითხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ-მოწამისსა გიორგისსა, და ვითართა ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არამთისანი და ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯვით და განკრძალულად სდევნა და მოსრნა, რომლითა აღივსნენ ველები, მთანი და ღელენი მძორებიითა...“ (წმ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ.340).

თუ წაკითხულს კარგად გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ უკეთუ გვინდა, „გვეწოდეს ხელი მაღლისა“, გვეფარვიდეს „ძალი ზეგარდამო“, საჭიროა სრულიად საქართველოს ყოველი მოქალაქე, უკლებლივ ყველა, იყოს კეთილმორწმუნე ქრისტიანი, ქვეყნად სუფევდეს ეროვნული თანხმობა და იყოს ერთობა ხალხსა და ხელისუფალთ შორის, როგორც ეს იყო წმიდა დავით აღმაშენებლის ზეობის ხანაში. და ვიდრე ჩვენ ისეთი უღირსები ვართ, როგორებიც ტაძრის გარეთ და ხშირად თვით ტაძარშიც – კად-



ლომისის წმიდა გიორგი
(სამთავროს დედათა მონასტრის ხატი)

ნიერებაც კია ღმერთთან შუამდგომლობა ვთხოვოთ სამართლიანობისა და ჭეშმარიტებისათვის მებრძოლ დიდმოწამე წმიდა გიორგის!

სამშობლო და ღმერთი უნდა იყოს უზენაესი საფიქრალი ერისა, მაშინ და მხოლოდ მაშინ დაუშვებს უფალი ღმერთი, რომ განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაგვიძღოდეს წმიდა გიორგი, სადიდებელად ღვთისა და ქართველი ხალხისა.

ამას კი ყველაფერს მოგვცემს ქრისტიანული სიყვარული – ერის ერთობა ქრისტეში.

MARTENADIDEBLOBIS ZEIMAWARASID



ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კურთხევით, ქრისტიანული მოძღვრება საქართველოში პირველად აჭარის კუთხეს მოეფინა, სადაც მარადის ქალწულმა მარიამმა თავის წილხვედრ ქვეყანაში საქადაგებლად ანდრია პირველწოდებული წარმოგზავნა და მასთან ერთად იქადაგა სვიმონ კანანელმაც. საუკუნეთა მანძილზე აჭარა ქრისტიანული ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა და ღირსეულად იცავდა საქართველოს საზღვრებს ოსმალებისა (აწინდელი თურქეთი) თუ სპარსი დამპყრობლებისაგან. მტერი, უწინარესად, ქართველთა სულიერ ძალმოსილებას – ქრისტიანობას ებრძოდა.

ცნობილია, რომ XVI–XIX საუკუნეებში აჭარა, სამცხე და ჭანეთი, ოსმალებმა დაიპყრო და მხოლოდ 1878 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, აჭარა საქართველოს დაუბრუნდა.

XIX საუკუნის ბოლოს ქართული საზოგადოება სულიერ-კულტურული თუ მატერიალური დახმარებით ცდილობდა აჭარის ტანჯული ძმების მხარდაჭერას. წმიდა ილია მართალი, გრიგოლ ორბელიანი, სერგეი მესხი, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი და სხვა მრავალი საზოგადო მოღვაწე, მამულიშვილი, სხვა-

დასხვა ღონისძიებით ცდილობდა აჭარელ ქართველებში ქართული სულიერების აღორძინებას.

1878 წელს თბილისში, ქართველთა დეპუტაციამ, აჭარის კუთხის დაბრუნების აღსანიშნავად, დარბაზობა გამართა მუხრან ბატონის სასახლეში, რომელსაც აჭარის კუთხის მაჰმადიან ქართველთა 16 კაციანი წარმომადგენლობა ესწრებოდა. დარბაზობის მოთავე იყო წმიდა დიმიტრი ყიფიანი. გრიგოლ ორბელიანმა აჭარელ ძმებს ამალეღვებელი სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ: „ერთი დედისა შვილნი, შავი ბედისა გამო განშორებულნი, დიდს ხანს ერთმანეთისთვის დაკარგულნი, მოულოდნელად შეხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადის სიყვარულითა. ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაჭირვება გამოვიარეთ... ვმადლობთ ღმერთსა და ვვედრებით, რომ შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყეველად! და დღეის იქით, ლხინშიც და ჭირშიც უნდა ვიყოთ ერთად, ვითარცა ერთნი დედის, საქართველოს, შვილნი“ (სერგეი მესხი, თხზ. ტ. 3. გვ.75)

წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა დარბაზობაზე აკაკი წერეთლის გამოსვლამ: „...ჩვენი წინაპრების ანდერძი იყო

დედაენისა და ერთობის შენახვა. მოძმენი რამდენიმე საუკუნეს დაშორებულნი იყვნენ ჩვენგან, მაგრამ დედაენა ტკბილად სასაუბრო შერჩენიათ... ახლა ვხე-



1920 წლის 7 ივლისი.

ქართული ჯარის აღლუმი ბათუმში
გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით.

დავთ, რომ ჩვენი წინაპრების დანაპირები აქეთაც და იქითაც შენახულია და ჩანს, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი, თურმე არასოდეს არ ყოფილა მოშლილი... ძმურად დავადგებით ერთ გზას და მივმართავთ ერთ მიზანს... დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ ჩვენის წინაპრების საფლავთან და ჩავძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ არ გაგვფუჭდება.“

რამოდენიმე ათწლეულის შემდეგ, 1921 წელს, როდესაც საქართველოში ბოლშევიკური რუსეთი შემოიჭრა, თურქეთმა კვლავაც გაილაშქრა საქართველოს წამებულ მხარეზე – აჭარაზე და ბათუმი დაიკავა. აჭარაში ეროვნული და სულიერი ცნობიერების გადასარჩენად, ქართული მხედრობის სიამაყემ, გენერალმა მაზნიაშვილმა თავის მცირერიცხოვანი „იუნკერთა“ არმია ბათუმში გადაიყვანა და ასლან-ბეგ აბაშიძის რამოდენიმე ასეულიან გვარდიასთან ერთად, ელვისებური შეტევით თურქებს ბათუმი დაატოვებინა.

თურქეთის წინააღმდეგ გამართულ ამ სისხლისმღვრელ ბრძოლებში დაცემულ ემაწვილ „იუნკერთა“ და სხვა ქართველ მებრძოლთა სამარხებზე, ჯერ რუსმა კომუნისტებმა სცადეს ბნელი ძალების ხუთქიმიანი სიმბოლოს აღმართვა, ხოლო დღეს, ქართული ეროვნული ღირსების ამ წმიდა ადგილზე, კვლავაც ცდილობენ, თურქი დამპყრობლების საქართველოში

ზეობის სიმბოლო, ე. წ. „აზიზიეს მეჩეთი“ აღმართონ, რომელიც, ნიშნად ქართველთა მონობისა, ჯერ კიდევ 1868 წელს სულთანმა აზიზიემ ჩადგა ბათუმში. ოსმალეთის სულთანი აბდულ აზიზიე იყო სულთან აბდულ მეჯიდის ძმა. როგორც საინფორმაციო საშუალებებით გახდა ცნობილი, აზიზიე იყო უხეში, უვიცი და დესპოტი სულთანი, რომელიც ქვეყნის რეფორმებზე უარს აცხადებდა. როდესაც თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ აჯანყდა ბოსნია და ჰერცოგოვინია, თურქებმა იქ მხეცური უღელტა გამართეს, რამაც ევროპისა და რუსეთის დიდი აღშფოთება გამოიწვია და აბდულ აზიზიე თავად მუსულმანებმა გადააყენეს: „გონებრივი აშლილობის“ მიზეზით, სახელმწიფო ქონების პირადი მიზნით გამოყენებისა და პოლიტიკური საკითხების უგულვებელყოფისათვის. აბდულ აზიზიემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, თუმცა არის ვერსია, რომ იგი მოკლეს.

ა. წ. 4 მარტს, ბათუმისა, ლაზეთის და ჩრდილო ამერიკის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი) და სინოდის სხვა წევრებმა, აჭარის მხარეში ეროვნულ-სარწმუნოებრივი ღირსებისათვის დაღუპულთა საფლავზე ჯვარი აღმართეს; ეროვნული ფასეულობებისა და მართლმადიდებელი სარწმუნოების სადიდებლად, აჭარის მოსახლეობის დიდძალი წარმომადგენლობა დაესწრო ღია ცის ქვეშ აღსრულებულ დიდ საეკლესიო დღესასწაულს – მართლმადიდებლობის ზეიმს. წირვა აღასრულა მიტროპოლიტმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი),



ბათუმი.

„იუნკერთა“ საფლავზე ბოლშევიკების მიერ
აღმართული ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

მუნოებრივი ღირსებისათვის დაღუპულთა საფლავზე ჯვარი აღმართეს; ეროვნული ფასეულობებისა და მართლმადიდებელი სარწმუნოების სადიდებლად, აჭარის მოსახლეობის დიდძალი წარმომადგენლობა დაესწრო ღია ცის ქვეშ აღსრულებულ დიდ საეკლესიო დღესასწაულს – მართლმადიდებლობის ზეიმს. წირვა აღასრულა მიტროპოლიტმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი),



მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი) სინოდის წევრებთან ერთად აღასრულებს საღმრთო ლიტურდიას.

თანამწირველნი იყვნენ: შემოქმედის მიტროპოლიტი იოსები (კიკვაძე), ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტი სერაფიმე (ჯოჯუა), ჭყონდიდის მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა), ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), სხალთის ეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე) და ბოლნისის ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). წირვის შემდგომ ქადაგებაში მიტროპოლიტმა დიმიტრიმ აღნიშნა: „მეტად მნიშვნელოვანია, რომ მართლმადიდებლობის ზეიმზე წირვა აღსრულდა აქ, სადაც სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილები განისვენებენ. 1921 წელს მათ სამშობლოსათვის ყველაზე ძვირფასი რამ გაიდეს, – თავიანთი სიცოცხლე! და მეტად სამწუხაროა, რომ დღემდე მათ საფლავის ქვაც არ ეღირსათ. ბოლშევიკებმა მათი საფლავები შეურაცხვეს. და იქ ვარსკვლავი აღმართეს, რითაც მიანიშნეს, თითქოს იქ

დაკრძალულნი ბოლშევიკები იყვნენ... ახლა მათ საფლავებს ახალი შეურაცხყოფა დაემუქრა – ესაა განზრახვა, რომ ბათუმიში აბდულ აზიზის სახელობის მეჩეთი აშენდეს. ამის წინააღმდეგია, როგორც ქრისტიანი, ისე მუსლიმი ქართველობაც, რადგან აბდულ აზიზი არის დამპყრობელი, რომელმაც სისხლის წვიმა აწვიმა და სისხლის მდინარეები აღინა აჭარას! მეტად მძიმეა ამ მეჩეთის აღმართვა ჩვენთვის. აბდულ აზიზის სახელი იგივეა, რაც აღმოსავლეთ საქართველოში კახელებისათვის შაჰ-აბასის ხსენება, იგივეა, რაც საქართველოსთვის – მურმან-ყრუს, თემურ-ლენგის და სხვა სასტიკი დამპყრობლების სახელები...

ღვთის მადლი, ღვთის წყალობა იყოს თანამავალი, თანამგზავრი, ჩვენი ცხოვრე-



ბათუმი. მართლმადიდებლობის ზეიმი ღია ცის ქვეშ

ბისა! ღვთის მადლით, ღვთის წყალობით გაძლიერდება, განმტკიცდება ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ეკლესია! ჩვენთანა არს ღმერთი! ამინ.“

მოამზადა
მარიამ (მარინე) ნიაურმა

აჭარელი და ლაზი მოწამეები

(ზაქარია ჭიჭინაძის წიგნიდან
„საქართველოს გამაჰმადიანება ანუ
ისლამის გავრცელება... XVII-XVIII ს.“)

ოსმალთ აჭარა მაგრა დაიმორჩილეს. მერე გამაჰმადიანება დაუწყეს, მაგრამ საქმე ერთობ გაუჭირდათ. აჭარელებს ოსმალთაგან მოციქულები მოუვიდათ და მაჰმადიანობა განუცხადეს; მოციქულები უკან დააბრუნეს, თან გააყოლეს თავიანთი მოციქულებიც და შეუთვალეს ასე:

– ჩვენ გვიმსახურეთ ისე, როგორც გენებოთ, ხოლო სჯულს თავი დაანებეთ, ჩვენ ჩვენს სულს არ დავჰკარგავთ, არ გავმაჰმადიანდებით.

ქართველების ასეთი უარი ოსმალს ფაშას ძლიერ ეწყინა. მალე ტრაპიზონიდან ოსმალს ჯარი მოვიდა და კახაბერში ომი ატყდა. ომში ოსმალნი დაეცნენ, აჭარელებს ბევრნი გაწყდნენ; ბოლოს ოსმალთ ხერხი მოიგონეს და ხალხის ფუთით შესყიდვა დაიწყეს. პირველად შეისყიდეს სოფელი ერგე, ბათუმის ზემოთ, კახაბრისა და აჭარის შუა და პირველად სოფ. ერგეს ხალხი გამაჰმადიანდა. აქედან წავიდნენ აჭარისაკენ და დაიწყეს მეცადინეობა, მაგრამ ვერსად რა მოახერხეს, ვერც თხოვნით და ვერც შიშით ვერავინ გაამაჰმადიანეს... („აჭარა“ ერქვა დღევანდელი აჭარის ერთ-ერთ კუთხეს). აქედან წავიდნენ მერისში. მაშინ სოფ. მერისში 700 კომლი სცხოვრობდა. ოსმალთ მერისელთაც აცნობეს გამაჰმადიანება... მერისელთ უარი უთხრეს:

– არ გავთათრდებით, გინდა დაგეხსოვტო და მაგას კი ვერ ვიზამთ!

რამდენიმე დღის შემდეგ ამათში ჩხუბი გაიმართა. სოფელ მერისის მცხოვრებთ რიცხვი მთლად გაწყდა; შეიდას კომლში მხოლოდ ერთი გვარის რამდენიმე ოჯახი გადარჩა. დანარჩენნი: კაცი, ქალი, მოხუცი, ახალგაზრდა და ყმაწვილი გამწყდარან მთლად, სჯულისათვის ბრძოლაში.

...ოსმალნი წასულან ხულოში. მაშინ იქ ერთი დიდი მღვდელი მჯდარა და ერთიც ქართველი თავადის შვილთაგანი. ოსმალთ ამათთვისაც განუცხადებიათ გამაჰმადიანების ამბავი:

– ფადი-შაჰის ბრძანება მოვიდა და გეცხადებათ, რომ თქვენ უნდა გამაჰმა-

დიანდეთ... დიდმა მღვდელმა და თავადმა ფადი-შაჰის ბრძანება ხალხს აცნობეს, მაგრამ ხალხმა თქვა:

– არ გვინდა, არ გავმაჰმადიანდებით, დავისოცებით და მაგას კი არ ვიზამთ.

მეორე დღის საღამოს შეშინებული დიდი მღვდელი და თავადი ხულოდგან სხვაგან გაიქცნენ და დაიმაღლნენ. ხალხი უპატრონოდ დარჩა და ამიტომ მათში დიდი შლილობა მოხდა. ოსმალთ ბევრი აღარ აცალეს და პირველ ბრძანებისთანავე დაუწყეს გამაჰმადიანება და ფადი-შაჰის ბრძანების ასრულება, მაგრამ მათ ერთობ ძვირად დაუჯდათ; ზეგნელები ცხარედ იბრძოდნენ სჯულის გამო და თითქმის მთლად გაწყდნენ.

ნამბობი სოფ. ზვარულ 80 წლის სელიმ აფა-იშოღლისგან და მაჰმადიან თურმანიძისგან

* * *

აჭარაში გათათრების საქმე ერთობ გაძნელებულა. ზოგიერთი მოხუცებული კაცი და ნამეტურ, დედაკაცები ქრისტიანობაზედ მტკიცედ იდგნენ და თან ოსმალს მოლა-ხოჯებსაც ეკამათებოდნენ და ედავებოდნენ; ამ მოხუცებულებს ყოველთვის და ყველგან სულ ქრისტიანობაზედ ჰქონდათ ლაპარაკი. ახალგაზრდებს ყოველთვის იმას ელაპარაკებოდნენ, რომ ეგების ოდესმე თქვენის ძველების სჯულზედ გადახვიდეთო. ასეთ მოხუცებულთ რიცხვი აჭარაში დიდი ყოფილა; ამათ თურმე მოლა-ხოჯებს გაუჭირეს საქმე. ბოლოს მთავრობისგან ასეთი ბრძანება გამოსულა: რომ ყველა ეგენი დაიჭირეთ და გაათათრეთო, თუ არ გათათრდნენ, მერე დახოცეთო!.. მალე აჭარის მოხუცებულნი შეუკრებიან და აქა-იქ ციხეებში დაუმწყვდევიათ, საპატიმროებში ხოჯები მიუგზავნიან და ხოჯებს ლოცვები დაუწყიათ. ზოგიერთი მოხუცებული მიუზიდნიათ მაჰმადიანობაზედ და ზოგნი კი ვერა. ვინც ვერ მოაქციეს, ესენი აჭარწყლის შესართავთან მიურეკიათ, სადაც ძველად თამარ მეფის ხიდი ყოფილა და რომელ ხიდის ნიშნებიც დღესაც სდგას. ამ ხიდზედ დაუდვიათ თავ-საკვეთი, მოხუც ქრისტიანებს თავს სჭრიდნენ, მერე ენის წვერსა და ფაშას უგზავნიდნენ, თავსა და ტანს კი ჭოროხში ჰყრიდნენო. ეს საქმეები მომხდარა... 1790 წლებში.

ჩაქვისთაველი ღრმად მოხუცი ყადი
ს. ჩიჯავაძის ნამბობი

ჩვენი ხალხის გამაჰმადიანება, შენი ჭირ-
იმე, დიდის წვალებით მომხდარა... სოფელ
ჩაქვის ხალხი გამაჰმადიანების გამო მთ-
ლად გაწყვეტილა ოსმალთან ბრძოლაში;
ყველას პირზედ ის ეკერა, რომ არ გაემაჰ-
მადიანდებით და არაო. ამის გამო ოსმა-
ლებს მთელი ჩაქვი გაუწყვეტიათ, მაგრამ
მაინც ვერაფერი გაუწყვეტიათ: თვით ჩვენი



აჭარელი მოწამენი

ძველები იტყოდნენ და მეც მოვსწრები-
ვარ იმ კაცებს, რომ კინტრიში გაამაჰმა-
დიანეს, ქობულეთსა და ჩაქვის ხეობაში
კი ჩუმად ინახავდნენ ქრისტიანობასა,
რადგანაც ხალვაშენების და გორგაძნე-
ბის გვარში მღვდლებს ჩუმად ინახავდ-
ნენო. ამათ მღვდლები საერო ტანსაცმ-
ლით ჰყავდაო, ამათაც ბოლოს ოსმალებმა
შეუტყვეს და ერთ დღეს კინალამ დახოცეს
ყველანი. როგორც ამბობენ, ჩვენი ძველები
ქრისტიანობაზედ ძალიან მაგრა მდგარან,
ძლიერ ბევრი უშრომიათ მის შენახვაზედ
და ბევრიც უწვალნიათ და უტანჯნიათ
გამაჰმადიანების გამო. ვერ ნახავთ ვერც
ერთ ოჯახს ჩვენი ძველებისას, რომ იქ გა-
თათრების გამო დიდი სისხლი არ იყოს
დაღვრილი.

მოხუცი მჟავანაძის ნაამბობი

ოსმალებმა ლივანა დაიჭირეს, ლი-
ვანა არ ემორჩილებოდა, ამისათვის ლი-
ვანელებმა ბევრი სისხლი დაღვარეს. ლი-
ვანაში ოსმალთა კაცები გამოგზავნეს და
მორჩილება ითხოვეს. ლივანელთ უარი
შეუთვალეს და ამათ შეკრეს ჩხალის
ხეობა, გაამაგრეს ამ ხეობაში მდებარე
თამარ მეფის ციხე, გაამაგრეს მაქრიალის
გზები და მოემზადნენ ოსმალთა საჩხუ-
ბრად. გაიმართა ჩხუბი, ორსავე მხარეს
ბევრი ხალხი გაწყდა, ჩვენები სჯობნიდ-
ნენ ოსმალთ, ჩვენის მხრიდან ქალებიც
ომობდნენ თურმე. ბოლოს საქმე მაინც
გაჭირდა, ლივანელი იძლივნენ, ოსმალთ
გაიმარჯვეს და ლივანა აიღეს, მალე ხარ-
ჯიც დაადეს ლივანელებს...

პირველ ხანებში ოსმალნი ოსტატურად
მოექცნენ ხალხს, ხარჯს გარდა გამაჰმა-
დიანება არავის უთხრეს, ამაზედ ძალას
არ ატანდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ კი
დაატანეს ძალა, მაგრამ ვერაფერი ჰქნეს.
ამბობენ, რომ ერთს დღეს მარადიდში
ოთხას კაცს მოსჭრეს თავი გამაჰმადი-
ანების გულისთვისაო. მარადიდის დიდი
ეკლესიაც დააქციეს და მარადიდის ხიდ-
იც დასწვეს, რომ ხალხი აჭარაში არ გაქ-
ცეულიყო...

სოფ. ნადარბაზელი, მოხუცი მაჰმადიანის, თი-
კანაძის (იგივე სოფიოშვილი) ნაამბობი

ბევრი ჩხუბი მოხდა ლივანაში, ბევრი
სისხლი დაიღვარა ქართველებისა, მაგრამ
ბოლოს მაინც ოსმალთ დაიმორჩილეს და
ყველანი გაამაჰმადიანეს. ვინც არ გამაჰ-
მადიანდა და წინააღმდეგობდნენ, ისინი
დაიჭირეს და მაქრიალის ციხეში სულ-
თან სელიმს მოჰგვარეს. სულთან სელიმმა
იმათ ჰკითხა:

– რატომ არ მაჰმადიანდებით თქვენა,
რატომ არ გინდათ, რომ ჩვენი წმინდა
სჯული მიიღოთ?

ხალხმა უარი განუცხადა:

– ვერა, ვერ მივიღებთ. ჩვენ ქართველე-
ბი ვართ, ქრისტიანები და ასეც უნდა და-
ვიხოცნეთ; სხვა რაც გენებოთ, ის გვთხ-
ოვეთ, ერთგული მონობა და სხვანი, მაგრამ
სჯულს კი ვერ გამოვიცვლით.

– მაშ ყველას თავები მოგეჭრებათ, –
უთხრა სულთანმა.

– ნება თქვენი გახლდეს, მიუგო ხალხ-

მა. სულთან სელიმმა საჩქაროდ ბრძანება გასცა, მოვიდნენ ჯალათები და მტკიცე ქართველი ქრისტიანები მიიყვანეს მაქრი-ალის ციხის თავ-საკვეთთან, და ყველას მოსჭრეს თავები, მერე ტანი ზღვაში გადაჰყარეს; და თავებს კიდევ სარებზედ აგებდნენ და ახმობდნენ სხვადასხვა ადგილებში შესვლის დროს ქრისტიან ქართველების შესაშინებლად.

ნამბობი სოფ. ჩხალელის ჰაჯი ხოჯასაგან

* * *

ლივანაში, ბორჩხის ზემო, ჩხალის ხეობაში, ძველად ქალების მონასტერი ყოფილა. გამაჰმადიანების დროს თათრებს მოლოზნებისათვის ხმა არ გაუციათ. მღვდლები და ბერები კი სულ გამოურეკიათ. რამდენიმე დღის შემდეგ ამ მონასტერს დასცემიან თათრები და მონასტერი მთლად გაუძარცვათ და მოლოზნებიც სულ მოუტაცნიათ; ერთი მოხუცი დედა მოლოზონი კი დაუტოვებიათ. მოტაცებული მოლოზნები ტრაპიზონში გაურეკიათ და ზოგი იქ დაუყიდნიათ თათრებზე და ზოგი სხვაგან. მონასტერში დარჩენილი მოხუცი მოლოზონი მონასტერს არ შორდებოდა; იმან დიდი გაჭირვება გამოიარა, ხშირად თავდასხმა და გაძარცვაც, მაგრამ მაინც აქაურობას არ შორდებოდა. ნაცვლად ამისა, იგი ოჯახებში დადიოდა და ახალ გამაჰმადიანებულ ქართველ ქალებს ქრისტიანობაზედ დარიგებას აძლევდა...

ეს ამბები ლივანის ბეგმა შეიტყო. ამან მოლოზონს განუცხადა, რომ მაგ ალაგს თავი დაანებე, თორემ მოგკლავენო. მოლოზონმა შეუთვალა:

– სიკვდილი ყველგან დამხვდება, მე აქედგან არსად წავალ, ამ ეკლესიას უნდა ეუპატრონო.

რამდენიმე დღის შემდეგ ამ ქალების მონასტერს ოსმალები დაეცნენ. მოხუცი მოლოზონი მოჰკლეს და თუ რამე ჰქონდა, ისიც ყველაფერი მოსტაცეს. ამ დროს ქალებში ჩუმი ქრისტიანები კიდევ ყოფილან და ამათ ძალიან უგლოვნიათ მოკლული მოლოზონი და თვით ამ ქალებსვე დაუძარხავთ მიცვალებული.

ლივანაში ყველა ლაპარაკობდა ამ 30 წლის წინად, რომ მარადიდში, ბორჩხაში და ამის ზევით თავსაკვეთი კოშკები იყო გამართული და იქ თავებს სჭრიდნენ, არ-ხოვდნენ იმ ქრისტიან ქართველებს, რომ-

ლებიც არ მაჰმადიანობდნენო. აქ ბევრი ქალებიც დაურჩვიათ და თავი მოუჭრიათ ხოლმე და ტანი ჭოროხში ჩაუგდიათ. უწყიან, რომ ერთხელ სოფ. წითურეთის კოშკსაც კი ხმარობდნენ საპატიმროდ და თავსაკვეთად.

დევესქელის ხეობაში სოფელ პეტრულის მამასახლისისაგან ნამბობი



წმიდა მოწამე თეოდორე აჭარელი

* * *

სხალთის ხეობის ქართველებს დიდი ხანი შეუნახავთ თავი ქრისტიანებად მაგრამ ბოლოს გამაჰმადიანებულან... დარჩა გაუმაჰმადიანებელი მხოლოდ სოფელი ყინჩაური. ყინჩაურელებმა დიდხანს იმაგრეს თავი ქრისტიანობით; ამისი მიზეზი იყო სოფ. ყინჩაურის მღვდელი, რომელიც მეტად მწიგნობარი ყოფილა, მქადაგებელი და ქრისტიანობის მოყვარე. ეს მღვდელი ამაგრებდა თავის ხალხს, ეს მღვდელი წინამძღვრობდა მათ... თავის სოფლის ხალხს გარდა სხვა სოფლის ახალს გამაჰმადიანებულს ქართველებშიაც კი მქადაგებდა ქრისტეს სჯულს, მათ ასმენდა და არცხვენდა საიდუმლოდ, რომ თქვენ ოსმალოს ბრძანებას დაემორჩილეთ ჩვენი ბეგიების მოტყუებით და სჯული გამოიცვალეთ, გამაჰმადიანდითო. რიგიანი

ქართველი სჯულს არ გამოიცვლისო, თქვენ არავინ დაგხოცდათ და თუ დაიხოცებოდით, ეს უკეთესიც იქნებოდა და სჯულიდან კი ხელი არ უნდა აგელოთ... ამ მღვდლის მეოხებით ბევრი ახლად გამაჰმადიანებული ქართველი მობრუნდა მამა-პაპის სჯულზე და საიდუმლოდ დაიწვეს ქრისტიანობის აღსარება.

სხალთის უსუფყარა მემედოლი ბოლქვაძის ნაამბობი სოფელ ვაიოს და ქედის მოწამეებზე



ლაზი მოწამენი

* * *

ქრისტიანობისათვის დიდი ტანჯვა და ვაება სოფელ ვაიოს ხალხს გამოუცდია. ზოგნი ამბობენ, რომ „ვაიო“ მიტომ დაერქვა იმას, რადგანაც გამაჰმადიანების დროს ხალხი სულ „ვაის“ ჰყვიროდაო... ზოგნი ამბობენ, რომ როცა ქართველებს ამაჰმადიანებდნენ, მაშინ ბევრნი არ გამაჰმადიანდნენ და ცოცხალნი დარჩნენ, თავიანთს ნათესავებს ჰგლოვდნენ და ტიროდნენ და

ჰყვიროდნენ, „ვაიო, ვაიო“, და ამიტომ დაერქვა სოფელს „ვაიო“

ვაიოს შემდეგ სატანჯველ ალაგად ქედა ყოფილა დანიშნული. პირველ ხანებში, ვინც არ თათრდებოდა, დაიჭერდნენ, ქედაში მიიყვანდნენ, პარასკევ დღეს, ღოცვის დროს, ჯამეში შეიყვანდნენ, ვინც თათრობას მიიღებდა, ის ცოცხალი შთებოდა, ვინც არა და იმას კარში გამოიყვანდნენ და ღოცვის შემდეგ ხეზე ჰკიდებდნენ და ახრჩობდნენ. დამხრჩვალეები სამ დღეს ეკიდნენ ხეზე და ახლადგათათრებულ ქართველებს აყურებიებდნენ, ერთ ჯუმა (პარასკევი) დღეს, ქედაში 50 კაცი და დედაკაცი ჩამოჰკიდეს ხეებზე და დაახრჩეს სჯულის გამო, 1765 წლებს.

ღვერიშ ბეგ ბეჟანიძის ნაამბობი დანდალოს მოწამეებზე

* * *

აჭარაში გათათრების გამო ყველაზე დიდი ბრძოლა დანდალოს ხალხმა გამოიარა. ამათი გმირობის საქმეები ყველასათვის საკვირველი და სამაგალითო ყოფილა. მთელი დანდალო მკაცრად დადგა ოსმალს წინააღმდეგ სჯულის გამოცვლის გამო, თვით დედაკაცებმაც კი აიღეს ხმალ-ხანჯალი ხელში და ოსმალს წინააღმდეგ გამოვიდნენ საბრძოლველად. ამათ გარდაწვეიტეს, რომ ან მამა-პაპის სჯულზე უნდა დავრჩეთ და ან უნდა გავწყდეთო, ჩვენი გათათრება არ შეიძლებაო. ამათ დაიწვეს ბრძოლა, საკვირველი საქმე დაჰმართეს ოსმალთ, ოსმალნი ათასობით დახოცეს, მაგრამ ბოლოს მაინც ოსმალნი მოერივნენ, რადგანაც ამათ მოიშველიეს ახალ გათათრებულნი ქართველნი. დანდალოს ერი დამარცხდა და ამ დამარცხებით მთლად გაწყდა ხალხი, გაწყდა ისე, რომ არსად ერთი კაციც არ დარჩენილა, ქალი, ბავშვი და სხვანი მთლად დახოცეს, გაწვეიტეს... და ვინც დარჩა, ისინიც ოსმალში გარეკეს.

სოფ. დანდალოში, ქართველთ მამადიანთ ავალიანთ გვარში დარჩენილის ნაამბობი

MAMA DAVITIS GREMLEBI

„ღირსო მამაო დავით, ბრძენო, მსგავსად მზისა განჰბრწყინდეს ძალნი იგი სასწაულთანი, შენ მიერ აღსრულებულნი უდაბნოსა ამას, რამეთუ საღმრთოსა მიერ მადლისა პირუტყვნი, ვითარცა სიტყვიერი გმსახურებდეს და მხეცნი შერისხვით წარიდევნებოდეს, ხოლო კაცნი, განკურნებულნი შენ მიერ, აღიდებდეს ღმერთსა.“

„დავითს, კრძალულებებისა შეურყეველსა სვეტსა და შიშითა ღვთისათა შებრწყინდეს, გოდოლსა უბრძოლველსა; ხატსა უზაკველისა სიმართლისასა; მაგალითსა მარხულებისა უცთომელისასა; სახესა მტკიცედ მდგომარეობისასა და სარკესა მონაზონებრთა ღვაწლთასა; წესსა მემხოლოეთასა, და კანონსა უბიწოდ ცხოვრებისასა, გაქებდეთ, კრებულნო ღვთივგანბრძნობილნო, რათა ღოცვითა მისითა მოვიდოთ ქრისტეს ღვთისა მიერ მშვიდობა და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა.“

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა თავის წილხვდომილ ქვეყანაში, ივერიაში, მოციქულ ანდრია პირვილწოდებულის და მოციქულთასწორ ნინოს შემდგომ, VI საუკუნეში, ცამეტი ასურელი მამა წარმოგზავნა „ქართლის განსანათლებლად“ და „სჯულის განსაწმედელად“; ისტორიკოსი პლაცტონ იოსელიანი ამბობს: „ანდრია მოციქულის მიერ მოტანილმა სახარების ნათელმა, ერთბაშად განაბრწყინა შავი-ზღვისპირეთი, წმიდა ნინომ ეს ნათელი მოჰფინა სრულიად საქართველოს, ხოლო 13-მა ასურელმა მამამ – საქართველოს

მთელ მთა-ბარსა და კუთხე-კუნჭულს.“ საყოველთაოდ ცნობილია, ცამეტი ასურელი მამის, მართლმადიდებელი ეკლესიის ამ მნათობთა ღვაწლი, რომლებიც „ზეგარდამო ბრძანებით“, წარვიდეს წმიდა იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით, ქვეყანად ქართველთა და განამტკიცეს ერი სარწმუნოებასა ზედა“

VI საუკუნის საქართველოს რელიგიურ-პოლიტიკური ვითარების სრული ანალოგია თანამედროვე ქართული სინამდვილე: ქართლს (აღმოსავლეთ საქართველოს) სპარსეთი განაგებს, ხოლო დასავლეთ



ცამეტი ასურელი მამა

საქართველოზე ერთმორწმუნე იმპერია მძლავრობს. აღმოსავლეთ საქართველოს, იბერიას, სახელმწიფოებრიობა აქვს დაკარგული, ქვეყანას ქართველთმომკვლევ ურჯულო მოხელე, „მარზაპანი“, მართავს თბილისიდან და ერში სრული უზნეობა



წმიდა მამა იოანე ზედაზნელის საფლავი

თარეშობს. ზნეობრივ-კულტურულ წნეხში მყოფი მართლმადიდებელი საქართველოს შთანთქმას კი ერთმანეთს ეცილება სპარსული ცეცხლთაყვანიმცემლობა და სომხური მონოფიზიტობა. სულიერად დასწრელებული ქართველთა დიდი ნაწილი ესოდენ უზნეობას მიცემია, რომ ქვეყანაში „დედალ-მამალი აღარ განირჩევა“; ამპარტავნებით, ქიშპით და შურით ცნობამიხდილ ქართველებისთვის თქვა, თითქოს, წინასწარმეტყველმა მეფე დავითმა: „შურმან შეჭამა ერი უსწავლელი“.

სწორედ ამ დროს ზეგარდამო ეუწყება სამოელ კათალიკოსს ცამეტი ასურელი მამის მოსვლა: „აჰა, ესერა მოვალს იო-

ანე, ყოვლადგანთქმული მონად უფლისად მოწაფეთა თვისთა თანა, რომელმან განანათლოს ყოველი ესე ქუეყანაი, ვითარცა პირველ ნინო, აწ უკუე აღდეგ და მიეგებოდე მათ...“.

სამოელ კათალიკოსი და ფარსმან მეფე „ყოველთა თანა ეკლესიისა შვილთა“ სიხარულით მიეგებნენ მათ და იხილეს ღვთის მონები, წმიდა მამები, რომლებიც შორი გზიდან მოდიოდნენ დაღლილ-დაქანცულები, ფეხშიშვლები, თავზე კუნკულით, დაბებკულით მოსილები და „შეურაცხად სახილველნი“; მათ მოუძღოდა „მამათა თვალი“, იოანე ზედაზნელი. კათალიკოსმა იცნო ისინი, „სამკაულნი კათლიკე ეკლესიისა და ქართლისა ერისანი“, ქართული საბერ-მონოზენო სკოლის დამაარსებელნი, რომელთათვის, მოგვიანებით, წმიდა მღვდელმწამე კირიონი იტყვის: „სახელმწიფოში, გარდა სამხედრო ძალისა, სხვა, გაცილებით აღმატებული – ზნეობრივი ძალა არსებობს... და მისი იდეის ერთერთი მთავარი მტვითველი ძალა არის ბერმონოზენობა“.

„სულითა შეერთებულნი და ერთგონიერებით შეკრულნი მამანი“, საქართველოში ზნეობრივ-სარწმუნოებრივი ბრძოლის ველზე გავიდნენ; უწინარესად სვეტი ცხოვლის წინაშე დაეგნენ და თვალცრემლიანნი ილოცებოდნენ; შემდეგ მოიარეს ყველა ის ადგილი, სადაც მოციქულთასწორი ქალწული ნინო იმყოფებოდა; გამოიკითხეს სრულად მისი ცხოვრებამოდვაწეობა, გაეცნენ მის ქადაგებებს და ისეთი სიყვარულით ეამბორებოდნენ წმიდა ნინოს ნატერფალ მიწას, თითქოს ცოცხალსა ხედავდნენ – მოგვითხრობს ცხოვრების აღმწერელი... თანამიმდევრულად მისდევდნენ და აღადგენდნენ წმიდა მამები ანდრია მოციქულისა და მოციქულთასწორ ნინოს მიერ გაკაფულ სამეფო გზას.

ცნობილია, რომ ცამეტი ასურელი მამა საქართველოში უწინარეს ყოვლისა „სჯულის განსაწმედად“ შემოვიდა, კერძოდ, ზოროასტრიზმის და აღზევებული მონოფიზიტური მწვალებლობის აღმოსაფხვრელად; და სამონასტრო ცხოვრების დასამყარე-



წმიდა მამა დავით გარეჯელი

ბლად – ასურელმა, იგივე კაბადოკიელმა მამებმა საქართველოში საბერძნოზნო ანაქორეტული ცხოვრების წესი შეცვალეს კინოვიურით (მღვდელმონოზონი გრიგოლ ფერაძე). თედო უორდანიას თქმით: „ასურელი მამები საქართველოში მძვინვარე სომეხთ მონოფიზიტობასთან საბრძოლველად მოვიდნენ“ და მათ „მონოფიზიტური მწვალებლობის საფრთხე აგვაცილეს“ (მიტრ. ანანიას); კიდევ უფრო ხაზგასმით ადასტურებს ამ აზრს ისტორიკოსი მოსე ჯანაშიელი: „ასურელმა მამებმა საქართველოში არ შემოუშვეს სომხეთის გარყვნილი ეკლესიის სწავლებათ“; ხოლო მართლმადიდებლობის სიქადული, წმიდა გიორგი მთაწმიდელი, აღნიშნავს: „ვითარცა ღვარძლიანი რაიმე დათესილნი იყვნეს ქვეყანასა ჩვენსა ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანიო“; და წმიდა მამა აქვე შენიშნავს, რომ „სწორედ ამ პერიოდში, VI-VII საუკუნეებში, ბერძნულიდან მართლად ნათარგმნი წიგნები, მონოფიზიტობის გამო, გადაუკეთებულ-

წორებით, ან სომხურიდან უთარგმნიათ“.

ყოველდღივად ღვთისმშობლის კურთხევით, წმიდა იოანე ზედაზნელმა თავის მოწაფეებს მოუწოდა და წარავლინა ისინი, „ვითარ ოდესმე მოციქულნი ქრისტესნი ქადაგებად“. უაღრესად საყურადღებოა თანამედროვე ბერ-მონოზნებისათვის სიტყვები, რომლითაც „მამათა თვალმა“ წმიდა იოანე ზედაზნელმა მიმართა ღოცვით ღვაწლს მიცემულ ბერებს: „შვილნო, რაღასა სდგათ აქა და არა ზრუნავთ სხუათაცა სარგებლობისათვის?! ანუ არა უწყითა, რამეთუ სარგებელისათვის ამის ქუეყანისა წარმოუვლინებიეთ ჩვენ უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა? ...ქუეყანა ესე მორწყუასა საჭიროებს სწავლათა მიერ და სარწმუნოების ძირთა განპოხებას ქადაგებითა მოძღვრებითა მსგავსად წმიდათა მოციქულთა“ – ამ სიტყვებით დააგზავნა სულიერი ძმები დიდმა მამამ, იოანემ, სამოციქულო ღვაწლისათვის ქართლ-კახეთის მხარეებში.

ცამეტი ასურელი მამის ღოცვა საქართველოს მოეფინა და მათ ზნეობრივი, სულიერი ციხე-სიმაგრეები ააგეს ქართველ მართლმადიდებელთა „თავის მისადრეკად“. წმიდა კირიონი წერს: „ქართველებს, სარწმუნოების დასაცავად, აღმატებული ზნეობრივი ძალა ჰქონდათ, და ამ ზნეობრივ ძალას იგი ივერიის ახალ მოციქულებს უნდა უმადლოდეს“; ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი კი შენიშნავს: „წმინდა სამონოზნო მოღვაწეობის გარდა, ასურელი მამები საქართველოში მოსული იყვნენ საქადაგებლად, ქვეყნის განსამტკიცებლად, „სარწმუნოებისა მართლისა“ და წმიდისა სამებისა, ე.ი. მართლმადიდებლობის გასაძლიერებლად“ (ტ.1. 411გვ.).

ამ პერიოდისათვის განსაკუთრებით მძიმე გარემო იყო ახლადშენებულ დედაქალაქ თბილისში, სადაც სპარსეთის წარმომადგენელი მოხელე, „მარზაპანი,“ სასტიკად დევნიდა ქართულ მართლმადიდებლურ ცნობიერებას და კერპთაყვანისმცემლობის ბილწებას განავრცობდა ერში. თბილისს

სხვა მრავალი „უცხოადმსარებლობაც“ მოძალებოდა, რომელთა ნაზავსაც დღეს რელიგიურ „სინკრეტიზმს“ ვუწოდებთ.

„მამა მამათა“, იოანე ზედაზნელი, თბილისში სამოღვაწეოდ წარმოგზავნის თავის ხორციელ ნათესავს, სიყრმითგან მასთან აღზრდილ საყვარელ მოწაფეს, საღვთისმეტყველო და საერო განათლებით სრულად აღჭურვილ მამა დავითს, რომელსაც



ძველი თბილისი

„მარხულობის ბრწყინვალე მაგალითს“, „ელვარესა მარგარიტს“ და სხვა მრავალი ეპითეტით იხსენიებს წმიდა ეკლესია.

ღირსი მამა, სამოციქულო ღვაწლისათვის გამოირჩევეს ქართლის დედაქალაქ თბილისს, რომელიც სულიერი ბრძოლის ასპარეზად ქცეულიყო, მაგებისა და ტერტერების მხსრეკაობას შეეპყრო და რომლის ზეცაც უწმიდურ სულთა კრებულს დაეხშო.

სწორედ ამ დროს შემოდის მამა დავით გარეჯელი თბილისში, მორჩილ ღუკიანესთან ერთად; ხოლო მოდის კაცი ღვთისა, დაძონძილი, ფეხშიშველი, საბერო კვერთხით და კუნკულით, უპოვარი და მიუსაფარი; რომელიც დაივანებს ქალაქის მოშორებით, ტყე-ბუჩქნარით დაფარულ მთაზე, რომელც აწ „მთაწმიდისა“ და „მამადავითის“ სახელით არის ცნობილი. წმიდა მამა იქ გამოქვაბულს იპოვნის, „ცხოვრების“ აღმწერელის თქმით – „სადაყუდებულოს“ და წმიდა დავითი იქ, ქალაქის თავზე, აღმართავს ჯვარს, ააგებს მცირე სამლოცველოს და ასკეტურ ცხოვრებას მიეცემა.

მთის ფერდობზე, მცირე სამლოცველო-

ში, განუწყვეტელი ლოცვით და ცრემლით გამოითხოვდა წმიდა მამა ღვთისაგან ქართველთა სულიერ ხსნას. ივერიის ახალი მოციქული თავსმდები იყო ყველა ქართველის ცოდვისა და მხურვალე ლოცვით ინანიებდა სხვათა ცოდვებს, ვითარცა საკუთარს. ამიტომაც შეარქვა ერმა მის მიერ სასწაულით აღმოცენებულ წყაროს „მთაწმიდაზე“ და დავით გარეჯის მონასტერში – „მამა დავითის ცრემლები“. წმიდა დავითის ლოცვას ასე გადმოგვცემს მისი ცხოვრების აღმწერელი: მწუხრის ლოცვებზე მოღვაწებისას, მზე მის ზურგს უკან, დასავლეთით ჩავიდოდა და მთელი ქვეყანის მშვიდობისათვის, ქრისტეს მცნებისა და სჯულის აღსრულებისათვის ფეხზე მლოცველს და ნილოსივით ცრემლმდინარეს, თავზე დაათენდებოდა და მანამ გააგრძელებდა ლოცვას, ვინემ აღმოსავლეთით, მის წინაშე კვლავაც აღმოხდებოდა მზე. ლოცვით განლეული ღირსი მამა

დღეში ერთგზის, ველური ბალახით იკვებებოდა და წყაროს წყალს სვამდა.



ძველი თბილისის ელბები სალაყობზე

საეკლესიო გადმოცემით, ცნობილია რომ მამა დავითი მთელ დროს ლოცვასა და მასთან მისულ ჭირვეულთა კურნებასწავლებებაში ატარებდა, ხოლო კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით ჩამოდოდა მთიდან და ქალაქის განაპირას, „სალაყ-


ბოდ“ წოდებულ ადგილს გასართობად თავმოყრილ ხალხში გადიოდა საქადაგებლად. ძნელი წარმოსადგენია ის თავგანწირვა, სიმხნე და ღვაწლი, რომლითაც VI საუკუნის იბერიის ახლადდაარსებულ დედაქალაქ თბილისში აღზევებულ სპარსულ-სომხურ შეთქმულებას შეება წმიდა დავით გარეჯელი. რჯულის განმწმედელმა მამამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ანტიქრისტიანულ სწავლებათა ნაირსახეობას და აღასრულა უფლისმიერი კურთხევა, რომელიც „მამათა მამის“, იოანე ზედაზნელისაგან მიეცა: „ჯერ არს რათა წარვიდეს თვითეული თქვენგანი და განამტკიცებდეს სარწმუნოებითა მართლითა, რომელთ მიუღებდეს ნათლისღებად სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა“.

„მტვრითველი ყოვლისა მორჩილებისა და სიმდაბლისა“ დღესაქამომდე მამა დავითი, განვალს ქალაქის შესაკრებლებში, სადაც უწმიდურობა და სიცრუე მძვინვარებს და განფენს სამოციქულო სიტყვის მადლს. სხვაა ქრისტეს მხედრის ქადაგება და სხვა – ქრისტემტყუვართა. წმიდა მამა არა მარტო უსჯულოთა და მწვალებელთა სამხილებელად, არამედ სამღვდელთა საფხიზლებელადაც მიმოდის თბილისში; იმ მწყემსთა სამხილებელად, რომლებიც დაცვენილ ფარას – კი არ მიხედავდენ, არამედ – ამქვეყნიურ სიამებებს. მამა დავითის საგალობელში ვკითხულობთ: „და აღიღე შენ შური დიდისა ილიასი, რომელმან მოსრნა მღვდელნი იგი სიცრუვისანი, ბილწი კერპები შემუსრნა და ქართლის დაბნელებული ქვეყანა გაანათლა“. ღირსი მამა არ ერიდებოდა გამძვინვარებულ, მასზე ხილულად მონადირე ანტიქრისტეს მსახურებს და საჯაროდ ამხელდა და შრეტდა მათი უზნეო სწავლებების ცეცხლს.

წმიდა დავითის ქადაგებამ და საქმემ თბილისელები გამოაფხიზლა; მათ იხილეს სულიერი მწყემსის შრომა, ღოცვა, და თავდადება, რომლითაც ღვთივრჩეულმა მამამ ბრძოლა გამოუცხადა ზოროასტრიზმს, მონოფიზიტობას და თბილისში მოარულ ყოველგვარ მაგიას; დიდმა მამამ მაგებისა და ტერტერების თარეში ალაგ-

მა და სულიერ ხრწნილებას მიცემული ქართველთა დედაქალაქი მართლმადიდებლური ნათლით განაბრწყინვა.

ღირსი მამის ღვაწლმა, თბილისელებს ქვაგულები გაუღლო. ქრისტეს უშიშარი მხედარი ურჯულოთაგან მიტაცებულ სულთა გამოსახსნელად ქალაქში დადიოდა, სწავლიდა და კურნებდა ერს; სასწაულოთ მოაქცევდა მრავალს და ქრისტიანული ზნეობით მოსაგდა მათ. დიდი ასკეტი მამის ირგვლივ მომრავლებულმა ქრისტეს სულიერმა მხედრობამ ურჯულო და უცხ-



„მამადავითი“ – „თაწმიდა“

ოტომელნი ესოდენ შეადრწუნა, რომ მართალი სულისთვის შეითქვენენ და მისთვის საჯაროდ ცილისწამება იზრახეს; რადგან ფიზიკურ განადგურებაზე მეტად, მტერი მისი ავტორიტეტის, მისი სიწმიდის შეგინებას უფრო ეშურებოდა. ამიტომ, ცეცხლთაყვანისმცემელთა და მონოფიზიტაგან მიგზავნილმა ფეხმძიმე მეძაგმა, საჯაროდ



ქვაშვეთის ტაძარი



დავით გარეჯის ლავრა

ცილი შესწამა ღვთივსათხო ბერს; ხოლო წმიდანმა, სადიდებელად უფლისა, ღვთისაგან სასწაული გამოითხოვა, კვერთხი შეახო ცოდვილ დედაკაცს და მუცლადმყოფ ყრმას ათქმევინა, რომ მისი მამა მჭედელი იყო. ცილისმწამებელმა დედაკაცმა კი იქვე ყველას თვალწინ, შვა ცოდვის ნაყოფი – ქვა. კიდევ უფრო განაკვირვა უსჯულოთა კრებული ცოდვილი დედაკაცისათვის ქვის დამკრები ადამიანების მოქცევამ და სასწაულის ადგილზე „ქვაშვეთის“ ტაძრის შენებამ. მამა დავითმა თბილისიდან განდევნა ბოროტი სული, რომელიც მას გარეჯის უდაბნოში ვეშაპად წარმოუჩნდა და დაამხო.

უდაბნოში ვეშაპის დამთრგუნველ და სიმდაბლით იერუსალიმის „მადლის ქვის“ საკვირველად მომხვეჭველ, მამა დავითს უფლის ანგელოზი იერუსალიმის პატრიარქს, მაკარს, ასე აღუწერს: „...კაცი ღმრთისა, რომელსა ეწოდების დავით ღირსი, რამეთუ დაბებკულითა მოსილ არს უნდოდ და გუადრაკი ჰკიდავს ბეჭთა მისთა და წვერნი მისნი შთავლენან ვიდრე სარტყელადმდე და კვერთხი ხელთა მისთა და ხამლნი უნდონი ფერხთა და მან წარიღო სრულიად მადლი ქალაქისა წმიდისა იერუსალიმისა“.

როგორც ცნობილია, ქართველთა სულიერ ნიშს წარმოადგენს „მამადავითის“ მთა, რომელიც VI საუკუნიდან იქ მოღ-

ვაწე წმიდა მამის სახსენებელად უწოდა ერმა და სადაც სამონასტრო ცხოვრება აღორძინდა; ხოლო ამ მთას მეორე სახელი – „მთაწმიდა“ შეერქვა X საუკუნიდან, ათონის ივერთა მონასტრის ანალოგად, სადაც ათონელი ბერები ხშირად ჩამოდიოდნენ და მოღვაწეობდნენ; რომლის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, „ამ მთასა შინა არს მონასტერი მთაწმიდისა“.

საგულისხმოა, რომ საქართველოს დედაქალაქ თბილისში, წმიდა მამა დავითის წინააღმდეგ ბრძოლა საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა ფორმით იჩენდა თავს. მაგალითად, XVI-XVII საუკუნეებიდან, ისტორიკოს ვახუშტი ბატონიშვილის მოწმო-



მამა დავითის ცრემლები

ბით, „მთაწმიდას“ სომხები „იშიტუტრუცს“ უწოდებდნენ: „...ხოლო კვალად დასავლით, იშიტუტრუცის კლდესა შინა არს მონასტერი მთა-წმიდისა, და აწ ცალიერიო“ (ვახუშტი „საქ. გეოგრაფია“); პლატონ იოსელიანის განმარტებით, „იშიტუტრუცი“ სომხური სიტყვაა და ქართულად „ვირის მთად“ ითარგმნება; რასაც მიხეილ საბინინი ადასტურებს და კიდევ უფრო განავრცობს, რომ: „ვირის მთა“ ამ წმიდა მთისათვის სომხებს უწოდებიათ, რადგან სავაჭროდ მოსული სომხები ამ მთის კალთებზე საძოვრად გაუშვებდნენ ხოლმე ტვირთაქსნილ ვირებს“. ხოლო ისანში, მთისათვის, რომლის გამოქვაბულშიც მამა დავითი მცირე ხნით მოღვაწეობდა, სომეხ მონოფიზიტებს უწოდებიათ „ჯოჯოს“ მთა (პლატონ იოსელიანი, მიხეილ საბინინი) და იქ მაგიურ რიტუალებს აღასრულებდნენ; აღსანიშნავია, რომ გარეჯის



მამა დავით გარეჯელის საფლავი

უდაბნოში დავანებულ მამა დავითს, სულით ბარბაროზი ვინმე ბუბაქარის კითხვაზე: – „ვინ ხარ და საიდან მოსულხარო?“ წმიდანი სომხურითა ენითა ეტყოდა: „– მე მონა ვარ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“ (იხ. მიხ.საბინინი). საგულისხმოა, რომ ქართლში შემოსული ასურელი მამები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ქართული ენით ესაუბრებიან, ხოლო

აღნიშნული მონაკვეთის მიხედვით, სომეხს – სომხურ ენაზე მიუგებენ.

წმიდა მამა დავით გარეჯელმა, ასურელ მამათა განჩინებით, მრავალი ქრისტიანი შემოიკრიბა და ზოგადცხოვრებულთა ტიპის სამონასტრო ცხოვრებას დაუდო საფუძველი. მან ლოცვის საფარველი გადააფარა ახლადამოცენებულ დედაქალაქ თბილისს და განბანა მოღვაწეების ცრემლით; წმიდა დავით გარეჯელმა საქართველოს სულიერ-კულტურული დედაქალაქი აღაშენა და „განანთლა სოფელი, წმიდა იქმნეს ჰაერი და განქარდეს ეშმაკთა ბომონნი, განიდევნა საცდური კერპთა და დასცხრა საძაგელება“.

ღირსი მამა კვლავაც ლოცულობს ურჯულოებით, შურით, ამპარტავნებით, უსიყვარულობით ქანცმილეულ თბილისელებსა და სრულიად საქართველოსათვის; სანატრელი მწყემსი ქართველებისა ლოცულობს ერში სოდომ-გომორის ცეცხლის ჩასაქრობელად, თბილისის თავზე ყოველი უწმიდურების ცოდვის ნისლის გადასაწმედად და მოგვიწოდებს, რათა ნათელდებულნი ავმაღლდებოდეთ უფლისათანა და აღვასრულებდეთ წმიდა მამის ანდერძს: „არამედ თქვენ დაიმარხეთ მცნებანი ქრისტესნი და იყუარებოდეთ ურთიერთას სიყუარულითა უზაკველითა და იტვირთეთ სიმძიმე ურთი-ერთისა და ესრეთ აღასრულებთ სჯული ქრისტესი“.

მარიამ (მარინე) ნიაური

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ძვ.ქართული აგიოგრაფიული ძეგლები წგნ. 3. თბ. 1972.
2. კალისტრატე ცინცაძე „ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესია“ თბ. 1904.
3. ივ. ჯავახიშვილი თხზ. ტ. 1979,2,7
4. ჩორგოლაშვილი გ. „მთაწმიდა“
5. „საქ. ეკლესიის კალენდარი“ 1998
6. საბინინი „საქართველოს სამოთხე“ პეტ. 1882.
7. Католикос-патриарх Кирион II “Преподобный Давид Гареджели...Э1901.
8. კ. კეკელიძე ქართ. ლიტ. ისტ. ტ.1.

IVERIETIA MONASTERI ATONZE

ათონის წმიდა მთის ივერთა მონასტერზე მრავალი ჟანრის შრომა დაწერილა, მაგრამ მართლმადიდებელთა და კერძოდ, ქართველთა მისადმი ინტერესი დაუცხრომელია.

ამჯერად, მკითხველს ვთავაზობთ გასული საუკუნის ქართველი ემიგრანტის, ცნობილი მეცნიერისა და მკვლევარის, გიორგი ნოზაძის, „მოგზაურობის შთაბეჭდილებანს“; სადაც ავტორი ათონის წმიდა მთის, და კერძოდ, ქართული მონასტრის, „ივირონის“ ძველი და უახლესი ისტორიის საინტერესო დეტალებს გვაცნობს.

გიორგი ნოზაძე დაიბადა 1904 წელს, ზემო იმერეთის სოფელ წირქვალში (სახხერესთან ახლოს). ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლა გააგრძელა ქუთაისის გიმნაზიაში. 1919 წელს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ იგი უფროს ძმასთან, ვიქტორ ნოზაძესთან, ერთად ლონდონში სასწავლებლად გააგზავნა, 70 ქართველ ყმაწვილთან ერთად. გიორგიმ, არქიტექტურული ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, ცოლად შეირთო მშვენიერი ლიდა შარაშიძე, რომელიც დიდად შეეწეოდა ძმების, გიორგისა და ვიქტორ ნოზაძეების, სამოღვაწეო საქმიანობას. ცოლ-ქმარი ლევილში, მყუდრო სახლში დასახლდა, სადაც მოგვიანებით საცხოვრებლად გადადის ვიქტორ ნოზაძე და მათი შემწეობით, ყოველგვარი საცხოვრებელი საზრუნავისაგან განთავისუფლებული, სრულად მიეცემა სამეცნიერო საქმიანობას.

გიორგის და ლიდას შვილი არ მიეცათ. ბატონი გიორგი აქტიურ საზოგადო მოღვაწეობას იწყებს: იგი იყო რედაქტორ-გამომცემელი, წერილებს აქვეყნებდა ხელოვნებათმცოდნეობაზე ქართულ გამოცემებში: „ბედი ქართლისაში“, ჟურნალ „ერის დიდებაში“, „სამშობლოში“; ამასთანავე, აწესრიგებდა ძმის, ვიქტორის, ნაშრომებს; გიორგის სახლში იკრიბებოდა ქართული ემიგრაციის ინტელექტუალური ელიტა, რომელიც ეროვნული სულიერ-კულტურული მეობის წარმოსაჩენად დაშვრებოდა. გიორგი ნოზაძე გარდაიცვალა 1991 წელს. დაკრძალულია ლევილში.

გიორგი ნოზაძის სტატიების მცირე ბიბლიოგრაფია წარმოდგენილი აქვს პროფესორ გურამ შარაძეს წიგნში „უცხოეთის ცის ქვეშ“ (ტ.1 1941. თბ. 335-420.); რომელთაგან აღსანიშნავია: „ცოტა რამ ვეფხისტყაოსნის ქართველ მხატვრებზე“, „ნიკო ფიროსმანი“, „ქართველი მხატვრები პარიზში“, „ანთიმოზ ივერიელი და ქართული სტამბა“, „მოკლე განხილვა ქართული საეკლესიო არქიტექტურისა“ და სხვა.

როგორც ბატონი გიორგი თავადვე შენიშნავს, მან 1963 წლის აპრილს, ალექსანდრე კინწურაშვილთან ერთად იმოგზაურა ათონის წმიდა მთაზე და შემდგომში კრებულ „კავკასიონში“ (პარიზი, 1964 წ. №39) გამოაქვეყნა მოგზაურობის შთაბეჭდილებანი „ივერიელთა მონასტერი ათონზე“.

ჟურნალ „მაყვლოვანის“ მკითხველს ვთავაზობთ ცალკეულ თავებს აღნიშნული სტატიიდან.

* * *

ქრისტიანული გადმოცემის მიხედვით, ყოველწმიდა ღვთისმშობელმა მარიამმა, მოციქულ იოანესთან ერთად, ათონზე იქადაგა ქრისტიანობა; ამიტომ, ბერძნებმა ეს ნახევარკუნძული ღვთისმშობლის წილხვდომილად გამოაცხადეს.

ათონის მთაზე პირველი მონასტრის გაშენებამდე, ე. ი. მეათე საუკუნემდე, იქ უკვე

ცხოვრობდნენ განყენებული, განდევნილი, ბერები, რომელთაც ბიზანტიის იმპერატორმა ბასილმა (876-886) მიანიჭა ყოველგვარი პრივილეგია; ხოლო იმპერატორმა მონომახმა, განსაკუთრებული ბრძანებით, დაადგინა, ათონის მთის ხელშეუხებლობა. ცნობილი არ არის, თუ როდის დაიწყო ათონის მთაზე სამონასტრო ცხოვრება. გამორკვეულია

მხოლოდ, რომ 963 წელს ბერმა ათანასემ, რომელიც იყო მრჩეველი და სულიერი მამა ბიზანტიის იმპერატორ ნიკიფორე ფოკასი, ათონის მთაზე დააფუძნა მონასტერი, ჰაგია ლავრა, – რასაკვირველია, იმპერატორის დახმარებით. ეს იყო პირველი მონასტერი ათონის მთის ნახევარკუნძულზე.

სწორედ იმავე ხანებში, ესე იგი, პირველი მონასტრის დაფუძნების შემდეგ, ოცი წლის მერმე, ქართველებმა ააშენეს ქართული მონასტერი. ამ მონასტრის დამფუძნებელი იყო ბერი იოანე, ერისკაცობაში გვარად ჩორჩანელი – ხურსიძე. და ამ მონასტერს ეწოდა ბერძნულად „ივირონი“, ხოლო ქართულად – „ივერიონი“.

ათონის მთის დიდებამ შუა საუკუნეთა მანძილზე უმაღლეს წერტილს მიაღწია; მონასტერთა რიცხვი 180-ზე ავიდა. მას შემდეგ რაც თურქებმა საბერძნეთი-ბიზანტია დაიპყრეს (მეთხუთმეტე საუკუნეში), მონასტერთა რიცხვმა თანდათან იკლო და 1822 წელს მხოლოდ ოცდაერთ მონასტერში გაისმოდა გალობა! დღეს კი მონასტერთა რიცხვი ოცს უდრის.

ეგეის ზღვა ტბასავით წყნარი და მშვიდი იყო. მზიანი დღეც დაგვიდგა. ორი საათის სვლის შემდეგ უკვე გამოჩნდნენ კლდეებზე გადმოკიდებული, განყენებული ბერების სკიტები. ტურისტებმა თავისი ფოტოაპარატი მოიმარჯვეს და არც ჩვენ ჩამოვრჩით მათ. შორიდან ვხედავთ მონასტერს; ესაა მონასტერი „სტავრონიკიტას“ სახელწოდებით.

10 საათზე მივვლით დიდ მონასტერში, რომელსაც ეწოდება „ვოტოპედი“; მისი ფასადი არის აგურის ფერად შეღებილი; შორიდან იგი გამაგრებულ სასახლეს ჰგავს; მაღალი კოშკები იცავს მას. აქ, ლურჯ ზღვაზე, შენობების ანარეკლი ფანტასტიურ ელფერს იძლევა.

აი, გამოჩნდა ქართული მონასტრის, ივერიონის, სილუეტი!

ზღვიდან ჩვენი მონასტერი ჰგავს გამაგრებულ ციხე-ქალაქს, ნავთსადგურიდან მარჯვნივ სდგას მაღალი კოშკი; მეორე, უფრო დიდი სიმაგრე, მარცხენა მხარეს იცავს; წინა ნაწილი მაღალ კლდეებზეა აშენებული; აქ ბერების სენაკებია ჩამწკრივებული; წინ ვენახია გაშენებული; გარშემო სიმაღლეები ხშირი ტყით არის დაფარული.

მონასტრების არქიტექტურული გეგმა

თითქმის ყველა ერთნაირია. ციხე-სიმაგრეში არის შიგნით დიდი ეზო, სადაც მთავარი ადგილი უკავია ეკლესიას და ოთხკუთხი მოედანი გარშემო შეკრულია შენობებით, სადაც ბერების საცხოვრებელი ბინები ანუ კელიები, სენაკები, არიან გაწყობილი და სტუმრებისათვის მისაღები დარბაზები. მაღალი კოშკები, რომლებიც ძველად საზვერავ მოვალეობას ასრულებდნენ, დღეს გამოყენებული არიან ან ბიბლიოთეკად, ან უბრალო საწყობად. ყველა მონასტერს გარშემო აკრავს ბაღი და ბოსტანი, ზოგჯერ ვენახიც. მონასტრის გარეთ არის სხვადასხვა პატარა შენობა, მონასტრის მეურნე მუშებისათვის. მონასტრების სახე, თუ ერთმანეთს წააგავს, განსხვავება მაინც არის; ზოგ მონასტერში, მთავარი ეკლესიის გარდა, არიან პატარა ეკლესიებიც, სამრეკლოები.

ეზოში მოჩუხჩუხე წყარო ან აუზი ნაკურთხი წყლით გადახურულია პატარა ოთხკუთხი ან მრგვალი ფანჩატურით. მონასტრები განსხვავდებიან ფერთაც: წითელი, იისფერი, მარწყვის ფერი და ლურჯი ფერი ამკობს მათ. ყველა მონასტერს ამკობს მაღალი სამრეკლო, საიდანაც ზარის ხმა იშვიათად მოისმის, მის მაგიერობას ასრულებს ქსილომანდრონი – ეს არის გრძელი დაფა, რომელზედაც ბერი ხის ჩაქუჩით ურტყამს და მისი ხმა შორს გაისმის. ყოველ დამე, ორ საათზე, მოისმის ეს ყრუ ხმა და ამ დროს კელიებში სანთლები აენთებიან და ბერთა შავი აჩრდილები ეკლესიისაკენ მიეჩქარებიან. გარეთ ისევ სიწყნარე სუფევს, ხოლო მონასტერში გაისმის ბერთა გალობა. ერთი საათის შემდეგ ბერები უკან ბრუნდებიან, მაგრამ გათენებადის ისევ გაისმის ძელის ზარის ხმა და ისევ იწყება ლოცვა. შუადღემდე ორი წირვაა; საღამომდე კიდევ – ერთი წირვა და ასე გაუთავებლად. დიდ დღესასწაულებზე ხომ გამუდმებული წირვა-ლოცვაა.

ნავი 11 საათზე მიადგა „ივერიონის“ მონასტრის ნავთსადგურს.

... ჩვენი გამყოლი ბერი იყო დიდად ახოვანი, უზარმაზარი ტანის კაცი; იგი ბერძნულად გველაპარაკებოდა, ხოლო ერთი პატარა ბერი ხან ინგლისურად, ხან გერმანულად გვითარგმნიდა. მე და ერთ გერმანელს გვინდოდა ხატის სურათის გადაღება, მაგრამ ბერმა მკაცრად აგვიკრძალა.

ამ ბერმა მთავარი ეკლესიის შუაგულ-

ში დაგვაყენა, გუმბათის ქვეშ, ღვინისფერ მრგვალი მარმარილოს გარშემო, რომელსაც თეთრი მარმარილოს არშია უწოდებენ. მასზე იყო ირგვლივ ბერძნული წარწერა. თარჯიმანი თარგმნის: „მე აღვაშენე ეს ეკლესია, რომელიც იარსებებს სამუდამოდ. გიორგი ივერიელი, დამფუძნებელი“.

ამ დროს აღექსანდრემ წამოიძახა:

– ეს ამშენებელი იყო ქართველი! ჩვენ აქ მოსული ორი ქართველი ვართ!

ბერებმა და ტურისტებმა ჩვენ გაკვირვებით შემოგვეხედეს; ერთი ბერი გავიდა ტრაპეზის უკან, გამოიტანა გრძელი ჯოხი და მით ჩამოიღო ტრაპეზის წინ ჩამოკიდებული ვერცხლის ჭურჭელი...

– თუ ქართველები ხართ, აბა წაიკითხეთ აქ რა სწერია! იღუმენ ათანასეს, რომლის ნახვა თქვენ გინდათ, აინტერესებს!

ტურისტებიც ძალიან დაინტერესდნენ ამ შემთხვევით. მე ძალზე შევშინდი: ვაი თუ ხუცურად სწერია! და თუმცა ხუცური ანბანი თან მქონდა წაღებული, მაგრამ იქ ანბანთა ძებნა დიდად სასახელო არ იქნებოდა! მადლობა ღმერთს: წარწერა მხედრული ასოებით იყო შესრულებული, რაც უკვე ადვილად წავიკითხეთ. იგი იყო ასეთი: „უფალო, ამ ბარძიმის მომრთმევი დაამკვიდრე სასუფეველსა შენსა ამინ. ვარ არისო ჩუღდ“. (ეს უდრის 1434).

ამის შემდეგ ეკლესიიდან გამოგვიყვანეს და გამოგვიცხადეს:

– აიღეთ თქვენი ბარგი და წაბრძანდით კარიესში, ვიზების მისაღებად...

ტურისტები გზას გაუდგნენ; ჩვენ კი არ ვინძრევით. მოგვიახლოვდა თარჯიმანი ბერი და გვეუბნება:

– თქვენ რატომ არ მიდიხართ? აქ უვიზოდ დარჩენა აკრძალული არის!

– ჩვენ გვაქვს ბარათი მონასტრის წინამძღვართან, ათანასესთან და სანამ მას არ ვიხილავთ, აქედან ფეხს არ მოვიცვლით!

– მაგისტანა ბარათები ყოველ დღე მოაქვთ ტურისტებს! – გაბრაზებით ამბობს ბერი.

– ჩვენ ქართველები ვართ; მოვდივართ შორიდან, რათა წინაპართა მიერ აგებულ ეკლესიაში ვილოცოთ და იგი დაწვრილებით დავათვალიეროთ. ჩვენ უბრალო ტურისტები არ გახლავართ! ჩვენ ცნობისმოყვარობის გულისათვის არ მოვსულვართ!

– მაშ კარგი, ახლა იწყება წირვა; დაესწართ მას; ილოცეთ და შემდეგ ვნახოთ. ამ ბრძანებამ დიდად გაგვახარა.

შევიდვართ მთავარ საყდარში ივერიონისა; ბერები ცალ-ცალკე მოდიან; ისინი თითქმის ყველანი ხანდაზმულნი არიან; ერთი ბერი მოგვიახლოვდა; მიგვიყვანა საპატიო ადგილზე და იქ გაგვაჩერა.

სამლოცველოს კედლების გასწვრივ მადალი სკამებია; ბერები, ზოგი ნახევრად დამჯდარი; ზოგი ფეხზე მდგომი უსმენენ წირვას. მარცხნივ და მარჯვნივ სდგას ორი მოხუცი მეგობრული ბერი; ტრაპეზთან ახლოს იმყოფება ორი ახალგაზრდა დიაკონი; წირავს ძვირფასად შემოსილი მღვდელი, რომელიც საკურთხეველიდან იშვიათად გამოდის. მონასტრის წირვა განსხვავდება ეკლესიის წირვისაგან; გალობა არის დიალოგებით; ჯერ ერთი გალობს; მერმე მეორე ორი მას უპასუხებს; შემდეგ ყველა ერთად გალობს.

„ქრისტე აღსდგა“ როცა იგალობეს, აღექსანდრემ ქართულად, დაბალი ხმით, იგალობა „ქრისტე აღსდგა“. ქართული გალობა უკვე დიდი ხანია ივერიის მონასტერს აღარ გაუგონია!

წირვის შემდეგ მივმართეთ გამყოლ ბერს:

– გთხოვთ, ეს ბარათი გადასცეთ იღუმენ ათანასეს და თუ ის უარს გვეტყვის მიღებაზე, მაშინ წავალთ აქედან.

– ათანასე ბერს სძინავს, შეუძლოდ არის; ყოველ შემთხვევაში, მას ნაშუადღევის ოთხ საათამდე ვერ ნახავთ. – მან ბარათი ჩამოგვართვა და წავიდა. ნახევარი საათის შემდეგ იგი მობრუნდა:

– ოთხ საათზე მდით მთავარ ეკლესიის დერეფანში და იქ ნახავთ ათანასეს – გვითხრა ღმილით – ახლა კი, წამობრძანდით სასადილოდ.

– გავიმარჯვეთ! გეტოვებენ!

სასადილო დარბაზში სადილობდა, ჩვენს გარდა, სტუმრად მოსული ორი ბერი. სადილად მოგვიტანეს ლობიოს წვენი, ერთი ჭიქა ღვინო და პური. ეს იყო მათი სადილი. თვითონ ბერები თავ-თავის სენაკში სადილობენ, ზოგ მონასტერში კი – საერთო სასადილოში.

ივერიონის წინამძღვარ ათანასესთან შეხვედრამდე დაგვრჩა ორი საათი. გავედით

ეზოში. ჩვენს მეტი სულიერი იქ არავინ ჩანდა, შემდეგ გავიგეთ, რომ ოთხ საათამდე თურმე ყველას სძინავს, ბერებსაც და მუშებსაც. შევუდექით ფოტოაპარატით სანახების გადაღებას – სამრეკლო, კოშკები, ბერთა სენაკები, ეზოს შუაგულში მარმარილოს ფონტენია, სადაც წირვის შემდეგ ბერები ნაკურთხ წყალს სვამენ და სხვა მრავალი ნაგებობაა.

გადავდივართ ეზოს გარეთ. გარშემო კარგად დამუშავებული ბოსტნებია და ზეთის-



წმიდა ათონის მთა. ივირონის მონასტერი

ილის მრავალი მცენარე. გვერდზე ჩამოდის პაწაწა მდინარე. გარემო გორაკები დაბურული ტყით არის შემკობილი. მდებარეობა წარმტაცია თავისი მომხიბვლელი სილამაზით. შორს მოსჩანს ათონის მწვერვალი.

ცნობილი ქართველი მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც ათონის მთა მოილოცა 1775 წელს, თავის „მიმოსვლაში“ წერს: „განვიცადე რა ადგილთა შევნიერება, ხეხილთა, ვენახთა და წყაროთა, ედემის შესწორებულ იყვნეს“.

ხოლო თვით გიორგი მთაწმიდელის აზრით, ივერიელთა მონასტერის: „...რომლისა ჰაეროვნებად და შევნიერებად უადრეს ქებისა აღმატებულ იყო...“ „ფრიადნი იყვნენ მონასტერნი, გარნა მსგავსი მისი არ მოიპოვებოდა არა მხოლოდ მთასა, არამედ სხუათაცა მრავალთა ადგილთაცაო...“

მზე სასტიკად აცხუნებს, ჩავდივართ ზღვისპირას; გვინდა გავვრილდეთ, მაგრამ ზღვაში ბანაობას ვერ ვბედავთ. ბერების კელიების ერთი ნაწილი ზღვაზეა გადმოდგარი – შეუძლიათ დაგვინახონ! ზღვის პირას აღმართული კოშკის ჩრდილში წამოწოლილი არიან მუშები და სძინავთ. გაეიხადეთ ფეხსაცმელი და ჩავდექით ზღვაში მუხლებამდე. ცოტა გაგრილებული უკან ვბრუნდებით და დანიშნულ ადგილზე ვუცდით წინამძღვარ ათანასეს. ამ დროს ვხედავთ, ეზოში შემოდის სამი კაცი, რომელთაც უკან მოჰყვებიან სამნი, დატვირთული ყუთებითა და აპარატებით. ისინი ჩვენს ახლოს დასხდნენ. მუშებმა ბარგი იქვე დააწვეეს და მოშორებით გაჩერდნენ. მოგზაური მოგვესალმნენ თავის ქნევით. ჩვენ რასაკვირველია, დავინტერესდით მათი ვინაობით. მათ შორის ახალგაზრდა ხან ინგლისურად, ხან გერმანულად ლაპარაკობდა; ერთი ფრაზაც ფრანგულად გამოურია. ეტყობოდა უთარგმნიდა ერთ საპატიო შეხედულების კაცს მეორის ნათქვამს, რომელიც სხვებისაგან განსხვავდებოდა თავისი ჩაცმულობით. გამოველაპარაკეთ ამ

უკანასკნელს ფრანგულ ენაზე.

– კინორეჟისორი ხომ არ ბრძნადებით, ამდენი აპარატით რომ მოსულხართ?

ეს კაცი მხიარული და უხვი მოლაპარაკე აღმოჩნდა. იმ წამსვე გაგვაცნო თავი:

– მისტერ კ. ვარ დაბადებული ამერიკაში. რუსეთიდან ჩემი დედ-მამა პირველი ომის წინ ამერიკას გაიხიზნა; ერთ დროს საფრანგეთშიც ვიცხოვრე; პროფესიით ვარ რეპორტერი და ჟურნალისტი; ცნობილი ამერიკული ერთი ჟურნალისაგან მაქვს დავალებული წმიდა ათონის მთის მონასტრების სურათების გადაღება. ათინიდან წამოვიყვანე პროფესორი ვ. და ახალგაზრდა თარჯიმანი. პროფესორი მხოლოდ გერმანულად ლაპარაკობს კარგად; იგი არის დიდი სპეციალისტი ათონისა და ბერები მას დიდი პატივით ეპყრობიანო. თქვენ ვინ

ხართ? გეტყობათ, ფრანგები არა ხართ!

– ჩვენ ვართ ქართველები, აქ მოველით, მოვილოცოთ ჩვენი ქართული მონასტერი, ჩვენ წინაპართა მიერ აშენებული.

– ქართველები?! იქნებ რუსული იცით? რუსული უფრო მეხერხება, ვიდრე ფრანგული. არ ვიცოდი, თუ აქ ქართველებს საკუთარი მონასტერი გქონდათ. მე ვინახულე და გადავიღე ყველა მონასტერი – ბერძნების, ბულგარელების, სერბების, რუსების და როგორ მოხდა, რომ ჩვენმა პროფესორმა არ მითხრა რომ ეს მონასტერი ქართველებისა არის?!

– სამწუხაროდ, იყო და აღარ არის! არ ვიცით, კიდევ არიან დარჩენილი ქართველები თუ არა. ამას გავიგებთ, როცა იღუმენ ათანასეს შევხვდებით. მას ვუცდით აქ.

– ჩვენც მას ველოდებით.

– მისტერ! ერთი ჰკითხეთ მაგ თქვენ პროფესორს, თუ იცის, რომ ეს მონასტერი ქართველებისა არის?

თარჯიმანის საშუალებით იგი ეკითხება პროფესორს და პროფესორი უპასუხებს:

– ეს მონასტერი მათე საუკუნეში იოანე თორნიკოსმა აღაშენა, ივერიიდან იყო, გენერალი.

– სად არის თქვენი აზრით ივერია? – ვეკითხები.

– ივერია იმყოფება შავი ზღვის მეორე მხარეს.

– იმ ივერიას დღეს საქართველო ეწოდება – ვუპასუხე მე.

– საქართველო საბჭოთა ქვეყანაა! იქიდან მობრძანდით სალოცავად?! – გაკვირვებული სახით გვეკითხება პროფესორი.

– არა. ჩვენ საფრანგეთში მცხოვრებნი ვართ, პარიზიდან მოსულნი. – პროფესორი კმაყოფილი დარჩა ამ პასუხით.

ნარტექსის შესავალში, ჩვენ პირდაპირ, ეკიდა ქართული ხატი, რომელზედაც ქართული წარწერა არის. ამერიკელს ვეკითხები:

– თქვენ ხომ ყველა ენა იცით?! აბა წაიკითხეთ რა სწერია ამ ხატზე! აი, შეხედეთ!

ამერიკელი უცქერის ხატის წარწერას და გაკვირვებული თავს აქნევს, – არ ვიცო.

– ეს არის ქართული წარწერა. აი, პირველი საბუთი იმისა, რომ ეს მონასტერი ქართული იყო!

– თუ შეგიძლიათ გვიამბეთ, როდის და როგორ დააარსეს ქართველებმა ეს მონას-

ტერი. ჯერ კიდევ დრო გვაქვს, სანამ წინამძღვარი მოვიდოდეს.

– დიდი სიამოვნებით, მაგრამ ერთი პირობით: თქვენ უნდა მოიხსენიოთ თქვენს რეპორტაჟში ყველასაგან დავიწყებული ეს ისტორია.

– ვეცდები...

– ათონის მთის ივერიის მონასტერი დაარსებულია 980-983 წლებში. მისი დაფუძნების დაწვრილებით ცნობებს იძლევა ამ მონასტერშივე არსებული ხელნაწერი, „ათონის კრებულად“ ცნობილი. ათონის მონასტრის დამაარსებლად ითვლება ქართველი ბერი – იოანე. იგი იყო საქართველოს ერთი მხარის, ტაო-კლარჯეთის დიდად წარჩინებული პიროვნება. დავით კურაპალატის ახლო მყოფი, განთქმული მხედარი, გარეგნობით მაღალი და მშვენიერი, გონებით ბრძენი, მქმნელი მრავალი კეთილი საქმისა. იგი იყო დიდად მორწმუნე; მან მიატოვა ცოლშვილი, სოფლის დიდება და ჩუმად გაიპარა საქართველოში არსებულ ოთხთა ეკლესიათა ლავრაში. საქართველოში ხმა გავრცელდა მისი ბერად შედგომის შესახებ და ხალხი მოაწყდა მას სანახავად. ამიტომ იგი წავიდა მცირე აზიაში. ულუმბოს მთის მონასტერში იგი მსახურობდა მეჯორედ და მისი სახელი ამიტომ იყო „ხარტულარი“ (ქართულად: მეჯორე). იქ მან მიიყვანა თავის უმცროსი შვილი ექვთიმე, რომელიც შემდგომში გახდა საეკლესიო მოღვაწე და მწერალი. ულუმბოდან მამაშვილი მალე გადასახლდა ათონის მთაზე და იქ ისინი შეეკედლნენ წმიდა ათანასეს მიერ ახლად დაარსებულ დიდ ლავრას. თვით ეს დამაარსებელი ლავრისა იყო ნახევრად ქართველი. რადგან დედა მისი იყო მოღვმით ღაზი, ანუ ქართველი. მალე მათ შეუერთდნენ სხვა ქართველი ბერები და მათ შორის იყო ცნობილი მხედარი თორნიკე ერისთავი. იგი უკვე ბერად იყო აღკვეცილი. რადგან ბერთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, ლავრაში სივიწროვე შეიქმნა. ათანასეს რჩევითა და კურთხევით, ქართველებმა აქვე დააარსეს მახლობლად, წარმტაცი ბუნების წიაღში, მონასტერი ივერიელთა, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით. ივერია მაშინ დღევანდელ საქართველოს ეწოდებოდა. ქართველთა მიერ აგებული პირველი შენობა იყო პატარა ეკლესია, იოანე ნათლისმცემლის სახელზე. ამასთან ერთად, ააშენეს ქართველ ბერთათვის პატარ-პატარა სენაკე-



ივერიის კარის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი – „პორტაიტისა“

ბი. ამ დროს ბიზანტიაში მოხდა დიდი ამბავი. მცირეწლოვან ბიზანტიის იმპერატორებს, ძმებს, ბასილს და კონსტანტინეს აუჯანყდა იმპერიის აღმოსავლეთ მხარის მმართველი, ბარდას სკლეაროს. აჯანყებულებმა სასტიკად დაამარცხეს იმპერატორთა ლაშქარი და თვით სატახტო ქალაქი კონსტანტინოპოლი საფრთხეში ჩავარდა. იმპერატრიცა თეოფანამ გადასწყვიტა დახმარება ეთხოვა საქართველოს მეფე დავით კურაპალატისათვის. ბიზანტიის სატახტო ქალაქში კარგად იცოდნენ, რომ ათონის მთაზე იმყოფებოდა დიდი სტრატეგი და განთქმული მეომარი, თორნიკე ერისთავი, ახლა ბერი იოანე და სწორედ მას მიმართეს. იგი გაიწვიეს კონსტანტინეპოლს, სასახლეში; მცირეწლოვანი შვილები რომ შეებრალეებინა ბერისათვის, იმპერატრიცამ ფეხთ ჩაუგდო ბერს იმპერატორები (მცირეწლოვანი ძმები) და სთხოვა, საჩქაროდ მოციქულად წასულიყო საქართველოში, დავით კურაპალატთან.

– „ეს საქმე სიკვდილზე უფრო მძიმედ მიმაჩნიაო,“ – ამბობდა ბერი. მაგრამ გაითვალისწინა, რომ აჯანყებას მეტად ცუდი შედეგები მოჰყვებოდა, შეიძლება ათონის მონასტერიც ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო. ამიტომ გადასწყვიტა, დავით კურაპალატთან გამგზავრებულიყო და თან წაიღო იმპერატრიცას სავედრებელი წიგნი. მეფე დავით კურაპალატმა შეაგროვა 12.000 რჩეული მხედარი, ხოლო მისი სარდლობა თვითონ თორნიკე ერისთავს დაავალა. ქართ-

ველთა ჯარმა სასტიკად დაამარცხა აჯანყებულთა ლაშქარი და გადარჩენილნი სპარსეთისაკენ გადაჰყარა. დიდძალი ქონება ჩაუვარდა ხელთ გამარჯვებულ თორნიკე ერისთავს; ერთი ნაწილი მას ერგო და დიდი სიმდიდრით ისევ ათონის მთას დაუბრუნდა ბერად. მან მთელი ეს სიმდიდრე გადასცა მონასტრებს და რასაკვირველია, ქართულ მონასტერსაც. ამ ქონების წყალობით, ქართული მონასტერი ივერიონი გაადიდეს და გააძლიერეს... თვით დავით კურაპალატმაც მიიღო საჩუქრად, მთელი მისი სიცოცხლისათვის, ივერიის მოსაზღვრე მხარეები.

– მაშასადამე, ქართველები-ივერიელები მაშინ ისე ძლიერი იყვნენ, რომ მათ გადაარჩინეს ბიზანტიის ტახტი? – გაკვირვებით კითხულობს ამერიკელი.

– ეს ჩემი აზრი კი არ არის... ამის საბუთები ქართულსა და ბიზანტიურ ანალებში მოიპოვებიან. ქართველები ისე ძლიერი იყვნენ ეკონომიურად და კულტურულად, რომ მათ არა მარტო ათონის მთაზე, არამედ სხვაგანაც გააშენეს მონასტრები. სირია, პალესტინაში და ბიზანტიის სხვა მხარეშიც და სხვაგანაც. ამ მონასტერთა კულტურულმა კერებმა ააყვავეს ქართული კულტურა, მაგრამ ჩვენ ბერებს თავისი წვლილი შეჰქონდათ აგრეთვე ბიზანტიურ მწერლობაშიც. მაგალითად, ამ მონასტერში მოღვაწე ბერმა ექვთიმე მთაწმიდელმა ქართულიდან ბერძნულად თარგმნა მსოფლიოში ცნობილი რომანი „ბალავარიანი“, ანუ ისტორია ვარლამისა და იოასაფისა. აქვე მოღვაწეობდა ცნობილი მთარგმნელი და კომენტატორი, გიორგი მთაწმიდელი; ცნობილი არიან ქართველი ფილოსოფოსები: ეფრემ მცირე, პეტრიწონელი, არსენ იყალთოელი და სხვანი. ამ მონასტერში ინახება ზემოხსენებული ქრისტიანული რომანი „ბალავარიანი“, რომლის დასურათება-მინიატურები გეტყვიან თქვენ, თუ რა სიმაღლეზე იდგა ძველ ქართველთა შორის მხატვრობა. ნახეთ იგი მისტერ!

– ამ მონასტერის ამბავი და მისი ღვაწლი ახლა ხომ კარგად იცით, ბ. კ. – ეუბნება მას

ალექსანდრე – ახლა თქვენს წერილებში ათონის მონასტრის შესახებ, იმედი გვაქვს, ქართულ მონასტერსაც მოიხსენებთ!

ერთი თვის შემდეგ გამოქვეყნდა ამერიკულ ჟურნალში მისტერ კ-ს მიერ გადაღებული სურათები, ივერიონის მონასტრის სურათიც, მაგრამ ქართველებზე ერთი სიტყვაც არ იყო შიგ. ასე უშედეგოდ დასრულდა ჩვენი პროპაგანდა...

ამ ბაასის დროს უკვე ოთხმა საათმა მოაღწია და ვხედავ, გვიახლოვდება წარმოსადგეი მოხუცი ბერი, სათნო, მომღიმარი სახით; მან ბერძენი პროფესორი იცნო, ხელი ჩამოართვა და მას ცოტა ხნით ბერძნულად ესაუბრა; შემდეგ ჩვენსკენ მობრუნდა და ფრანგულად იკითხა:

– ვინ არიან თქვენ შორის ქართველები? ჩვენ წინ წავდეთ.

– თქვენ მოხვედით თქვენ წინაპართა მონასტერში სალოცავად, თუ ვით ცნობის-მოყვარე ტურისტები?

– დიდი ხანია სურვილი გვქონდა ათონზე სალოცავად მოვსულიყავით. დიდი გზაც გამოვიარეთ ამ მიზნით. რა თქმა უნდა, ამასთან ერთად გვინტერესებს ქართულ ნაშთთა ნახვაც; თუ ამის საშუალებას მოგვცემთ, დიდად მადლობელი დავრჩებით – უპასუხებს ალექსანდრე.

– უსათუოდ ყველაფერს გაჩვენებთ; თქვენ ქართველები ხართ. მოხარული ვარ თქვენი მოსვლით. ეს მონასტერი თქვენი წინაპრების მიერ არის აშენებული და ღირსნი ხართ დაწვრილებით მოიხილოთ იგი. ხომ ნახეთ დილით, რა სწრაფად გაისტუმრეს აქედან ტურისტები?! თქვენ შეგიძლიათ აქ დარჩეთ, რამდენ ხანსაც გსურთ; ჩვენი სტუმრები იქნებით. მე ავად ვარ, სიცხე მაქვს; მაგრამ რომ გავიგე ქართველების მოსვლა, თავს ძალა დავატანე და მოვედი თქვენს სანახავად. 1906 წელს მე თბილისში ვიყავი, მაშინ ახალგაზრდა ბერი, თან გავყევი ერთ დელეგაციას; ქართველებს კარგად ვიცნობ...

ჩვენი მასპინძელი ბერი ათანასე მოგვითხრობს სასწაულმოქმედ ღვთისმშობლის ხატის შესახებ. ამ ხატს ბერძნები უწოდებენ: პორტაიტისას, ე. ი. კარის ღვთისმშობლის ხატი. ეს პორტაიტისა დიდად ცნობილი ხატია. მისი თავგადასავალი აღწერილია ათონის წიგნებში; იგი აღწერა

ტიმოთე გაბაშვილმაც თავის „მომოსვლაში“; ფრანგმა მოგზაურმა რანდოლ კოატმა და ბევრმა სხვამაც. დაახლოებით ყველა ერთსა და იმავეს მოგვითხრობს:

ბიზანტიის იმპერატორ თეოფილეს დროს (829-842) ატყდა დავა ხატის თაყვანისმცემელთა და ხატის მოწინააღმდეგეთა შორის. უკანასკნელი ხატებს უარსა ჰყოფდნენ, იტაცებდნენ, სწვავენ, ვითარცა კერპთა თაყვანისმცემლობის ნიშანს. მათ მიემხრო თვით იმპერატორიც და ბრძოლა დიდად გამწვავდა. მეფის ერთი მოხელე ქალაქ ნიკეაში შესულა ერთი დედაკაცის ბინაში, ხატი აღმოუჩენია და გაჯავრებულს ხატისათვის ხრმალი დაურტყამს. ნახრმალევზე ხატს სისხლი გამოსვლია. ამ სანახაობით შეშინებული მოხელე გიჟივით გაქცეულა, ხოლო შეშინებულ დედაკაცს ეს ხატი ზღვაში გაუშვია. ზღვის ზვირთებს ეს ხატი მიუცურებია ათონის მთასთან ახლოს. დამლობით ხატზე ზეცით შუქი ანათებდა ხოლმე. წმიდა მამებს გადაუწყვეტიათ, ამ უცნაური ხატის გამოტანა და ნავით მისულან, მაგრამ ყოველი მიახლოებისას, ხატი მათ შორდებოდა და იგი ტალღებს შორს მიჰქონდა. ამის გამო ბერები დიდად შეწუხებული ყოფილან. მაგრამ ერთ დღეს მათ მოესმათ ხმა ციდან: ხატის გამოყვანის ღირსი არისო მხოლოდ ქართველი ბერი გაბრიელი. ბერები მივიდნენ ქართველთა მონასტერში და იკითხეს ბერი გაბრიელი. იგი მონასტერში არ აღმოჩნდა. ძებნის შემდეგ მიაკვლიეს. იგი თურმე დაყუდებული ბერი ყოფილა მიყრუებულ ადგილზე, მთაში.

გაბრიელ ბერს აუხსნეს საქმის ვითარება, მაგრამ მან ნაგში ჩაჯდომაზე უარი განაცხადა; იგი ფეხით გავიდა ზღვაზე და ხატი მას მიუახლოვდა. შემდეგ ეს ხატი დაასვენეს ქართულ მონასტერში, „ივერიონში“.

ტიმოთე გაბაშვილის გადმოცემით, აშოთან მუხრანბატონს აღუშენებია ამ ხატისათვის მონასტრის კართან გუმბათიანი პატარა ეკლესია, სადაც ეს ხატი დაუსვენებიათ. აქედან არის მისი ბერძნული სახელი „პორტაიტისა“, ანუ „კარისა“. როგორც იქვე ტიმოთე გაბაშვილი ამბობს: ყვარყვარე ათაბაგს ეს ხატი მოუტყედინებია და მდიდრულად შეუმკია.

ჩვენმა მასპინძელმა, ათანასე ბერმა, დამატებით გვიამბო ამ ხატის სხვა სასწაულზე – წარსულში მეკობრეები, ზღვის

ავაზაკები, თავს დასხმიან მონასტერს გასაძარცვად. ერთ ავაზაკს ამ ღვთისმშობლის ხატისათვის ჩაუკრავს შუბი ყელში. იმ ადგილზე ჭრილობა გაჩენილა და სისხლი გამოსულა. ასეთ სასწაულს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია იმ ავაზაკზე. მას თავისი ცოდვა შეუნანებია და ქრისტიანობა მიუღია. ამ ეთიოპელი მეკობრის სურათი გამოსახულია ამავე ეკლესიის შესავალ კართან, მარჯვნივ.

ტიმოთე გაბაშვილიც გვიამბობს ერთ სასწაულს: როდესაც იგი მეთვრამეტე საუკუნეში ქართულ მონასტერს ათვალიერებდა, მას ერთ ადგილზე ნამწვარი შეუნიშნავს და მიზეზი უკითხავს; მისთვის განუმარტებიათ; ამ ორი წლის წინათ, ერთმა ბერმა ღამით შეადო ტაძარი სალოცავად და იხილა ბრწყინვალედ მოსილი დედაკაცი, რომელმაც მას უთხრა: – წადი, აცნობე ბერებს, თქვენი მონასტერი იწვისო! ბერმა ასტეხა განგაში და ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს. ამგვარად გადარჩა მონასტერი.

ტიმოთე იმასაც გვიამბობს, რომ მონასტრის სასწრაფო სენაკები და გოდოლნი განუახლებია ქართველთა მეფეს ალექსანდრეს; სხვა გოდოლნი და გალავანი – დადიანსა და გურიელს, ხოლო ტრაპეზი – აშოთან მუხრანს და სხვა შენობები – ნიკოლოზ კათოლიკოსს და სხვა ქართველთ... ტიმოთეს დროს, 1755 წელს, ივერიონში წირვის დროს, იხსენიებდნენ ხოლმე შემომწირველთა სახელებს; მას თვითონ ამ სიისათვის დაუმატებია თეიმურაზ და ერეკლე მეფის სახელი, რათა არა დასცხრესო მოხსენება მათი სამარადისოდ.

საინტერესოა გავიხსენოთ, თუ როგორ იხდიდნენ ბერები შობას, ტიმოთე გვიამბობს:

იყო ღამის თევა მწუხრით – ცისკრამდე და განთიადისას ჰკრეს ზართა და შეიმოსნენ წინამძღვარნი და მამანი და გამოასვენეს ხატი პორტიანისა ღამპრებითა მრავლითა, დროშებითა და ფარნებითა თითოსანითა და განვედით ზღვათ ღელესა მუნ წყლისასა და მოიტანეს სააიაზმო დიდი ბადია ძვირფასი, შემოწირული ქართველთა და კახთა მეფისა ლეონის მიერ და ზედან ქოლგა მძიმედ ნაკერი, აშოთან მუხრანბატონისა მიერ შემოწირული. და აღკიდეს ფარდა მძიმე, სვიმონ ქართველი ბატონის მიერ შემოწირული. ორი სახარება, მურასა, დაას-

ვენეს; ერთი დიდი სახარება, მძიმე თვალით შემკული, პეტრე რუსთა იმპერატორის მიერ შემოწირული და მეორე – მინანქარისა სახარება, ბაქარ ვახტანგის ძისა ქართველთ ბატონისა მიერ შეწირული და იწყეს კურთხევა წყალთა და წინამძღვარი დიდებულისა მონასტრისა ჯვარს შთაასვენებდა წყალთა და მდგომარე იყვნეს გუნდ-გუნდებად და მწყობრად განკრძალულნი მონაზონნი და განშორებულნი და დაყუდებულნი, მთით და კლდით და ნაპრალით გამოსულნი ხილვად ნათელთა, ესოდენ იყო, ვითარ მინდორი ვერ იტევდა... და აღსრულებისა შემდგომად ზღუდეებით მონასტრისათ და ბურჯებით იყო დიდი ზარბაზნით ცემა, ხმა ჭექისა და სიხარულისა მონაზონთაგან ესოდენ, ვითარ მიწა იძვროდა და წირვის შემდგომად – ტრაპეზობა და სერი დიდებული დღესასწაულსა მას ღმრთისასა...

– ახლა თუ არიან ამ მონასტერში ქართველი ბერები? – ვეკითხები წინამძღვარ ათანასეს.

– არაეინ. უკანასკნელი ქართველი ბერი გარდაიცვალა აქ 1956 წელს. მას ერქვა ტიხონი. 90 წლისა იყო. ჩვენ ყველა მას დიდ პატივს ვსცემდით და გვიყვარდა იგი. სიკვდილის წინ მან მთავარი ეკლესიის კედელზე ამოჭრა კუთხეში ერთი ფრაზა ქართულად.

შემდეგ გავიგეთ, რომ ეს უკანასკნელი ქართველი ბერი ყოფილა გვარად ფაღავა.

ამასობაში ამერიკელმა თავისი აპარატები ამოალაგებინა და უცდიდა ჩვენი ბაასის დასრულებას, რათა გადაღების საქმეს შესდგომოდა. მამა ათანასე მიუბრუნდა მათ და უთხრა: მე ამათ მოვრჩები და შემდეგ თქვენს განკარგულებაში ვიქნები.

ეს ამბავი ამერიკელს და მის თანამგზავრთ არ მოეწონათ; სახე მოელუშათ; მაგრამ ერთი სიტყვა არ დაუძრაოთ.

ათანასე ბერმა ჯიბიდან ამოიღო უზარმაზარი გასაღები და გაგვიძღვა.

– თუ შეიძლება ფოტოსურათების გადაღება?

– თქვენთვის არ არის აკრძალული; ისე კი საჭიროა სპეციალური ნებართვა, რაც კარიესში უნდა მიიღონ. ხშირად ნებართვაც არაა საკმარისი, რადგან ჩვენ გვაქვს უფლება მომსვლელებს არ ვაჩვენოთ ყველაფერი,

განსაკუთრებით ჩვენი განძეულობა. თქვენ ყველაფერს გაჩვენებთ...

პირველად ვინახულეთ პატარა ეკლესია, რომელიც სპეციალურად აუშენებიათ ცნობილ პორტაიტისას ხატისათვის.

აქედან მივიღვართ მთავარ ეკლესიაში; ამ საყდარს წინ ახლავს ნარტექსი (დერეფანი), რომელიც მთლიანად მოხატულია ფრესკებით. ფრესკა ზოგი ძველია, ზოგი ახალი. უძველესი არის მხატვარ ბერის თეოფანეს მიერ მოხატული მე-16 საუკუნეში.

საერთოდ მონასტრების მხატვრობა არის ტრაფარეტული. არსებობდა სახელმძღვანელო, რომელიც აღმოაჩინა ერთმა ფრანგმა 1845 წელს. ამ სახელმძღვანელოს მიხედვით, დაკანონებული იყო, რა და როგორ უნდა უნდა დაეხატათ, რა ფერები უნდა ეხმარათ და რა ადგილზე მოეთავსებინათ. ასე რომ, ამ შებორკვითა და განსაზღვრით, თანდათან დაქვეითდა სამონასტრო მხატვრობა, ძველი ბიზანტიური ხელოვნება.

აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის ცნობით, უკანასკნელ საუკუნეებში ბერძენი მხატვრები ისე დაქვეითებულან, რომ იძულებული გამხდარან, ათონზე მიეწვიათ ქართველი მხატვარი მარკოზი, რომელმაც მოხატა ივერიის კედლები 1590-1600 წლებში, ხოლო 1842 წელს მოუხდენიათ რესტავრაცია და ამიტომ გარჩევა ძველი და ახალი მხატვრობისა შეუძლებელია.

იღუმენ ათანასეს ვუამბე ეს, ათანასემ ამის შესახებ არაფერი იცოდა, მხოლოდ ცოტა უკმაყოფილებით ამბობს:

– რა მნიშვნელობა აქვს ამას, მხატვარი ბერძენი იყო, თუ ქართველი, ან სხვა?! აქ მოსული მოღვაწე პირველად ყოვლისა მართლმადიდებელი კაცია და ეს არის საკმარისი.

გალერიის შესავალში არის ჩარჩოში ჩასმული ფერადი დიდი ხატი; მას ზემოთ აწერია მხედრული ასოებით: „დედა ღვთისა, იესო ქრისტე, წმიდა იოანე ნათლისმცემელი“. ხატის ქვეშ არის თარიღი: 1902 წ.

ეს ხატი შესრულებულია რუსულ-ბიზანტიური სტილით.

– ქართველი ბერის დახატული უნდა იყოს; ქართული წარწერა ამას მოწმობს – ვამბობ.

– რატომ? შეიძლება ბერძენმა დახატა,

რომელმაც ქართული წერა იცოდა! ჩვენს არქივში მრავალი ხატია შენახული, სხვადასხვა დროს შესრულებული... ეს ხატი მომეწონა და სარდაფიდან ამოვიტანე, აქ დაკვიდე.

წმიდა მაკარი, რომელმაც 90 წელიწადი იცოცხლა, კვირაში მხოლოდ ერთჯერ, კომბოსტოს ერთ ფურცელს ჭამდა! ერთხელ, შემთხვევით, მოკლა კოლო; ამ ამბავმა იგი ისე შეაწუხა, რომ თავისი თავის დასასჯელად წავიდა იმ გამოქვაბულში, სადაც კოლოების ბუდე იყო; იქ კოლოების ნაკბენებისაგან ისე გასივდა, რომ დაბრუნებისას, ბერებმა იგი მხოლოდ ხმით იცვნეს!

ერთ ახალგაზრდა ბერძენს სურდა გაეჭურდა ერთი მონასტერთაგანი და ამ მიზნით ბერად შესდგა. რამდენიმე წელიწადი ცხოვრობდა ბერებთან, მათთან ერთად მუშაობდა, მარხულობდა, ღოცულობდა. ბოლოს მან დიდად დაიმსახურა და დანიშნეს იგი ხაზინადარის მოადგილედ. იგი ნელ-ნელა იპარავდა ძვირფას ნივთებს და შეუმჩნევლად აგზავნიდა თავის სოფელში. როდესაც იგი დარწმუნდა, რომ ის უკვე მდიდარი კაცია და შეუძლია კმაყოფილი ცხოვრება და თავისი სატრფოს შერთვაც, რომელიც წლობის განმავლობაში უცდიდა, ბერებს განუცხადა თავისი გადაწყვეტილება, მონასტრის დატოვების შესახებ და დანიშნა დრო წასვლისა. მაგრამ მოხდა უცნაური ამბავი: რაღაც მისტერიული ძალით, ქურდი ბერი ავიდა სამრეკლოზე და მთელი თავისი ძალით დაიწყო ზარების რეკა. უჩვეულო დროს ზარების რეკამ ყველა ბერი შეაგროვა სამრეკლოს მოედანზე. ყველა გააკვირვებული შესცქეროდა ზევით. უცებ, ზარების რეკა შესწყდა და ახალგაზრდა ქურდი ბერი მოსწყდა სამრეკლოს და იგი ძირს უსულოდ დაეცა.

პროფესორმა ბევრი რამ საკვირველი ამბავი გვიამბო ბერების ცხოვრებიდან, ზოგი ძველი, ზოგი ახალი. შევეცადეთ საუბარი უფრო საინტერესო თემაზე გადაგვეტანა და პროფესორს ვეკითხებო:

– წარსულში ათონის მონასტრები ყველა მართლმადიდებელ ქვეყანას აქ გააკეთებულ ხატებს აწვდიდა. შემდეგ რუსეთი გახდა ხატების მიმწოდებელი; იგი ათონს მეტოქეობას უწევდა; ახლა რუსეთში ხატებს აღარ აკეთებენ. როგორ არის ათონის მხატვრობის საქმე ამჟამად?

– ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში არის ორი სკოლა მხატვრობისა, მაგრამ ორივეს შემოქმედება თითქმის ერთი და იგივეა. საერთოდ კი ძველი ბიზანტიური მხატვრობა მივიწყებულია...

– აბსტრაქტულ ხელოვნებას ალბათ არავითარი გავლენა არ მოუხდენია მათზე? – სიცილით ამბობს ამერიკელი.

– აქ დახატული ხატები ბევრი მიაქვთ ბერძნებს ამერიკაში, კანადაში, ავსტრალიაში, აბისინიაში – ამბობს პროფესორი.

– ბატონო პროფესორო, თქვენ ბრძანეთ, რომ ეს მონასტერი ივერიელთა დაარსებულია მეათე საუკუნეში. იქნებ ისიც გვითხრათ, როდის და როგორ გამოდევნეს ამ მონასტრიდან ბერძნებმა ივერიელები?

– ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. თუ თქვენ გაქვთ რაიმე ცნობა, გთხოვთ გამაცნოთ იგი.

– დიდი სიამოვნებით: მონასტრის დამაარსებელ ქართველებს განეზრახათ დასაწყისში, აქ მხოლოდ ქართველი ბერები უნდა ყოფილიყვნენ; მაგრამ რადგანაც ისინი საკმაოდ მუშა-ხელს ვეღარ შოულობდნენ, ამიტომ, ქართველი ბერები ბერძნებს იღებდნენ, რომლებიც თანდათან მომრავლდნენ. შემდეგ ივერიელთა მონასტრის სილამაზითა და სიმდიდრით მოხიბლული ბერძნები შეეცადნენ აქედან ქართველების გაძევებას და მონასტრის დაპატრონებას. მეოთხემეტე საუკუნიდან ბერძენ ბერთა რიცხვი უფრო გაიზარდა ამ ქართულ მონასტერში. ამავე დროს, საქართველოში მონღოლთა შემოსევების შედეგად, ქართული სახელმწიფოს მთლიანობა დაირღვა და ცხადია, მას უცხოეთშიაც გავლენა და პატივი დაეკარგა; ვეღარც მონასტრებს ეხმარებოდნენ ქართველები; ამით ისარგებლა პატრიარქმა კალისტრატემ და 1353 წელს, მისი ბრძანებით, რადგან ბერძნების რიცხვი მეტი იყო ქართველთა ამ მონასტერში და თითქოს თავისი სულიერი თვისებებით ქართველები ბერძნებზე დაბლა იდგნენ – აკრძალა ქართველებისათვის მაღალ თანამდებობებზე არჩევა; ხოლო მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, როდესაც რუსეთი საქართველოს დაეპატრონა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაც გააუქმეს რუსებმა, ბერძნებმა ქართული მონასტრიდან საბოლოოდ განდევნეს ქართველი ბერები და მათ მიეცათ უფლება, ეცხოვრათ მხოლოდ მონასტრის გარეთ. აი, მოკლე ისტორია ქართულ-ბერ-

ძნული ურთიერთობისა ამ ქართული მონასტრის გარშემო.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველები აღარ მეთაურობდნენ „ივერიონს“, ქართველი მეფე და მთავრები მაინც ზრუნავდნენ მისი კეთილდღეობისათვის. აქ მოხსენიებულია ალაპეში გიორგი მეფე, ალექსანდრე მეფე, ერეკლე მეორე და სხვებიც; ესენი სწირავდნენ ხოლმე ქართულ მონასტერს დიდ საფასურს...

პროფესორი, როგორც ჩანს, ძალიან დაინტერესდა ჩვენი განმარტებით, რადგან ამბობს:

– ეს ცნობები თქვენ გაქვთ ქართული წყაროებიდან მიღებული. საინტერესოა ბერძნული ცნობები ამავე საკითხზე. ოდესმე ვეცდები, ეს საკითხი შევისწავლო ბერძნული წყაროების მიხედვით.

უკვე გვიანაა. მივდივართ დასაძინებლად. მე და ალექსანდრეს მოგვცეს სუფთა დიდი ოთახი. ელექტროგანათება აქ არ არსებობს; ანთია ნავთის სანათი. ერთ მდიდარ ბერძნეს შეუთავაზებია, მის ხარჯზე ელექტრონის სადგურის აშენება, მაგრამ ათონის მთის მმართველობას უარი უთქვამს. ამერიკელებს, ომის შემდეგ, საბარგო ავტომობილები შეუწირავთ და გზის გაყვანას შეჰპირებიან. ამაზედაც უარი უთქვამთ.

ასე რომ, თანამედროვე ცივილიზაციის მიღწევები აქ არ არსებობს. ცხოვრება გაყინულია საშუალო საუკუნეებზე. ერთადერთი პროგრესი – ეს არის ტელეფონი, რომლითაც მთავარი მონასტრები დაკავშირებული არიან მთავარ სამმართველოსთან კარიესში. მხოლოდ ერთმანეთთან მონასტრებს სატელეფონო კავშირი არ აქვთ.

ქვეშსაგებელი და თეთრეული სუფთა არის. ძილი არ მეკარება მიღებულ შთაბეჭდილებათა გამო; ყველაფერი მეორდება ფიქრში. მთვარემ შემოანათა და ამან სულ გამომაფხიზლა! ჩიტების გალობა გრძელდებოდა...

მიუხედავად უძილობისა და დაღლილობისა, დილის ხუთ საათზე ორივე ფეხზე ვართ. ცისკრის ლოცვას უნდა დავესწროთ. ლოცვის შემდეგ წინამძღვარი ათანასე წავგიძღვება ბიბლიოთეკაში...

– ასი ათასამდე წიგნია ჩემს ბიბლიოთეკაში – ამბობს იღუმენი ათანასე – თქვენ გაინტერესებთ ხელნაწერები; აი, აქ

არის ქართულ ხელნაწერთა განყოფილება; აი მათი კატალოგი. ორი კატალოგია, ბლეიკისა და დუმენილის მიერ შედგენილი. ყველა ხელნაწერს, რასაკვირველია, ვერ ნახავთ. სანიმუშოდ იხილეთ რამოდენიმე...

და მას თაროდან გადმოაქვს დიდი წიგნი, შავ ყდაში ჩასმული. ეს არის ქართული ბიბლია, დაწერილი ხუცური ასოებით.

ფურცლავ ამ ბიბლიას და განცვიფრებული ვართ; გეგონებათ ნაბეჭდი ასოები! ამ ბიბლიაზე ვნახეთ წარწერა მხედრული ასოებით: „წავიკითხე და განვიხილე წიგნი ესე აქა მთასა წმიდასა ყოფნასა ჩემისა. პლატონ იოსელიანი“.

ეს, ოშკის ბიბლიის უძვირფასესი ხელნაწერი შესრულებულია 978 წელში. ქარველი მეცნიერები მას დიდ ყურადღებას აქცევენ. მენაბდის ცნობით, 1849 წ. პლატონ იოსელიანს იგი ათონიდან თბილისში მოუტანია; ეს გადაუწერიათ ორ ცალად; ერთი სამეგრელოს მთავარის, დავით დადიანისათვის. შემდეგ ეს ბიბლია დაუბრუნებიათ ისევ ათონის მთაზე.

პირველი ომის წინ რუსეთის სამეცნიერო აკადემიას დაუწვია ოშკის ბიბლიის ბეჭდვა; მაგრამ ეს საქმე ომის გამო შეჩერებულა. 1947 წელს თბილისში დაიწყო მისი ბეჭდვა აკადემიკოს აკაკი შანიძის რედაქციით და ჯერ კიდევ დასრულებული არ არის.

ოპიზის სახელგანთქმული სახარება 913 წლით თარიღდება. სხვა მრავალი ხელნაწერია ათონის ქართულ მონასტერში თავმოყრილი, მოტანილი უმთავრესად ტაოკლარჯეთის სავანეებიდან. ოსმალთა მიერ ამ მხარის დაპყრობის შემდეგ, მე-15-16 საუკუნედან.

ტაო-კლარჯეთში ქართული მონასტრები იხურებოდნენ და იქაური ბერები თავიანთი ხელნაწერებით მიდიოდნენ ათონზე, რათა იქ განეკრძოთ თავისი მოღვაწეობა. ისინი მტკიცედ იცავდნენ ძველ სამწერლო ტრადიციას, ათონზე ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების მიერ დამყარებულს.

ყველა ხელნაწერი ყდაში არის ჩასმული, დანუმრული და კარგად შენახული. ხელნაწერთა უმრავლესობა პერგამენტზეა დაწერილი.


მანუსკრიპტების ასე კარგად შენახვა-მოვლამ გამაკვირვა და ძალიან გაგვახარა.

– ახლა გაჩვენებთ ბერძნულ ენაზე დაწერილ მანუსკრიპტს. ეს არის სასულიერო რომანი, დაწერილი და დასურათებული მე-

თერთმეტე საუკუნეში: ვარლამისა და იოსაფის ამბავი...

ამ რომანის დასურათება მართლაც შესანიშნავია: ნაზი ფერები, ფაქიზი ხაზები, სრულებით არ ეტყობა ჟამთა დაღი!

– მამაო ათანასე! – მივმართავ მას: ეს დიდებული ხელნაწერი, რომელიც თქვენ ასე სამართლიანად შეაქეთ, მართალია დაწ-



გიორგის წიგნთსაცავი.

გიორგი ნოზაძე ქართულ ხელნაწერთა განყოფილებაში.

ერილია ბერძნულ ენაზე, მაგრამ მისი ავტორი იყო თქვენი წინამორბედი, ცნობილი მწერალი, წინამძღვარი ივერიონისა, ექვთიმე მთაწმიდელი, რომელიც მეათე საუკუნეში აქ ცხოვრობდა. მან იგი ქართულიდან ბერძნულად სთარგმნა, ხოლო შემდეგ ბერძნულიდან გაავრცელდა მაშინდელ ქრისტიანულ ქვეყნებში.

მამა ათანასე გაკვირვებული მიყურებს. მე განვაგრძობ: პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში არის ეს წიგნი, მეთხუთმეტე საუკუნის ტექსტით, რომელზედაც არის წარწერა, რომ იგი ქართულიდან ბერძნულად სთარგმნა ექვთიმე ივერიელმა. ვენეციაში წმიდა მარკოზის ეკლესიის ბიბლიოთეკაშიც არის მეთერთმეტე საუკუნის იგივე მანუსკრიპტი, ასეთივე წარწერით. აქვე, ბიბლიოთეკაში არის გიორგი მთაწმიდელის თხზულება, რომელმაც აღწერა ექვთიმეს ცხოვრება მეთერთმეტე საუკუნეში. მისი ცნობაც იგივეა. საქართველოში მეცნიერებმა ნ. მარმა, ივ. ჯავახიშვილმა, პ. ინგოროყვამ, შ. ნუცუბიძემ საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ ექვთიმე მთაწმიდელი არის ბალავარიანის ბერძნული ტექსტის ავტორი.

– ეს სადავო საკითხია. გამიგონია, რომ ევროპიელი ზოგი მეცნიერი სხვა აზრისა არის...

– ყველა არა! ჰომელი, პეტერსი იზიარებენ ექვთიმეს ავტორობის აზრს.

– დავანებოთ ამას თავი. მეცნიერებმა იმტვირონ თავი, თუ ვინ დასწერა იგი. ჩემთვის საკმარისია, რომ იგი დაწერილია მართლმადიდებელი ადამიანის მიერ!

– ძალიან მოხარული ვარ, რომ ეს ხელნაწერები ასე კარგად არიან დაცული. ჩვენ ამ სასიხარულო ამბავს გადავცემთ ჩვენს თანამემამულეებს; მათ შორის გავრცელებულია შეხედულება, თითქოს ეს ხელნაწერები მოვლილი არ არიან და იკარგებიან კიდევ.

– შესაძლებელია წინა ხანებში ეს ხელბოდა. წარსულ საუკუნეებში ეს მონასტერი ხშირად გაძარცვული იყო თურქების, არაბების, „ფრანკების“, კატალანების მიერ. 1285 წელს „ფრანკები“ დაესხნენ თავს ამ მონასტერს და მოსთხოვეს ქართველებს რომის პაპის უფლების აღიარება. ქართველებმა უარი უთხრეს მათ, რასაც მოჰყვა მონასტრის გაძარცვა. 1306 წ. კატალანებმა დაარბიეს ეს მონასტერი. 1308 წ. – არაბებმა. ამ მარბიელთ, ძვირფას ნივთებთან ერთად, მიჰქონდათ აგრეთვე ხელნაწერებიც. ახლა ეს შეუძლებელია. ჩვენ ისეთი სისტემა გვაქვს დადგენილი, რომ მოპარვა აქედან არ შეიძლება, არც დაიკარგება რამე. რასაკვირველია, ამ სისტემას თქვენ ვერ გაგაცნობთ – ამბობს ღიმილით მამა ათანასე.

– ახლა წავიდეთ ზემო სართულში, სადაც ნაბეჭდი წიგნების განყოფილებაა.

დერეფანში ვიტრინებია, სადაც გამოწყობილია სხვადასხვა საგანი. ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა სამოსელმა, რომელიც ოქრომკედით და მრავალი პატიოსანი თვალით იყო შემკული...

– ეს არის იმპერატორ კანტაკუზენის სადღესასწაულო სამოსი, რომელიც მან ჩვენს მონასტერს შემოსწირა...

ნაბეჭდ წიგნთა ბიბლიოთეკა ძალიან დიდია, ხოლო ქართული წიგნები ცოტაა. რაც არის, უმთავრესად ვახტანგ მეფის სტამბიდან არის გამოსული. ერთ წიგნს ასეთი წარწერა აქვს: „შეწირულია მეფის ძის თეიმურაზის კარის ეკლესიისაგან“; გობრონ საბინინის მიერ დაბეჭდილი პეტერბურგში 1882 წელს

„საქართველოს სამოთხე“ და სხვა.

ნაბეჭდ წიგნებს ვერ გაუძლიათ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბევრად უფრო ახალნი არიან დროის მიხედვით. ბევრ მათგანს ჩრჩილი მოსდებია და დაუჭამია.

ბიბლიოთეკიდან შევედივართ წინამძღვრის კაბინეტში და ვბაასობთ სხვადასხვა თემაზე.

– მამა ათანასე – მიმართავს მას ალექსანდრე – გუშინ ჩვენთან ერთად მოგზაურობდა ერთი ბერძენი, რომელიც ფრანგულ ლექსონ ეტრანჟურში ყოფილა ომის დროს; მას უნდოდა აქ ბერად აღკვეცა. რა ბედი ეწვია მას? დართეთ თუ არა მას ნება?

– არა. არ მივიღეთ. იგი ხანში შესულია და დაავადებულიც. ჩვენი მონასტერი არც მოხუცთა თავშესაფარია და არც სასწეულო.

– ჩვენ რომ მოვისურვოთ აქ დარჩენა და ბერად შედგომა? – ვეკითხები ხუმრობით.

– ვერც თქვენ მიგიღებთ. ჩვენი წესია: ბერად შედგომა შეუძლია მხოლოდ ახალგაზრდას; კანდიდატმა სამი წელიწადი უნდა იმუშაოს მიწაზე; სამი წლით სკოლაში იგზავნება; ასე შეუძლია გახდეს ჩვენი წევრი.

– ძალიან ძნელი პირობები ყოფილა! ამიტომ არის, რომ თქვენი მონასტრები თანდათან ცარიელდება!

იღუმენი ცოტა ხნით ჩაფიქრდა და ბრძანა:

– თურქობის დროს უარესი იყო; ამის ნახევარიც არ ვიყავით, რაც დღესა ვართ. ღვთის წყალობით, კრიზისი გადავიტანეთ, დღესაც გადავიტანთ. მაგრამ ხანდახან ეჭვი მეპარება, როცა დღევანდელ კაცობრიობას ვუყურებ, ხალხმა ღვთის შიში და სახელი დაჰკარგა. იმედი მაქვს, რომ თქვენ შვილებს ჩაუნერგავთ ქრისტიანულ რწმენას. მიხარია, რომ გადმოხვეწილ ქართველებს პარიზში მართლმადიდებელი ეკლესია შეგიქმნიათ. მე თქვენ გაგატანთ ორ საჩუქარს ივერიელთა მონასტრიდან. ერთი იქნება პარიზის ქართული ეკლესიისათვის, მეორე – თქვენთვის.

მე და ალექსანდრემ სიამოვნებით გადავხედეთ ერთმანეთს. ათანასე აღებს დიდ ზანდუკს და იქიდან ამოაქვს ორი მოზრდილი ფურცელი...

– ეს არის ივერიონის სასწაულმოქმედ ხატის რეპროდუქცია. თქვენ როგორც ქართველებს მოგიძღვნით მას. დეე, მისი

ძალა და კურთხევა ნუ მოგაკლთ ღმერთმა. დამილოცნია თქვენთვის გზა, რომ მშვიდობით დაბრუნებულიყავით შინ.

ამ სიტყვებით გამოგვისტუმრა ამ კეთილმა ადამიანმა, ტომით ბერძენმა, ჩვენ ორი ქართველი, მისული შორიდან ჩვენ მამა-პაპათა შრომითა და სიყვარულით შექმნილ სავანეში.

ნავის მოსვლამდე გვრჩებოდა ორი საათი. წავედით მიდამოების სანახავად.

ქართული მონასტრიდან სამასი მეტრის მოშორებით არის ერთსართულიანი გრძელი შენობა. ეს ქართველი ბერების ყოფილი სენაკები არიან ჩამწკრივებული. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველი ბერები მას შემდეგ, რაც ისინი ივერი-



წმიდა იოანე აღმსარებელი (მაისურაძე)
ათონი. 1917-21 წ.წ.

ონის მონასტრიდან გამოასახლეს. დღეს ეს ადგილი გულსაკლავად გამოიყურება; შენობა ჩანგრეულია; ერთ დროს ბაღად გაშენებული მიდამო ყამირად გადაქცეულა. გადავიდეთ სურათი, რათა ძველი დიდების ეს ნიშანი მაინც დარჩეს სამახსოვროდ. შემდეგ ვისხედით ივერიონის ტერასაზე და ვტკბებით მიდამოს ცქერით.

ორ საათზე მოვთავსდით ნავში. წყნარ ზღვაზე ნავმა ნელ-ნელა გასცურა. უკანასკნელად შევცქერით დაკარგულ სამოთხეს, რომელსაც ასეთი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურისათვის.

ეხება რა ივერიელთა მონასტრის მნიშვნელობას აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე სათანადოდ განმარტავს:

„თუ ქართული მწერლობა უადრესად განვითარდა მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში, ეს ივერიის მონასტრის მეოხებითაც, სადაც თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა. აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონის მთაზე ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დასტოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში ისეთი მნიშვნელობა, როგორც ათონის ივერიის მონასტერს, უიმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიედლო.“

ნელ-ნელა ვშორდებით საშუალო საუკუნეებს; ვუბრუნდებით მეოცე საუკუნეს და თან მოგვაქვს წარუშლელი შთაბეჭდილება ჩვენ წინაპართა მიერ დაფუძნებული სავანისა, – გრძობა სიამაყისა და დამცირებისა, სიხარულისა და მწუხარებისა.

ბიბლიოგრაფია:

1. ტიმოთე გაბაშვილის „მომოსვლა“
2. კ. კეკელიძე – ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტომი მეორე – მეოთხე.
3. ლ. მენაბდე – ძველი ქართული მწერლობის კერები.
4. კახაძე – ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში.
5. საბინინი – „საქართველოს სამოთხე.“
6. P.J. Launay _ Grece. Paris 1957.
7. G. Zographakis _ Athos. Athenes 1962.
8. R. Coate _ Mont Athos, Paris. 1948.
9. J. Bies _ Mont Athos. Paris 1963.
10. Ch. Bayet _ I'Art Byzantin.
11. A. Schidke. Das Klosterland des Athos. Leipzig. 1903.
12. S. Avalichvili _ La succession du Curopalat. Bruxelles 1933.

GIORGIO BRVINVALE DA CARTULI EKLESIA

გიორგი V ბრწყინვალეს (1318-1346), დიმიტრი თავდადებულის უმრწემეს ძეს, წილად ხვდა ბოლო მოეღო მონღოლთა ასწლოვანი ბატონობისათვის და კვლავ აღედგინა საქართველოს დარღვეული პოლიტიკური მთლიანობა. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ეკლესიის აღორძინების საქმეშიც.

მეფე გიორგის თანამედროვე, განათლებული, მრავალმხრივ განსწავლული და მკაცრი ისტორიკოსი – ჟამთააღმწერელი, გიორგი V-ის გამეფებას დიდის ვარსკვლავის აღმობრწყინებას ადარებს: „და იწყო მთიებმან აღმოჭვირვებად“ აღფრთოვანებით გვაუწყებს იგი. დიდი ივანე ჯავახიშვილი კი, გიორგი ბრწყინვალეს უყოყმანოდ აყენებდა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გვერდით.

გიორგი V-ის გამეფებისას, უცხო ტომის, მონღოლთა საუკუნოვანი ბატონობის შედეგად, ქართველი ერი იყო „დამაშურად და დაცვუნებულ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი“ (მათე, IX, 36).

დასუსტებული, მაგრამ კვლავ საშიში მტრის, მონღოლთა უღლის გადაგდებად, საჭირო იყო ქვეყნის სულიერი აღორძინება და ეკონომიკური მომაგრება. სულიერ აღორძინებაზე ზრუნვა ერთ-ერთი უპირველესი უნდა ყოფილიყო გიორგი ბრწყინვალესათვის. მას კარგად ესმოდა, რომ ქვეყნისათვის ყველაზე საშიში მორალური დეგრადაცია იყო, რამეთუ თქმულ არს: „ნუ გეშინინ, რომელთა მოსწყვიდნენ ხორცნი თქუენნი, ხოლო სულისა ვერ ხელეწიფების მოკლვად, არამედ გეშინოდენ მისა უფროდს, რომელ შემძლებელ არს სულისა და ხორცთა წარწყმედად...“ (მათე, 10, 28).

საქართველოს მფლობელი მონღოლილხანები XIII ს-ის ბოლო მეოთხედიდან (როდესაც ისლამი აღიარეს), პრიმიტიული, მაგრამ ნაკლებ აგრესიული სარწმუნოების, შამანიზმის, მიმდევარნი იყვნენ; შეიძლება გვეფიქრა, რომ მათი ბატონობა და სულიერი ჩაგვრა არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით, მაგრამ შეიძლება სიკეთის მომტანი ყოფილიყო უცხო და თანაც კულტურულად უფრო დაბლა მდგომი

რომელიმე ხალხის ბატონობა? განა მონღოლები მთელი თავისი უარყოფითი გავლენით ხელს არ უწყობდნენ ქრისტიანული საქართველოსათვის დამღუპველი ჩვევების თანდათანობით დანერგვა-დამკვიდრებას? ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ მიუხედავად ქვეყნის დაკნინება-გაჩანაგებისა, ბევრი თურმე: „განძა, განსუქნა... და დაუტევა ღმერთი, შემოქმედი თვისი“ (მეორ. სჯულ; 32, 15). ქრისტიანობის დაღატი კი ამ დროს ერის დაღატი იყო. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ხდება, როცა ქვეყანას უჭირს და ერის შემაკავშირებელი საერთო სულიერი მიზნები და მისწრაფებები რყევას განიცდიან, ქმედებისა და ბრძოლის მაგიერ, ლხინსა და თვითკმაყოფილებას მიეცემიან ხოლმე. მაგალითად, ძველ აღთქმაში იავარქმნილ ისრაელის ერზე ნათქვამია, რომ იმ დროს, როდესაც ქვეყანას მეტისმეტად უჭირდა: „დასხდა ერი იგი ჭამად და სუმად და აღსდგეს სიმღერად“ (გამოსვლათა, 32, 6). ასევე, საქართველოს სავალალო მდგომარეობის შემხედვარე გიორგი V-ს, ალბათ ისდა დარჩენოდა, მიემართა ქრისტესათვის: „ნუ შეურაცკყოფ ერსა შენსა, გლახაკსა და დაწუნებულსა, არამედ შემწე ეყავნ მარჯვენად შენი ძლიერი და მაღალი, შობილო ქალწულისაგან და მიხსენ ჩუენ მონებისაგან მტერთა ჩუენთასა – აგარის ნათესავთა!“ (ძლისპირნი, თბ. 1982).

გიორგი V-მ, როგორც გონიერმა და შორსმჭვრეტელმა მოღვაწემ, ქვეყანაზე ზრუნვის ერთ-ერთ პირველ საგნად რწმუნისა და განათლების კერათა განახლება და ახალთა აგება დაისახა. ეკლესია-მონასტრები კი, სხვა მიზეზთა გარდა, ძლიერმა მიწისძვრებმაც დააზიანა. ჟამთააღმწერელი შეძრწუნებული მოგვითხრობს იმ სასტიკი მიწისძვრების შესახებ, რომლებიც XIII საუკუნის გასულს მომხდარა: „საფუძვლითურთ შეიძრა ქუეყანა... დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი, ციხენი და სახლნი“, – ამბობს იგი. (ქართლის ცხოვრება. ტ. II თბ. 1959). ამ დროსვე დაზიანებულა მცხეთის საპატრიარქო ტაძარიც ამიტომ, რომ სხვებთან ერთად, ვახუშტი ბატონიშვილის

მოწმობით, გიორგი V-ს სვეტიცხოველიც აღუდგენია (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973). გიორგი V-ის დროსვე აღდგენილი სამთავროს ტაძრის გუმბათიც, რომელმაც დღემდე XIV საუკუნის რესტავრირებული სახით მოაღწია.

XIV საუკუნის შესახებ მცირე ცნობების არსებობის მიუხედავად, შესაძლებელია ნაწილობრივ მაინც აღვადგინოთ ტაძარ-მონასტერთა იმდროინდელი აღმშენებლობის სურათი. გიორგი V-ის დროსაა აგებული, მაგალითად, მყინვარწვერის სპეტაკ ფონს შესანიშნავად მისადაგებული გერგეტის სამება, სამრეკლოსთან ერთად. ამ პერიოდის ტაძარ-მონასტრები ყველაზე მეტი სამცხეშია შემორჩენილი. განსაკუთრებით ნაყოფიერად მოღვაწეობს აქ, გიორგი V-ის პაპა (დედის მხრიდან) – ბექა მანდატურთუხუცესი. ამიტომ უწოდებს მას ჟამთააღმწერელი „მამენებელს... ეკლესიათა და მონასტერთა“. ბექას მიერაა აგებული საფარის წმიდა საბას ტაძარი, ზარზმის დიდი ტაძარი კი მისი დროის ადგილობრივი ფეოდალის მიერაა აშენებული. საფარის წმიდა საბასა და ზარზმის ტაძრები ყველაზე მნიშვნელოვანია ბექასდროინდელ ეკლესიათა შორის.

წმიდა საბას ტაძარი, როგორც წარწერა გვაუწყებს, აშენებულია ხუროთმოძღვარ ფარეზას-ძის მიერ. ზარზმის აწინდელი დიდი ტაძარი კი აგებულია იქ, სადაც ჯერ კიდევ სერაპიონ ზარზმელმა დააარსა მონასტერი.

ბორჯომის ხეობაში, სოფელ დაბასთან (ისტორიული თორი), ყურადღებას იქცევს გიორგი V ბრწყინვალის მოღარეთუხუცესის მიერ აგებული პატარა ეკლესია. ეკლესია კარგად ეხამება მთის კალთას, შემკულია სადა, ღამაზი ჩუქურთმებით. დასავლეთ კარიბჭის თავზე მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი წარწერა. წარწერიდან ვიგებთ, რომ ეკლესია აგებულია ღვთისმშობლის სახელზე, რადგანაც იქ მიმართვის ფორმით ნახმარია გამოთქმა – „სიტყვისა ღვთისა ხორცშესხმისა მიზეზო!“ (ე. ი. ივულისხმება ღვთისმშობელი მარიამი).

გიორგი ბრწყინვალის დროსვეა აგებული ცაიშის (ზუგდიდის რაიონი) გუმბათიანი ტაძარიც.

ამ პერიოდის კედლის მხატვრობიდან აღსანიშნავია ზემოთ ნახსენები საფარის

და ზარზმის ტაძრების მოხატულობა. მათ შორის ისტორიულ პირთა – ჯაყელეების პორტრეტები და ქართლის კათოლიკოსის – ეფთიმოსის პორტრეტი, რომელიც



საფარა. წმიდა საბას ეკლესია. XII-XIV ს. ქტიტორები. ტაძრის მოდელით ხელში მანდატურთუხუცესი ბექა ჯაყელი.

აგრეთვე XIV საუკუნეშია შესრულებული. (ექვთიმე კათოლიკოსობდა 1298-1310 და 1318-1335 წლებში).

დიდი ოსტატობითა და ექსპრესიით გამოირჩევა უბისის ტაძრის მოხატულობა. განსაკუთრებით მონუმენტური და შთამბეჭდავია „საიდუმლო სერობის“ ფრესკა.

საინტერესოა, რომ არაბი ავტორის (ალ-აინის) ცნობით, 1320 წლისათვის გიორგი V-ს ეგვიპტის სულთანმა ნება დართო, იერუსალიმში ახალი ეკლესია აეგო. ამ დროსაა განახლებული იერუსალიმის განთქმული ქართველთა ჯვრის მონასტრის მოხატულობაც (ტაძარი მოხატეს, აგრეთვე, XVII საუკუნეში). ჯვრის მონასტერში XIV საუკუნის I ნახევარშია შესრულებული ქრისტესა და ღვთისმშობლის გამოსახულებანი, მთავარანგელოზები საკრებულოს სცენიდან და ა.შ. ერთ-ერთი აღმოსავლური წყაროს მიხედვით (ალ-კალკაშანდი), გიორგი V-სვე გამოუხსნია ჯვრის მონასტერი არაბთა ხელიდან. მართალია, სხვა წყაროების მიხედვით, ეს გიორგი V-მდე მოხდა, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ საქართველოს არამ-

ყარი მდგომარეობის გამო, საჭირო გახდა მონასტრის რამდენჯერმე გამოხსნა. ცნობილია გიორგი V-ის ორი ელჩობა იერუსალიმში, რომელსაც მეთაურობდა პიპა, ძე შალვა ქსნის ერისთავისა. მან გიორგი V-ს ჩამოუტანა ქრისტეს საფლავის ეკლესიის გასაღები ანუ ქართული წყაროს მიხედვით, „კლიტენი იერუსალიმისანი“ („ძეგლი ერისთავთას“ ცნობა). ჯვრის მონასტრისადმი გიორგი V-ს დიდ ღვაწლზე მეტყველებს ადაპთა სიმრავლე, რაც მისთვის ამ მონასტერში იყო განწესებული და გიორგი V-ის დედასა და მეუღლესაც იხსენიებს: „სულისა წმიდისა მოსვლისა კვირიაკესა, წირვად და ადაპი ღმრთივგვირგვინოსნისა მეფეთ-მეფისა, დიდისა გიორგისა, დედასა და მეუღლესა მისსა მესად, შეუწდვენ ღმერთმან“ (ელ. მეტრეველი, „იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან“, თბ. 1962). თეოდოსი ეპისკოპოსს (XVII ს.) კი, ჯვრის მონასტერში უნახავს ადაპი, რომელიც გიორგი V-ს უწოდებს „ჯვრის მეორედ მაშენებელს“ (პ. ინგოროყვა, თხზ. ტ. I, თბ. 1960).

ერთ-ერთ ბერძნულ მინაწერს, საბედნიეროდ, შემოუნახავს ცნობა იმის შესახებ, რომ იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე დიდი ლავრისათვის, საბაწმიდისათვის, საქართველოს კათოლიკოსს ექვთიმეს, 1334 წელს, ე. ი. გიორგი V-ის დროს, შეწირულობა გაუგზავნია. ამ მინაწერში ვკითხულობთ: „წმიდა და ღვთისნიერი ჩვენი მამის, დიდი ექვთიმეს (ხსენების) დღეს დავადგინეთ, რათა საბა წმიდას ლავრაში [ამავე ლავრაში გარდაცვლილ] ძმათათვის, ყოველწლიურად იყოს დამის თევა და ტრაპეზი, სანამ ხსენებულ ამ წმიდა იბერიის უწმიდესი და უმართლმადიდებულისი მთავარეპისკოპოსისა და კათოლიკოსის, უფალი ექვთიმეს შეწევნით, ბერნი იქნებიან. ასევე, სათითაოდ მოიხსენიებიან მოგონებით ყოველნი, ვინც წმიდა ქალაქ იერუსალიმში პატრიარქობდნენ. თვით მოხსენიებულმა მთავარეპისკოპოსმა (კათალიკოს ეფთვიმემ), გამოგზავნა იბერიიდან მცირე ევლოგია (კურთხევა, შეწირულობა), ამავე წმიდა ლავრაში დამცრობილი ბერების განსაგებლად და გასამხნეველად. წაკითხულ იქნა დიდი ექვთიმეს სვინაქსარი. წესდებულმან ყოველად უმანკო ღვთისმშო-

ბელმან და უნეტარესმან საბამ – მისცეს მან ჯილდო განსჯის დღეს... წელსა 6842, იდიქტიონს 2 (1334 წ.).

საბაწმიდის ლავრა V საუკუნეში დააარსა საბა განწმედილმა (439-532) და თავიდანვე ერთი რომელიმე ერის კუთვნილება არ ყოფილა. აქ მოღვაწეობდნენ ბერძნები, სირიელები და თითქმის დაარსებისთანავე – ქართველები. განსაკუთრებით ინტენსიური მოღვაწეობა ქართველებს VIII-IX საუკუნეებში გაუჩაღებიათ. მაგრამ შემდეგ, სამწუხაროდ, საბაწმიდაში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ ცნობები აღარ ჩანს. ამ მხრივ, ზევით მოყვანილი საბუთი, რომელიც XIX საუკუნის მკვლევარმა პაპანდოპულო-კერამევსმა თავის დიდტანიან შრომაში („იერუსალიმის ბიბლიოთეკა“) დაბეჭდა, ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს. (ტ. II, ს. – პეტერბურგი, 1894, ბერძნულ ენაზე). საბუთის მიხედვით, ნათელი ხდება ქართველების მოღვაწეობის უწყვეტობა საბაწმიდაში XIV საუკუნემდე მაინც. საბუთიდან ჩანს, რომ ამ დროს საბაწმიდელებს თუმცა კი უჭირთ, დამცრობილნი, შემცირებულნი არიან, მაგრამ აშკარაა, რომ ქართველები იქ კვლავ იღვწიან და საქართველოსთანაც კავშირი აქვთ. ამას ადასტურებს, სხვათა შორის, რუსი მოგზაური არქიმანდრიტი აგრეფენია, რომელმაც XIV საუკუნის 70-იან წლებში იმოგზაურა იერუსალიმში. მისი სიტყვით ამ დროს იერუსალიმში 15 ქართული და სირიული მოქმედი მონასტერი ყოფილა (მართლმადიდებლურ-პალესტინური კრებული, ტ. VI, პეტერბურგი, 1896, რუსულ ენაზე). გიორგი V და საქართველოს მესვეურნი ზრუნავდნენ სხვა ქართულ სავანეებზეც, იქნებოდა ეს ათონის ივერთა მონასტერი, პეტრიწონი, სინას მთა თუ სხვა (იხ. კ. კეკელიძე, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I).

შემონახულია, მაგალითად, 1311 წლის პეტრიწონის (ბაჩკოვო, ბულგარეთი) მონასტრის ხატი, რომელსაც ვრცელი ქართული წარწერა ახლავს. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ხატი მოუჭედავთ ორ ტაოელ ძმას – ათანასესა და ოქროპირს, ეგნატისძეთ. აქვე იხსენიება საქართველოს ორი მეფე: კონსტანტინე და დიმიტრი (ჩანს, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოსი). ესეც პეტრიწონელთა საქართ-

ველოსთან კავშირის დამადასტურებელი ფაქტია. XIV საუკუნეშივეა შესრულებული ამ მონასტერის გუმბათის ჯვარი, ქართული ასომთავრული წარწერით: „ძღვეა იესუს ქრისტესი“.

გიორგი ბრწყინვალე უთუოდ ყურადღებას არ აკლებდა საზღვარგარეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქართულ ლავრას – ათონის ივერთა მონასტერს. მისი ზრუნვის გამოძახილი უნდა იყოს იოანე VI კანტაკუზენეს (1344-1355) ხრისობული („ოქროს სიგელი“), რომლითაც 1351 წელს ამნ ივირონის ქართულ მონასტერს ყველა მისი ძველი სამფლობელო დაუმტკიცა და ბერძენ-ქართველთა დავა, მონასტრის ქონების ირგვლივ, ქართველთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. იოანე კანტაკუზენე წერდა: „ჩვენი სამეფო ათონის წმიდა მთაზე მდებარე პატივდებული, ყოვლადწმიდა დედოფლის – ღვთისმშობლის სახელის სათნო მონასტერში, ეგრეთწოდებულ ივერთა მონასტერში მოღვაწე მონოზონებმა მომართეს ჩვენს მეუფებას, რომ მათმა ამ სათნო მონასტერმა მთაწმიდის მიდამოებში, მის გარშემო და დანარჩენ სხვადასხვა ადგილას მოიპოვა სენაკები, მცირე მონასტრები და სოხასტერნი და სხვადასხვა ნაგებობანი, რომლებიც იმთავითვე და ძველი დროებიდან მათ მფლობელობაშია და დადასტურებულია ჩემი მეუფების სახელგანთქმულ წინაპარ მეფეთა ხრისობულობით“ – სიგელის ბოლოს იმპერატორი აცხადებს: „ჩემი მეუფების წინამდებარე ხრისობულის ძალით, მტკიცე მფლობელობაში ექნება ივერთა ამ პატივსაცემ მონასტერს ყველა აქ განცხადებული მცირე მონასტრები, მეტოქები და ყველა დანარჩენი ქონება, დაუბრკოლებლივ და შეურყვევლად“ („გეორგიკა“, ტ. 8, თბ. 1970).

ქართულ ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე მამათა შესახებ შესაძლებელია ითქვას, რომ: „უდაბნოს დამკვიდრებულნი ღირსნი იხარებდეს და სენი ცეცხლისაჲ (ვნებათაღელვა) გალობითა დაშრიტეს და მოქალაქობაჲ ანგელოზებრივი ქვეყანასაზედა აჩუენეს“ (უძვ. იადგარი, მამათა).

თვით საქართველოში განაგრძობენ მოქმედებას გელათის მონასტერი, შიომღვიმის ლავრა, ოშკის მონასტრის, ქურმუხის და სხვა სამწყსონი. ხონის ტაძარში უკანასკნელ დრომდე, (1924 წლამდე) დაცული

იყო წმიდა გიორგის ხატი, რომლის წარწერაც გიორგი V-ს „უძღვევლს“ უწოდებდა. ცაიშის ტაძარში კი ინახებოდა თამარ ხერხემლიძის მიერ 1312 წელს ოქრომკედით ნაქარგი, მაღალი ოსტატობით შესრულებული უძველესი სამღვდელმთავრო ოლარი.

ინტენსიურად მიმდინარეობდა საღვთისმეტყველო წიგნების გადაწერა-შემკობაც. ამ დროისაა შიომღვიმისა და მოქვის სახარებანი. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი, უმდიდრესი და ულამაზესი მინიატურების სიუხვით გამოირჩევა. XIV საუკუნეშივე უნდა იყოს გადაწერილი ყანჩათის (კაბენის) სვინაქსარი, რომელიც ამჟამად ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უნიკალური ცნობა კათოლიკოს ექვთიმეს (ეფთვიმეს) ჰერეთ-კახეთის მიმოსვლის შესახებ. ამ დროის ერთ-ერთ სახარებას დაცული ჰქონდა ქურმუხის (დღევანდელი კახი) მთავარეპისკოპოსის, კირილე დონაურის 1310 და 1333 წლების ორი ანდერძი. ამ საბუთებში მნიშვნელოვანი და დაწვრილებითი ცნობებია შემონახული ჰერეთ-კახეთსა და კავკასიის საქართველოსთან მომიჯნავე რეგიონებში ქართველთა მისიონერული მოღვაწეობისა და სწავლა-აღზრდის მდგომარეობის შესახებ. 1310 წლის საბუთის მიხედვით, საქართველოს პატრიარქს მიმოუხილავს: „საყდარნი: კასრი – სამებისაჲ, ყუმი – ღვთისმშობლისაჲ, ლექართს – (საყდარი) წმიდისა მოციქულთასწორისა ნინოდისი, ზარს – წმიდის მთავარმოწამისა გიორგისი, ვარდიანს – წმიდისა აბოდისი, განულს – არჩილისი, გიშნუსს – ღმრთისმშობლისაჲ, ვარდთაშენს – ელიაჲსი... კუალად საყდარნი ხუნძთა, ნახითა, თოშეთისა, ნეკრესისა, ბელაქნისა, მაჯ(ჭ)-ფიფინეთისა“ და ა. შ. დაუვალებია სახარების გადაწერა-გამრავლება და იმ მონასტრებისადმი დაგზავნა, სადაც ამის საჭიროება იყო. მთავარეპისკოპოს კირილეს სახარება დაუგზავნია, აგრეთვე, „შვიდ სასწავლელთა თავსმდგომთადმიც“. საინტერესოა, რომ ჩამოთვლილია ისიც, რა ისწავლებოდა ამ სასწავლებლებში. იქ თურმე ფართო დიაპაზონის საგნებს ასწავლიდნენ, როგორცაა: „სჯული ჭეშმარიტი, ფილასოფოსებაჲ, მამათა ცხოვრებაჲ, ქართლის ცხოვრებაჲ, და ცხოვრება ალვანისა“.

1333 წლის ანდერძში კი, იგივე მთავრებისკოპოსი კირილე დონაური ასე ახასიათებდა გიორგი V-ს: „ღმერთმა წარუ-მართნეს უძლეველსა მეფესა გიორგი ბრ-წყინვალესა, რომლისა მეოხებითა უმეტე-სად განძლიერდა ქრისტიანობად მთიულთა შორის და კუალად განმტკიცდა ერთო-ბად საქართველოსა შინა“ (მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბ. 1894 წ.). შეი-ძლება შევეხოთ იმ საკითხსაც, რატომ აღწ-ერა კირილე დონაურმა ასე დაწვრილებით პატრიარქ ექვთიმესა და თავისი მოღვაწეო-ბა. ამ საკითხის გასარკვევად, ვფიქრობთ, საინტერესოა, მოუხსმინოთ გიორგი ათონე-ლის ბიოგრაფს – გიორგი მცირეს (XI ს.): „რად არს ქებად ღუთისაჲ?“ – კითხულობს გიორგი მცირე და თვითონვე პასუხობს – „მოთხრობად ცხოვრებისა და მოღვაწეობი-სა მათისა (ე. ი. წმიდათა ღვთისათა), წერ-ით და უწერელად“. მისი სიტყვით, წმიდა ღვაწლი იმისთვის უნდა აღიწერებოდეს, რათა „ჩუენ მოხსენებითა შრომათა და ღვაწლთა მათთათა, დღითიდღე ფრთოვან ვიქნებოდეთ და ბაძვად სათნოებათა მათთა წარვემატებოდეთ“. შემდეგ გიორგი მცირე დასძენს „სიბრძნე დაფარული და საუნჯე უჩინო, ვინ ირგოს მისგან?!“ (მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, თბ. 1882). ალბათ, ამასვე ფიქრობდა კირილე დონაური, როდესაც ხსენებულ ანდერძს ადგენდა. მას არ დაავიწყებოდა პავლე მოციქულის სი-ტყვებიც, რომელიც ამბობს: „კაცადკაცადსა თქუნესა ფსალმუნი თუ აქუს, გამოცხადე-ბად თუ აქუს, მეცნიერებად თუ აქუს – ყოვე-ლივე ესე აღსაშენებლად იყავნ!“ (პავლენი, კორინთელთა მიმართ, 14.26).

აღსანიშნავია, რომ 1314 წელს დამასკო-ში ქრისტეს სჯულის ქადაგებისათვის უწამებიათ ქართველი – ნიკოლოზ დვალი. ამავე დროს, შეუქმნიათ მისი მარტვილობის სვინაქსარული ვერსია. 1318 წელს კი, ქრის-ტიანობის ქადაგებას მოწამეობრივად შეე-წირა ინდოეთში, ქალქ თჰანაში, დიმიტრი თბილისელი.

ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, გიორ-გი ბრწყინვალეს XIV საუკუნის 30-იან წლებში საეკლესიო კრებაც მოუწვევია: „შემოკრიბნა კათალიკოზნი (ქართლისა და აფხაზეთისა) და ეპისკოპოსნი ივერიისანი და სამღუდელონი განმართნეს და დაადგ-ინეს მოწესენი წესსა ზედა თვისსა და უწესურნი განჰკუეთესო“, გვამცნობს იგი

(ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 259).

გიორგი V-ის დროინდელი საქარ-თველოს აღდგენა-გაძლიერების შესახებ ხმა მის საზღვრებსაც „გაცდა“. ამაზე მეტყვე-ლებს ამ დროის უცხოელთა ჩანაწერები საქართველოსა და გიორგი ბრწყინვალის შესახებ. აი, რას წერს საქართველოს შეს-ახებ, მაგალითად, იტალიელი პილიგრიმი იაკობ დე ვერონა, რომელიც 1335 წელს ეწვია პალესტინას: „(იერუსალიმში) წმიდა საფლავთან (ქრისტეს საფლავთან) არის ქართველების ეკლესიაც. (უნდა ვიცო-დეთ, რომ) მათი მეფე უძლიერესია. ისინი (ქართველები) თავდადებული ქრისტიანები არიან, თუმცა ქრისტეს ემსახურებიან ბერ-ძნული წესით“.

ადრე ნახსენები არაბი ისტორიკოსები გიორგი V-ს „ქრისტიან მეფეთა შორის უერთგულესის და უსახელოვანესის“ ეპ-ითეტებით ამკობენ. 1321 წელს თბილისში გამოგზავნილ ეპისტოლეში პაპი იოანე XXII გიორგი V-ს „ქართველთა ბრწყინ-ვალე მეფეს“ უწოდებს. თბილისს კი – „განთქმულს, შესანიშნავს და შესაფერს“ ქალაქს (მ. თამარაშვილი, ისტორია კათო-ლიკობისა ქართველთა შორის, თბ. 1902).

გიორგი V-მ სამართლიანად დაიმკვიდრა თანამემამულეთა შორის და შთამომავ-ლობაში სახელი „ბრწყინვალე“. მან შეძლო, ბასილი კესარიელის სიტყვებისამებრ, დაე-ძლია წუთისოფლის ვნებათა ღელვა. ბასი-ლი დიდი ბრძანებს: „ვნებანი-ღელვანი არ-იან და უკეთუ იქმნე უმაღლეს მათსა, მაშინ ხარ გონიერი მენავეთმოძღუარი“. გიორგი ბრწყინვალეს არ აკლდა – „გამოცდილე-ბად ამის სოფლისა საქმეთაჲ, რომლისათ-ვის ბრძნად სახელვდებთ მეცნიერთა მათ ხელოვნებათა სოფლისათა“. მისი მოღ-ვაწეობის განხილვა გვინდა დავამთავროთ კათოლიკოს ანტონ I-ის (1720-1788) სიტყვე-ბით, რომელიც მის „წყობილსიტყვაობაშია“ მოყვანილი:

გიორგი, მთიებრ განუტევნა ნათელი, ისახელწოდა ბრწყინვალე ან ნათელი... რწმუნვა ასპეტა, განსრია შაგ-სათელი, აქე ეს მქებო! ჯერეთლა ნუ სხვათ ელი!“


ისტ. მეცნ, დოქტორი
ვაჟა კიკნაძე

(სტატია გამოქვეყნებული იყო ვ. ჯვარიძის ფსევდონიმით)

SANTAVROS WINDA NINOS DEDATA MONASTRIDAN

სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტერი მრავალ სიწმინდეს ინახავს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საეკლესიო ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებია, რომელთა ფუნქცია ქრონოლოგია, თემატიკა და მხატვრული დონე საკმაოდ მრავალფეროვანია. ამასთან, ისინი არა მხოლოდ ეკლესიური, არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც, მეტად ღირებული ნაწარმოებებია. აღნიშნული სახეობის სიწმიდეებს შორისაა ნაქარგი ქსოვილი (ზომა: 27X25 სმ.), რომელზედაც გამოსახულია: წმინდა გიორგი, წმინდა ევსტათი პლაკიდა, ოჯახთან ერთად; აქვე, ქსოვილზე წარმოდგენილია ირმის გამოსახულება, რომელსაც რქებს შორის ჯვარი მოუჩანს (სურ.1). ქსოვილი შესანიშნავადაა შენახული – მისი ნაქარგი წინა მხარე და ძაფების ნამაგრიანი სადა ზურგიც თითქმის დაუზიანებელია. სრულად ჩანს გამოსახულება, ფერადოვნება, განმარტებითი წარწერები, ქსოვის მასალა და ტექნიკა. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ჩვენ წინაშე გვიან შუასაუკუნეების ხელოვნების მაღალი დონის ნიმუში, რომლის შემსრულებელიც ქარგვაში დიდად გაწაფული ყოფილა. მასალად მას გამოყენებული აქვს ლითონის ძაფები: ვერცხლმკედი – მიწარისათვის, ოქრომკედი – წმინდანთა შარავანდებისთვის, ზეზი – ფერადი აქცენტებისათვის, აბრეშუმის ძაფი კი – თმა-წვერისა და წარწერებისთვის. ავტორს სამუშაო გვიანი შუასაუკუნეებისთვის დამახასიათებელი, შედარებით მარტივი ხერხით – მხოლოდ „ტეხური“ და „სადა“ სითვის ტექნიკით შეუსრულებია და მიუხედავად ამისა, მაინც მაღალმხატვრული დონის ნაქარგობა შეუქმნია. კომპოზიციაში კარგადაა შეხამებული ფერები; მტკიცე, გაწაფული ხელითაა გამოყვანილი ფორმით განსხვავებული ნაწილები (აღამიანთა და ცხოველის ფიგურები, მთები, ხეები, ნიადაგი); ზედმიწევნითი სიზუსტითაა გადმოცემული დეტალები და თითოეულ სახეს ინდივიდუალური, მისთვის დამახასიათებელი გამომეტყველება აქვს. ნაქარგი ხატის კომპოზიცია ორნაწილიანია – მარცხნივ ფრონტალურად დგას წმინდა გიორგი, რომელიც მის გვერდით გამოსახულ სხვა წმინდანებს ერთგვარად ემიჯნება; მარჯვნივ, მისგან ზურგშექცევით, წინაპლანზე გამოსახულია წმინდა ევსტათი ცოლ-შვილთან – თეოპისტიასთან, თეო-

პისტესა და აღაპისთან ერთად (დიდმოწამეთა სახელები მხედრულითაა წარწერილი, განსხვავებით წმინდა გიორგისა და წმინდა ევსტათის ასომთავრული წარწერებისგან). წმინდა გიორგი უწვერულია, წმინდა ევსტათის მუქი, მოკლე თმა-წვერი აქვს. ორივე მეომარი მოკლე ტუნიკით, აბჯრით და მუხლამდე წაღებით არის შემოსილი. წმინდა ევსტათის ქერცლიან აბჯარზე წითელი მოსასხამი ახვევია, რომელიც მხარზე ფიბულით იკვრება. მეომრებს ხელთ პალმის ტოტები (მოწამეთა ატრიბუტი – მარადიული ცხოვრებისა და დიდების სიმბოლო) და ვერტიკალურად



სურათი 1.

აღმართული შუბები უპყრიათ. ევსტათის ვაჟებს მოკლე ხალათები და მაღალყელიანი წაღები მოსავთ. ორივეს ხელთ მოწამეობის აღმნიშვნელი სიმბოლური ნიშანი – ჯვარი უპყრია. კომპოზიციის მარჯვენა მხარეს გულზე ჯვარის სახედ ხელდაკრეფილი თეოპისტია დგას. იგი მლოცველის სახით არის წარმოდგენილი; მარჯვენა ხელის მტევანი მას მეუღლისკენ გაუწვდია. ცოლ-ქმარს შორის, მაღლა – სქემატურად მინიშნებულ ტყიან მთაზე, ირმის გამოსახულებაა, რაც იმ სასწაულს გვახსენებს, რის შედეგადაც ევსტათე და მისი ცოლ-შვილი ქრისტეს რჯულს შეუდგნენ და აღესრულენ კიდევ მოწამეობრივად. აღსანიშნავია, რომ ნაქარგი

ქსოვილის ზედა კუთხეებში ამოქარგული დრუბლებიდან, სამ-სამი სხივი ეშვება წმინდა გიორგის თავზე და წმინდა ევსტათეს ოჯახის მხარეს, რაც ხატწერის ტრადიციისამებრ, მათზე ყოვლადწმინდა სამების მადლის გარდამოსვლას ნიშნავს. კომპოზიცია კარგადაა აგებული. ფიგურები ოდნავ დაბალი და განიერი პროპორციებისაა, რომელთა პოზები, ჩაცმულობა, ატრიბუტები, აგრეთვე, მთიანი ფონი და ფეხქვეშ გამოსახული ნიადაგის ფართო ზოლი – მკაფიოდ და დამაჯერებლად გადმოიცემა. ოქროსა და ვერცხლის ძაფების ბრწყინვალეობა, მოსასხამების, ხალათებისა და წაღების წითელი შეფერილობა, ზეთისხილისფერის ოქროსფერთან და ვერცხლისფერთან შეხამება, მწვანე ხეები, ირმის ყავისფერი სხეული – ქსოვილზე ისეა ერთმანეთთან მისადაგებული, რომ თვალს სიამოვნებს ნაქარგი ხატის ცქერა. იმავდროულად, ფერთა შერჩევაში მუდავნდება ავტორის მიერ ქრისტიანული სიმბოლიკის გათვალისწინება. მცენარეული სახეები და მწვანე ფერი, რომელიც ქსოვილის ზედა რეგისტრში უხვადაა ნახმარი – ახალი სიცოცხლის, უკვდავებისა და სამოთხის ნიშანია; წითელი – სამეფო დიდებულების, მოწამებრივი ღვაწლის, ვნების, აღდგომისა და მეორედ მოსვლის ფერია; ოქრო – გადმოსცემს სასუფეველის უნივთო და უქრობ ბრწყინვალეობას; ვერცხლი კი საღმრთო განგებულების საიდუმლოებრივი, მისტიკური არსის გამომხატველია. სამთავროს მონასტრის ქსოვილის კარგად მოფიქრებულ კომპოზიციურ სქემას, ეფექტურად შემოსწერს ტალღოვანი და სამფოთოლა მცენარეული ორნამენტებისგან შედგენილი საშუალო სიფართის ზოლი, რომელიც მკაფიოდ აჩარჩოებს სცენას და გარკვევით წარმოაჩენს მასში მოთავსებული გამოსახულების შინაარსობრივ მიზანსწრაფულობას; რაც იმაში მდგომარეობს, რომ ნაქარგობის ავტორს მიზნად ჰქონია, ყურადღება გაემახვილებინა წმინდა ევსტათის საყოველთაოდ ცნობილ, ირემზე ნადირობის სასწაულზე კი არა, არამედ იმაზე, რაც ამის შედეგად მოხდა. გამოსახულება ერისკაცთა ოჯახურ პორტრეტს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე წმინდანის ჰაგიოგრაფიული ცხოვრების სიუჟეტს, რაც იმ პერიოდის ქართული მხატვრული ქარგულობისათვის მეტად უჩვეულოა და ამ მხრივაც იქცევა ყურადღებას.¹

ევსტათი პლაკიდას ღვაწლს რომ კარგად იცნობდნენ და აფასებდნენ საქართველოში, ცხადად ჩანს მისი ნადირობის სასწაულის

1. XVIII ს-იდან მოყოლებული ქართულ ნაქარგობაში აღამიანთა ფიგურები, მცვე ნა რეულმა ორნა მენტმა და სიმბო ლურმა ნიშნებმა შეცვალა. ქარგულობის ეს ნიმუში კი მათგან სრულიად განსხვავებულია.

ამსახველი იმ გამოსახულებებით, რომლებიც ჩვენი საეკლესიო ხელოვნების საგანძურში საკმაო რაოდენობით შემოინახა. ცნობილია, რომ დიდმოწამე ევსტათის ნათლისღებამდე პლაციდიუსი ერქვა. ის მხედართმთავრად მსახურობდა რომაელთა ლაშქარში იმპერატორების: ტიტუს სისა (79-81 წწ) და ტრაიანეს (98-117 წწ) დროს. იყო ახოვანი და ძლიერი მებრძოლი. მარტო მისი სახელის ხსენებაც კი მოწინააღმდეგეთ შიშის ზარს სცემდა; უყვარდა ნადირობა და მოცალეობის უამს ამით ხშირად ერთობოდა. ერთხელ, ნადირობისას, იგი უჩვეულო ამბის მოწმე გახდა – დიდხანს სდია ირემს, რომელმაც ბოლოს მაღალ კლდეზე აირბინა და იქ გაჩერდა. მონადირემ უეცრად ირმის რქებს შორის მაცხოვარი დაინახა,² რომელმაც მას ასე მიმართა – „პლაციდიუს, რაღსა მდევნი მე? მე ვარ უფალი იესო ქრისტე, კაცთა ხსნისათვის განხორციელებული, რომელსა მსურს მოგაქციო ჭეშმარიტებაზე, სიკეთისათვის შენისა და მსურს შეგაერთო სამწყსოსა ჩემსა“. ეს შემთხვევა დაედო საფუძვლად ევსტათისა და მისი ოჯახის წევრების გაქრისტიანებას, რომელთაც მრავალი განსაცდელი გამოიარეს და მოწამებრივად აღესრულნენ.

ამ თემაზე შექმნილ გამოსახულებებს ვხვდებით: გარეჯის მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტრის სტელაზე (VII ს.) და წებელდის კანკელის ფილაზე (VIII-IX სს.); ატენის სიონისა და მარტვილის ღვთისმშობლის ტაძრებზე კვეთილ რელიეფებში (X ს.); ზემო სვანეთის ეკლესიების ფასადების XII-XIV სს-ის ფრესკებში (იფრალსა, ლაღამსა და ლაშთხვერში); ზენობანის (იმერეთი), ნუხალის (ოსეთი), კაიშის (სვანეთი) და საფარის წმიდა საბას ტაძრების შიდა მოხატულობებში (XIII-XIV სს.).³ „წმინდა ევსტათის ხილვა“ გვხვდება გვიანი შუა საუ-

2. არის შემთხვევები, როცა ირმის რქებს შორის მაცხოვრის ხატს ჯვარი ან ჯვარცმის გამოსახულება ენაცვლება. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ცხოველთა სახისმეტყველებითი განმარტებით, თვით ირემიც სახეა მაცხოვრისა – „ვითარმედ ჯეკმა მტერ არის გუელისა. და რა უამს იხილოს და ივლტინ გუელი და შთახადის ჭურეულად, მივიდის ირემი იგი და აღივსნის ფერდნი თვისნი წყლითა წყაროსადათა და მივიდის ჭურეულად, სადა-იგი გუელი დამალულ არნ და დაასხის წყალი იგი და აღავსის ჭურელი იგი, ვიდრემდე გამოვკდის გუელი იგი და დათრგუნის ფერკითა და მოკლის. ეგრეცა მაცხოვარმან ჩუენმან იესუ ქრისტემან მოკლა დიდი იგი ვეშაპი ეშაპი წყლითა ცისადათა, რომელი აქუნდა ღმრთეებისა სიბრძნისგან, რომელსა წყალსა ვერ დაუდგნეს ვეშაპთა ეშაპთა“ (მხეცთათუხ სახისა სიტყუაჲ წიგნთაგან თქმული წმიდისა ბასილი ებისკოპოსისა კესარიელისაჲ).

3. განსაკუთრებულადაა აქცენტირებული ეს თემა საფარის (სამცხე) წმ. საბას ტაძარში, სადაც იგი დასავლეთ კედელზე „განკითხვის დღის“ თავზე, ერთგვარი სატრიუმფო სცენის სახით წარმოდგენილია.

კუნეების ძეგლებშიც – ქვემო ილემისა და ქორეთის ეკლესიების მხატვრობაში (XVI ს.), ყარა-ბულახის ეკლესიის ფერწერულ ხატზე (XVII ს.) და ა.შ. რაც შეეხება ნაქარგობას, ხელოვნების ამ დარგშიც შემოინახა რამდენიმე ქსოვილი წმინდა ევსტათის გამოსახულებით, რომელთაგან ერთი იმდენად დიდ მსგავსებას ავლენს სამთავროს ქსოვილთან, რომ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. საქმე ეხება ინგლისში, ერთ-ერთ კერძო კოლექციაში დაცულ ქსოვილს (ზომა – 80 X 67 სმ), რომლის ცენტრში (25 X 26 სმ)



სურათი 2.



სურათი 3.

წმინდა ევსტათის ოჯახი ამოუქარგავთ (სურ. 2). ქსოვილს ქართველოლოგი დავით ლანგის მიერ, უცხოეთში, 1964 წელს გამოქვეყნებული ნარკვევი მიეძღვნა.⁴ მასში მკვლევარი აანალიზებს გამოსახულებას, დაქარგულ ვრ-

4. მაღლობას ვუხდით ქ-ნ მარინა გველესიანს ამ პუბლიკაციის მოწოდებისთვის და ქ-ნ ეკატერინე ბერელაშვილს მისი თარგმნისთვის.

ცელ წარწერას და გვითავაზობს ტექსტში ნახსენები პიროვნებების იდენტიფიკაციას, რაც სამთავროს ქსოვილის წარმომავლობის გარკვევაში დიდად გვეხმარება.

დავით ლანგი გვამცნობს, რომ – „პანოს აქვს აბრეშუმის მიწარი, გარეთა მოჩარხოებაზე დაუყვება ყვავილებისგან და ფოთლებისგან შემდგარი მცენარეული ორნამენტი. ორნამენტი მოქარგულია ვერცხლის თმითა და ყვითელი, მწვანე, და ნარინჯისფერი აბრეშუმის ძაფებით. გარეთა მოჩარხოება შემოსაზღვრავს ცენტრალურ ნაწილს, სტილიზებული ყვავილებითა და ფოთლებით, სადაც, ასევე, ჩართულია ხილის მოტივები. ცენტრალური მედალიონის ირგვლივ განთავსებულია ქართული (მხედრული) წარწერა, შიდა არეზე კი – წმინდა ევსტათი პლაკიდას ხილვა, სადაც ევსტათი მეუღლესა და ორ შვილთან ერთადაა წარმოდგენილი“.

ლანგი სრულად გვაწვდის ქსოვილის წარწერას – ქ: ეჰა, მოწამეთა შორის ბრწყინვალედ მნათობო, რომელის სასწაულითა და კურნებითა იდიდები მარადის, მოწამეო ქრისტესო ევსტათი, შეგიმკვე კნინი ესე თითთა მიერ შრომილი მე, ფ(რია)დ მსასოებელმან შენმან, სრულიად საქართულოს მეფის, ირაკლის, პირმშოსა ძისა გიორგის ასულმან და თანამეცხედრემან თარხნის-შვილის ლუარსაბისამან, სოფიო. მიიღე ესე მწულილებრ [ქურივისა?] და ნაცუაღდ გუაგე ფარვაში მრჩობლისა შინა ცხოვრებასა მეუღლით და შვილით ჩემით უკე: აგვისტოს კბ ქკს უჰბ.

ინგლისში, კერძო კოლექციაში დაცული ქსოვილის წარწერაში მოხსენიებულია ისტორიული პირები: ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1744-98 წწ.), მისი მემკვიდრე გიორგი XII (1798-1800წწ.) და გიორგის ქალიშვილი სოფიო (1771-1838წწ.). სოფიო იყო მეფე გიორგი XII-ისა და მისი პირველი მეუღლის, ქეთევან ანდრონიკაშვილის მეოთხე შვილი, რომელიც 1792 ან 1793 წელს დაქორწინდა ლუარსაბ თარხნიშვილზე... სოფიოსა და ლუარსაბს ჰყავდათ ოთხი შვილი, რომელთაგან პირველს, წმინდა ევსტათის პატივსაცემად დაარქვეს ევსტათი, რის გამოც მიუძღვნეს პანო მფარველ წმინდანს (ხაზი ჩვენია – გ.ბ., ნ.ბ.). 1794 წელს დაბადებული ესტატე თარხნიშვილი დაქორწინდა სოფიო ციციშვილზე... ამგვარად, ზემოაღწერილი პანო მოიქარგა სოფიოს მიერ და მიეძღვნა წმინდა ევსტათი პლაკიდას, მისი პირველი შვილის მფარველად და საოხად...

საქართველოში წმინდა ევსტათის თაყვანს სცემდნენ ადრეული პერიოდიდან, ქართული ეკლესია მას 20 სექტემბერს (3 ოქტომბერს)

მოიხსენიებს. წმინდანის ცხოვრების ისტორია პოპულარული გახდა აღმოსავლურ, მათ შორის სომხურ და სირიულ ეკლესიებშიც. ქართულად კი ითარგმნა ადრეულ საუკუნეებშივე, მაგალითად, ათონის მთის ქართულ კოლექციაში მოიპოვება დიდმოწამე ევსტათის X საუკუნით დათარიღებული თარგმანი. იკონოგრაფიული თვალსაზრისით, სოფიოს მიერ შემოთავაზებული ვერსია, საკმაოდ საინტერესოა. რამდენადაც მასში კომბინირებულია ორი განსხვავებული ეპიზოდი წმინდა ევსტათის ლეგენდისა – კერძოდ, ნადირობის დროს მომხდარი სასწაული და მისი ოჯახის მოქცევა ქრისტიანებად და მათი ერთობლივი მოწამეობა...“ როგორც ვხედავთ, დავით ლანგის ეს საინტერესო სტატია და ფოტოები, რომელსაც იგი გვაწვდის, ბევრ რამეს ჰყენს ნათელს. მასზე მოცემული გამოსახულების (სურ. 3) დიდი მსგავსება სამთავროს ქსოვილის ტექნიკურ, იკონოგრაფიულ და მხატვრულ მახასიათებლებთან, საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა, სამთავროს ქსოვილის მქარგავიც სოფიო ბაგრატიონ-თარხნიშვილისაა. ჩვენ ვარაუდს ამტკიცებს სამთავროსა და „ინგლისური“ ქსოვილების ისტორიული ვითარების ფონზე განხილვაც. საამისოდ კი პირველ რიგში უნდა დავსვათ კითხვა – რატომ უწოდეს ლუარსაბ თარხნიშვილმა და სოფიომ უფროს ვაჟს ესტატე და არა გიორგი, მაშინ, როცა ახალშობილის ბაბუას, საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი ერქვა? ამ კითხვაზე პასუხს თარხნიშვილების გვარის, მათი კუთვნილი მამულისა და ტაძრის ისტორია იძლევა. როგორც ცნობილია, თარხნიშვილების გვარი დიდი მოურავის, გიორგი სააკაძისგან წარმოსდგება. იგი სათავეს XVII ს-დან იღებს, და ქართლის მეფე როსტომის (1565-1658) მიერ გიორგის ვაჟის, იორამ სააკაძისთვის (გარდაც. 1664) „თარხანის“ (თავისუფალი მსახურის) წოდების მინიჭებას უკავშირდება. ცნობილია ისიც, რომ მეფემ იორამს აღუდგინა პაპის, სიაუშ სააკაძისთვის, სვიმონ I-ის (1537-1611) მიერ 1610 წელს ბოძებული ერთაწმინდის მამულებისა და ტაძრის მფლობელობა. აქედან მოყოლებული, ერთაწმინდის ტაძარი, სადაც სააკაძეთა შთამომავლების, თარხან-მოურავების, იგივე – თარხნიშვილების, საგვარეულო სიწმინდესა და განსასვენებელს წარმოადგენდა. ისმის სხვა კითხვაც, რა შუაშია ეს ინფორმაცია ჩვენთვის საინტერესო ქსოვილებთან? საქმე ისაა, რომ ერთაწმინდის მამულებიცა და ტაძარც უშუალოდ წმინდა ევსტათი პლაკიდას უკავშირდება და თვით სახელწოდება

„ერთაწმინდა“ (ზოგი საბუთის მიხედვით – „ესტაწმინდა“) წმინდა დიდმოწამე მხედრის სახელიდან წარმოიქმნა.

გადმოცემით, ერთაწმინდაში პირველი ტაძარი წმინდა ვახტანგ გორგასალს აუგია, თუმცა დღევანდელი, საკმაოდ დიდი, გუმბათიანი ნაგებობა XIII ს-ის შუა წლებით თარიღდება (სურ. 4). აღსანიშნავია, რომ მის დასავლეთ ფასადზე, რელიეფური ჯვრის ორნამენტირებული ვაზის ძირთან ჩაყოლებულ ქვაზე, გამოკვეთილია წმინდა ესტატეს ნადირობის სცენა. საყურადღებოა ისიც, რომ თარხნიშვილების საგვარეულო ღერბზე გამოსახულია შუბოსანი მხედარი, ირემი, იაღქანი და კოშკი. აქედან, შუბოსანი მხედარი და ირემი წმინდა ევსტათის სასწაულს უკავშირდება; ხოლო კოშკში, ტაძრის




სურათი 4.


სიახლოვეს, სამხრეთ აღმოსავლეთ ბორცვზე მდგარი, აწ ნანგრევებად ქცეული, ლუარსაბ მეფის დროინდელი ციხე-სიმაგრედ მოიაზრება.

ერთაწმინდის ტაძარი ძალზე სახელგანთქმული ყოფილა სასწაულებით. ვახუშტი ბატონიშვილის უწყებით: „თეძამზედ არს ახალქალაქი. მის ზეით ეკლესია გუმბათიანი ერთაწმინდისა, სასწაულმოქმედი; თლილის ქვით ნაშენი, კეთილოვანი, საარქიმანდრიტო, არამედ კატოლიკოსს უპყრია ტახტად თვისად“. XIX ს-ში იქ, ტაძრის სახურავზე დიდი რაოდენობით ირმის რქები უნახავთ. ტაძარში ინახებოდა ე.წ. „დადიანისეული“ სასწაულმოქმედი ჯაჭვი (რომლითაც იკურნებოდნენ სულით ავადმყოფები) და სხვაც მრავალი სიწმინდე, რომელთა შორის დიდმოწამე ევსტათის წმინდა ნაწილებიც ყოფილა. პლატონ იოსელიანის ცნობით: „ტაძარში, ცილინდრული ფორმის კიდობანში, ინახება წმიდა ევსტათის მკლავის ნაწილი და ცერი, რომლებიც წმინდანის ნაწილებისგან ძლივს გადარჩენილა. 1795 წლამდე, ბატონიშვილ თეკლას ავადმყოფობის გამო, ერეკლე II-ს კა-

თოლიკოსისთვის გამოუთხოვია ისინი თბილისში გადასატანად. თბილისის დარბევისას სამეფო ეკლესიის სხვა ძვირფასეულობასთან ერთად, წმინდა ევსტათის ნაწილებიც დაკარგულა. ისინი მეფის დას, ანას, გამოუსყიდია და ერთაწმინდაში დაუბრუნებია. ამჟამად დიდმოწამის წმინდა ნაწილები თაყვანის საცემლად ხშირად გამოაქვთ წმინდანის ხატის წინ.⁵ მისივე გადმოცემით, მოოქროვილი



სურათი 5.



სურათი 6.



სურათი 7.

დიდებულ ხატზე ტაძრის პატრონი გამოსახული ყოფილა შუბითა და მოწამის ჯვრით – მთელი ტანით. ტაძრის საგანძურში ყოფილა XIII-XIX სს-ის სხვა ჯვარ-ხატები და საღვთისმსახურო წიგნებიც. მათ შორის: წმიდა ევსტათის „ცხოვრებანი“ ხატი, მუხ-

5. სამწუხაროდ, XX ს-ში ტაძრის მძარცველებს წმინდა ნაწილები გაუტაციათ და ამჟამად მათი სამყოფელი უცნობია. ის კი ცნობილია, რომ ამ უმძიმესი დანაშაულის გამო სოფელს თავს უამრავი მძიმე განსაცდელი დასტეხია.

ლმოდრეკილი ქტიტორის, დემეტრე II თავდადებულის გამოსახულებით; ხატები წმინდა მოწამეებისა და წმინდა მღვდელმთავრებისა; მცირე ზომის გულსაკიდი სანაწილე 48 ბუდით; XVIII ს-ის ჯვარი წმიდა ესტატეს გამოსახულებით, ლიტურგიული ჭურჭელი და ა.შ.

ტაძარი ძალზე მნიშვნელოვანია მასში შემორჩენილი XVII ს-ის კედლის მხატვრობის ფრაგმენტებითაც, რომლებზეც მოხანს წმინდა ევსტათი პლაკიდასა და წმინდა გიორგის ვნებებისა და სასწაულების სცენები⁶ (სურ. 5, 6, 7) როგორც ფრესკული წარწერებით ირკვევა, ტაძარი იორამ სააკაძე-თარხნიშვილის დროს როსტომ მეფისა და დედოფალი მარიამის ზეობისას (1634-1658 წწ) მოუხატავთ.

ერთაწმინდის ტაძარში დღემდეა შემონახული დიდმოურავი გიორგის ვაჟის, პაატას, გიორგის შვილთაშვილებისა და მათი ოჯახის წევრების საფლავები; და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, იქაა 1836 წელს გარდაცვლილი თარხნიშვილების რძლის, ლუარსაბის მეუღლის, ბატონიშვილ სოფიოს განსახვენებელიც.

ნათქვამიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, თუ რატომ უწოდეს ლუარსაბმა და სოფიომ თავიანთ პირმშოს ესტატე და რატომ გამოსახა სოფიომ შვილის დაბადების წელს (1794 წ.) მოქარგულ ქსოვილზე წმინდა ევსტათი მისი ოჯახით. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში, ერთაწმინდის ტაძრის გარდა, წმინდა ევსტათის ცხოვრების ციკლი (თანაც ასეთი გავრცობილი) არსად გვაქვს. ისე რომ, უეჭველია – სოფიოს, საკუთარი ნაქარგობისთვის ნიმუშად (არა ზუსტი მიბაძვით, არამედ გარკვეული სახეცვლილებებით), ამ ტაძრის ფრესკული ხატები გამოუყენებია.⁷

რაც შეეხება სამთავროს მონასტრისა და „ინგლისურ“ ქსოვილებს შორის კავშირს – მიუხედავად მათი კომპოზიციების ნაწილო-

6. ეს მხატვრობა, რომელიც 1848 წელს ნაწილობრივ აქვს აღწერილი პლატონ იოსელიანს, 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილს ვედარ უნახავს, რადგან ის კირით ყოფილა გადაღესილი. 1990-იანი წლების დასაწყისში ფრესკები გაიწმინდა რესტავრატორ თ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

7. საგულისხმოა, რომ ასეთი მიბაძვა-გამეორების მაგალითი სხვაც გვაქვს. ერთაწმინდის ტაძარში და ხელოვნების მუზეუმში ინახება XIX ს-ის ტილოზე ნახატი ხატი და ნაქარგი ქსოვილი, რომლებიც გიორგი თარხანიშვილს შეუწირავს. მათზე წარმოდგენილია „წმინდა ევსტათის ხილვა“, სადაც მხედარს ირმისთვის მშვიდდისრის ნაცვლად თოფი დაუმიზნებია.

ბრივი სხვაობისა („ინგლისურზე“ არ არის გამოსახული წმინდა გიორგი, ზედა მარცხენა კუთხეში, ღრუბლებში მოჩანს მაკურთხეველი მაცხოვარი, ირემი დაბალ მთაზეა შემომდგარი, წმინდა ევსტათის ზურგს უკან „უფრიალებს“ მოსასხამი), მათ შორის იმდენია საერთო ნიშანი (გამარტივებული, მაგრამ დახვეწილი ტექნიკა, ერთი სტილის სამოსელი, ირმის რქებს შორის ჯვარი), რომ შეიძლება მოგვიანებით სამთავროს ქსოვილიც სოფიოს



სურათი 8



სურათი 9.

მოეპარვა – გაუმჯობესებული მხატვრული მიდგომით, უკეთესი ესკიზითა და ტექნიკით. თუმცა, ამ ვარაუდს არ აქვს რაიმე პირდაპირი არგუმენტი. სოფიო ბაგრატიონის მხატვრულ შემოქმედებასთან დაკავშირებით, საინტერესოა, რომ მას 1814 წელს, უკვე ოთხშვილიან დედას,

მოუქარგავს კიდევ ერთი ქსოვილი, რომლის ორფეროვან ფონს მცენარეული ორნამენტი სრულად ფარავს (სურ. 8). მართალია, მასზე გამოყვანილია მხოლოდ მცენარეული ორნამენტი („ინგლისური“ ქსოვილის დეკორის მსგავსი), მაგრამ აქვეა მხედრული წარწერა, – „ქ. წმინდაო სამებაო და ღმერთო ჩვენო, შეიწირე მცირე ესე შესაწირავი ჩემი უღირსის მეფის გიორგის ასულის სოფიასაგან ჩემის ძეებით და ასულებით ჩემისა. ჩყიდ იანვრისა. საუკუნოდ შემიწყაღენ, ღირს მყავ შენს წყალობას“⁸ დასასრულ, გასარკვევი რჩება, თუ რა დანიშნულების იყო ქსოვილები, რომლებიც სამთავროს მონასტერსა და ინგლისში ინახება? დავით ლანგი ზოგადად „პანოს“ უწოდებს ერთ მათგანს და ვერ აკონკრეტებს მის მნიშვნელობას. უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეკლესია-მონასტრებში განყენებული „პანოების“, უფუნქციო ქსოვილების ქარგვის ტრადიცია არ არსებობდა. ყველა პიროვნების „თითთა მიერ შრომილს“ ტაძრებში გარკვეული საეკლესიო დანიშნულება ჰქონდა. საბერძნეთში და განსაკუთრებით რუსეთში დამკვიდრებული იყო წესი, მოეპარგათ ამა თუ იმ ხატის ზუსტი ასლი და იგი ორიგინალის ქვეშ დაეფინათ ან დაეკიდათ, როგორც ხატის ფარდა. ხატის ფარდები არც XVIII-XIX სს-ის ქართული საეკლესიო ხელოვნებისათვის ყოფილა უცხო, მაგრამ მათზე, განსხვავებით ბერძნულ-რუსული ქსოვილებისაგან, მხოლოდ მცენარეული ორნამენტი ან ორნამენტით გარემოცული ჯვრები გამოისახებოდა. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ რუსეთში დამკვიდრებული ხატის ასლის ქარგვის ტრადიციამ გამოხმაურება ჩვენშიაც ჰპოვა; თუმცა, ამ საკითხის გარკვევას დამატებითი კვლევა ესაჭიროება. საინტერესოა ისიც, თუ როდის და რა გზით შეიძლება მოხვედრილიყო სამთავროს მონასტერში XVIII ს-ის შესანიშნავად ნაქარგი ქსოვილი, რომელზეც წარმოდგენილია „ერთაწმინდული“ თემა? ვფიქრობთ, ამ საკითხის გარკვევისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სამთავროს დიდებულ ტაძარში დაბრძანებულ წმინდა ნინოს სასწაულმოქმედი ხატის სანაწილეში სხვებთან ერთად დიდმოწამე ევსტათის წმინდა ნაწილიცაა.

**გულნაზ ბარათაშვილი,
ნანა ბურჭულაძე**
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

8. ქსოვილი ხელოვნების მუზეუმში ინახება. იქვეა კიდევ ერთი ნიმუში ნაქარგობისა – XVIII ს-ის საკოსი, რომელზეც გამოსახულია წმ. გიორგის მიერ გველეშაპის ძლევა და წმ. ევსტათის ნადირობა (სურ. 9).

უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის იღუმენია ქეთევანის ღვაწლით, ქვის ოსტატმა ბატონმა გიორგი ლალიაშვილმა განასრულა მოციქულთასწორთა მეფე მირიან-



ქვის ოსტატი გიორგი ლალიაშვილი

ისა და დედოფალ ნანას საფლავის ქვების დამუშავება. სპეციალისტთა აზრით, ქვები კვეთის ხელოვნების იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს და უნიკალურია, როგორც ამოკვეთილი კომპოზიციების და პორტრეტების სიუხვით, ასევე რელიეფური დამუშავების მაღალმხატვრული ოსტატობით. ბატონმა გიორგიმ არა მარტო აღადგინა მსოფლიოში სრულიად უნიკალური ჩუქურთმა, არამედ იშვიათი კომპოზიციები შექმნა. როგორც თავად ქვაზე კვეთის ოსტატმა, ბატონმა გიორგიმ ბრძანა, მან კომპოზიციები და ცალკეული პორტრეტები XI საუკუნის სვეტიცხოვლის და უმეტესად, სამთავროს ტაძრის კანკელის ქვების

მიხედვით, რელიეფურად დაამუშავა.

საფლავის ქვებზე მოციქულთასწორთა: წმიდა ნინოს, წმიდა მეფე მირიანისა და წმიდა დედოფალ ნანას ცხოვრების უმთავრესი სიუჟეტები იკითხება. აქვე წარმოდგენილია პორტრეტები, მოციქულთასწორთა კონსტანტინე დიდის, ელენე დედოფლისა და სხვათა.

ახლადგაკეთებული საფლავის ქვები აკურთხა და სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა მონასტრის მოძღვარმა, არქიმანდრიტმა ლაზარემ. კურთხევას ესწრებოდნენ სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარი, იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი), მონასტრის დედეები, თბილისის წმიდა ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ბესარიონი (მენაბდე), მოციქულთასწორთა საფლავების ქტიტორი, თამაზ შარიქაძე და სხვა სასულიერო და საერო პირნი.

ჟურნალ „მაყვლოვანის“ რედაქცია ესაუბრა ქვაზე კვეთის ოსტატს ბატონ გიორგი ლალიაშვილს, საფლავების აღდგენითი სამუშაოების ხელმძღვანელს, დეკანოზ ბესარიონს (მენაბდე), მონასტრის მოძღვარს, არქიმანდრიტ ლაზარეს (გაგნიძე) და ქტიტორს, ბატონ თამაზ შარიქაძეს. მკითხველს ვაცნობთ ცალკეული საუბრის ფრაგმენტს:

ქვის ოსტატი, გიორგი ლალიაშვილი:

– უფალი გაკეთებინებს ყველაფერს. დიდი პასუხისმგებლობის, საკუთარი უღირსების განცდით და იმავე დროს სიხარულის გრძნობით ივსები, როდესაც წმიდანებს და მით უფრო, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამწერგველთა ცხოვრებას, მათ ხატებს ეხები... მაგრამ უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვით, რჩევით, თანადგომით და სამთავროს დედათა მონასტრის მეოხებით გასრულდა საქმე.

არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე):

– მოციქულთასწორთა, მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას საფლავთა განახლება და მათთვის საყოველთაო მნიშვნელობის საფლავის ქვების შემზადება ზოგადქრისტიანული მოვლენაა; რადგან წმიდა მეფე მირიანს და წმიდა ნანა დე-

დოფალს, კონსტანტინე დიდთან და ელენე დედოფალთან მიმართებაში, ერთიან სახედ ვიაზრებ. მათი ხატება ერთი კონტექსტით, ერთი ეპოქით განიხილება. ფაქტიურად, ამ ეპოქამ განსაზღვრა სრულიად ქრისტიანობის შემდეგი პერიოდი. მანამდე, ქრისტიანობა კატაკომბურ გარემოში იმყოფებოდა, ხოლო წმიდა მოციქულთასწორ მეფე-დედოფალთა: კონსტანტინე დიდისა



არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე), დეკანოზი ბესარიონი (მენაბდე), იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი), ქვის ოსტატი გიორგი ლაღიაშვილი და კტიტორი თამაზ შარიქაძე

და ელენე დედოფლის, მირიან მეფისა და ნანა დედოფლის ღვაწლით, ქრისტიანობა კატაკომბური ცხოვრებიდან გამოვიდა და სრულიად ახალი ეპოქა დაიწყო.

დღეს ჩვენ ძეგლს ვუდგამთ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღმსარებელ პირველ მონარქებს; მართალია დიდი ხნის შემდეგ, მაგრამ სწორედ დღევანდელი თვალსაზრისით უნდა გააცნობიეროს ერმა წმიდა მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას ღვაწლი.

დეკანოზი ბესარიონ მენაბდე:

– ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის დაიდო ლოდი, რომლითაც დაიბეჭდა უფლის საფლავი; დღესაც ასევე ქვის ლოდით არის უფლის საფლავი დაბეჭდული. აქედან გამომდინარე, ქრისტიანებისთვის განსაკუთრებული შინაარსი შეიძინა საფლავზე ლოდის დადებამ, კერძოდ, წმიდათა საფლავებზე გამშვენებული ლოდის დადებამ.

ამჯერად, მოციქულთასწორთა მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის საფლა-

ვებისთვის გამზადდა არა ტრადიციული საფლავის ლოდი, არამედ – სარკოფაგის მსგავსი გამშვენებული ქვები. ამ ქვების ოთხი მხარე და ორნაწილიანი სახურავი ანუ ექვსნაწილიანი ქვა მთლიანად არის ხატებითა და ორნამენტებით შემკული. მე ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ და მართლმადიდებელ სამყაროში ორნამენტებითა და წმიდათა გამოსახულებებით დახუნძლული საფლავის ქვის მსგავსი გაფორმება არ მინახავს; შესაძლებელია, ამგვარი რამ არსებობდეს, მაგრამ ეს იშვიათი ნამუშევარია და ასეთ შემთხვევაში საფლავებს, პირველი ქრისტიანი მეფე-დედოფალი იმსახურებს, რომლებმაც საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადეს.

მე მაინც ვთვლი, რომ საქართველოში მოციქულთასწორებს მეფე მირიანს და დედოფალ ნანას ჯეროვნად ვერ აფასებენ. ძნელი წარმოსადგენია მათი ღვაწლის და გმირობის სიდიადე. ერთია, ღმერთის რჩევა, მაგრამ მეორეა – როცა შენ უნდა იყო ამის აღმასრულებელი; ასეთი წარმართული ტრადიციის მქონე მეფე და იმგვარ წარმართულ გარემოში მცხოვრები, როგორიც სამსხვერპლო ბომონებით სავსე მცხეთა იყო, ქრისტიანობის აღიარება და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მეფის მიერ – უდიდესი გმირული გადაწყვეტილებაა. წმიდა მეფე მირიანი გმირია და როდესაც ჩვენ გმირ მეფეებზე ვლაპარაკობთ, ერთ-ერთი უპირველესი გმირი მეფე არის მოციქულთასწორი მეფე მირიანი, რომელმაც არა მარტო თავის თავში დაამარცხა წარმართობა და აღიარა ქრისტიანობა, არამედ სრულიად საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა და თანამეცხედრესთან, წმიდა ნანა დედოფალთან ერთად, სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა უფალს.

საოცარია და აღსანიშნავი, აგრეთვე, ჰარმონია მეფე-დედოფალს შორის; წმიდა ნინოს მიერ დედოფალ ნანას სასწაულებრივი განკურნება ღრმა ანალიზის, ფიქრის და განსჯის საგანი ხდება მეფე მირიანისათვის, რამაც მასში აღძრა ქრისტესთან ერთობის სურვილი.... საკუთარ თავთან დიდი ბრძოლის შემდეგ, იგი „ნადირობიდან“ გამარჯვებული გამოვიდა,



არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე) წმიდა მეფე-დედოფლის მირიანისა და ნანას სახელზე აღასრულებს პარაკლისს

ღვთის შეწევნით; ეს არის უდიდესი გამარჯვება, სიმამაცის გამოვლინება, ამიტომ, წმიდა მეფე მირიანი არის გმირი მეფე, პირველი ქრისტიანი მეფე, ქართველთათვის გზის გამკვალავი მეფე. ჩვენ მრავალი გმირი მეფე გვყავდა, მაგრამ მათ უკვე გაკვალულ გზაზე იარეს.

წმიდა მეფე მირიანის და წმიდა ნანა დედოფლის საფლავების განახლების იდეა, ღვთის განგებით, კათოლიკოს-პატრიარქ-

ის ილია II-ის მიერ წარმოჩნდა, როდესაც მან განაცხადა, რომ „მოციქულთასწორთა, წმიდა მეფე მირიანისა და წმიდა ნანა დედოფლის საფლავის ქვები განსაკუთრებული უნდა იყოს“ და მართლაც, მე ვფიქრობ, რომ ეს საფლავის ქვები გამორჩეულია საქრისტიანო სამყაროში. უწმიდესისა და უნეტარესის შინაგანი სურვილიც ეს იყო და ღმერთმა პატრიარქს აღუსრულა კიდეც ეს შინაგანი სურვილი; რადგან იგი განიცდიდა, როგორც ჩანს, რომ ღირსეულ პატივს ვერ მივაგებდით წმიდა მეფე-დედოფალს. მიხარია პატრიარქის სურვილი რომ აღსრულდა: გამოჩნდა ხუროთმოძღვარი და გამოჩნდა ქვის საოცარი ოსტატი, ბატონი გიორგი ლალიაშვილი – დღევანდელობაში ამ საფლავის ქვებზე უკეთესი ნაკეთობა ვერ წამომიდგენია; რადგან, რა ძვირფასი ქვაც არ უნდა მოგვეტანა, ადამიანის ხელით ქმნილზე აღმატებული ვერ იქნებოდა; მით უფრო, თუ ეს ქვები განსულიერებულია. და მე ვფიქრობ, რომ გიორგის თანაშემოქმედი ამ შემთხვევაში, უფალი იყო; უფალი შეეწია მას და ასეთი დიდებული ნაკეთობა გამოვიდა.

ქტიტორი თამაზ შარიქაძე:

– ჩემთვის ძალიან სასიხარულოა და ვმადლობ უფალს, რომ ამ საქმეში პატარა წვლილის შეტანის საშუალება მომეცა და ვმადლობ უფალს ყველაფრისათვის.





„სხალი ღიღაბაი მაყვლოვანთა მათ“

მოციქულთასწორმა წმიდა ნინომ, საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში, „მაყვლოვანში“ დაივანა, სამოციქულო ღვაწლისათვის. დააბრძანა ღვთისმშობლის მიერ ბოძებული ვაზის ჯვარი, და „ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთსა შებურვილსა ბრძამლითა მაყულისადათა და შექმნა სახედ ჯუარისაჲ და მუნ დაადგინა და ილოცვიდა. და ადგილი იგი იყო ზღუდესა გარეგან, ხოლო მათ მაყუალთა ადგილი არს „ზემოდასა ეკლესიისა“ საკურთხევლისა ადგილი“.

საყოველთაოდ ცნობილია მატთანეთა უწყება, რომ მოციქულთასწორმა წმიდა მეფე მირიანმა თავდაპირველად ააგო „სვეტიცხოველის“ ტაძარი და მას „ქვემო ეკლესია“ უწოდა, ხოლო „სამთავროს“ ტაძარს კი „ზემო ეკლესია“.

სამთავროს საეპისკოპოსო ტაძარი საკუნეთა მანძილზე მართლმადიდებელი ეკლესიის და სულიერი ცხოვრების ცენტრი იყო. ისტორიკოსი ანტონ ნატროშვილი ფართო საზოგადოებას კიდევ ერთგზის შეახსენებს, წმიდა ნინოს სამოციქულო მოღვაწეობის სავანის, „მაყვლოვანის“ ადგილმდებარეობას: „ინება განმარტობა და დატოვა მისი მფარველის სახლი და დასახლდა ქალაქის კედლის გარეთ, მაყვლის ბუჩქებში, სწორედ იმ ადგილას, სადაც ამჟამად მცხეთის დედათა მონასტრის, სამთავროს ეკლესიის მთა-

ვარი საკურთხეველია. და აქედან იწყება მისი ღოცვითი ღვაწლი“ (Антон Натроев. Ист.арх. описание, Тб.1901).



მცხეთა. სამთავრო. მოწიქულთასწორი წმიდა ნინო

საღვთისმეტყველო განმარტებით, მაყვლის ბუჩქი „შეუწველი მაყვალი“, რომელიც წინასწარმეტყველმა მოსემ იხილა, წინასახეა ყოვლადწმიდა ქალწული მარიამისა; ხოლო წმიდა ნინოს მაყვლის ბუჩქში დავანება – ღვთისმშობლის მიერ თავის წილხვდომილ საქართველოში წარმოგზავნილი ყმაწვილი ნინოს მფარველობას გამოსატავს და წმიდა ნინოსთვის ღვთისმშობლის განცხადების, საქართველოს გამოსნის მაუწყებელია. წმიდა ნინოს „მაყვლოვანის“ სულიერ მნიშვნელობას, უწინარეს ყოვლისა, მოციქულთასწორმა მეფე მირიანმა მიაქცია ყურადღება და ამიტომაც, ქართული ცნობიერების ფერისცვალების

ამ ადგილზე, „მაყვლოვანში“, მოციქულთასწორმა მეფე მირიანმა და დედოფალმა ნანამ, IV საუკუნეში ააგეს სამთავროს ტაძარი და წმიდა ნინოს სამლოცველო; სადაც, მემატთანეთა გადმოცემით და 2004 წლის არქეოლოგიური გათხრების მოწმობით, განისვენებენ საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფე-დედოფალი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲში“ წმიდა მეფე მირიანი ზედმიწევნით განმარტავს, თუ რამდენად ღვთიერკურთხეულია და შესაბრწუნებელი ადგილი, რომელსაც მან „მაყ-

გლოვანი“ უწოდა. ადგილი, სადაც ამჟამად სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერია და სადაც – ყოველ მართლმორწმუნე ადამიანს მართებს ისმინოს სიტყვა უფლისა, რომლითაც მიმართა ბიბლიურ „შეუწველ მაყვალთან“ გაოცებით მდგომ



მცხეთა. სამთავრო.
მოციქულთასწორნი მეფე მირიანი
და დედოფალი ნანა

წინასწარმეტყველ მოსეს: „გაიხადე ფეს-საცმელი, რადგან ადგილი, რომელზეც დგეხარ, წმიდაა“.

ყოველი მართლმორწმუნე ქართველი მოვალეა, უწყოდეს, რომ მცხეთის სამთავროს ტაძარი (იგივე „ზემო ეკლესია“) და წმიდა ნინოს სამლოცველო არის „ცხადი დიდება მაყვლოვანთა მათ“. აქვე მოგვყავს ამონარიდები „მოქცევაჲ ქართლისაიდან“:

„ხოლო მეფე ეტყოდა ნინოს აღშენებისათვის ეკლესიისა. ოდეს იგი წარე-

მართა მეფე და ყოველი ერი მოსწრაფებით ქრისტიანობასა, ვიდრე მდღელთა მათ მოსვლამდე საბერძნეთით. ჰრქუა მეფემან მორწმუნემან წმიდასა ნინოს:

– სადა უშენო სახლი ღმერთსა?

ხოლო ნეტარმან მან ჰრქუა:

– სადაცა მეფეთა გონებაჲ მტკიცე არს“.

ხოლო მეფემან ჰრქუა:

– მიუჟარან მაყუალნი ეგე შენნი და მუნ მინებს გონებითა...“

მაგრამ წმიდა მეფე მირიანმა უწყოდა რა ნება წმიდა ნინოსი, დაჰყვა ნებას მისას და პირველი ტაძარი – სვეტიცხოველი (იგივე „ქვემო ეკლესია“) თავის სამეფო ბაღში ალაშენა და ამის შემდეგ იწყო „ზემო ეკლესიის“, სამთავროს ტაძრის შენება.

„და წარემართა მეფე და ყოველი ქალაქი მტკიცედ ქრისტიანობასა, იწყეს ხუროთა შენებაჲ ეკლესიისა, გარე უბანთა მაყუალთა მათ ზედა, და საყოფელთა წმიდასა ნინოსათა სადა აწ არს ეკლესია საეპისკოპოსო“ („ქართლის ცხოვრება“, „საქართველოს სამოთხე“ გვ. 145).

მაყვლოვანში სამთავროს ეკლესიის შენება თვით მოციქულთასწორმა წმიდა ნინომ აკურთხა და წართქვა ლოცვა: „კურთხეულ არს უფალი ჩვენი იესო ქრისტე და მამა უფლისა ჩვენისა, რომელმან მოავლინა სიტყვა მისი წმიდა ცათაგან მაღალთა თვით ძლიერისაგან ცათაგან გარდამოსრული ქვეყანად მდაბლად. შობილი უეჭუელად თესლისაგან დავითისსა, დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა წმიდისა და უბიწოსა, რომელი სათნო ეყო მას მიზეზითა მიზეზი ცხოვრებისა ჩვენისა, რომელმან ცისა ქვეშე ყოველივე განანათლა და მორწმუნენი აცხოვნა რომელი იშვა, ვითარცა კაცი ყოვლისა, ხატი დვთისა და ვითარცა მსახურმან ვინმე სჯულისამან, ნათელს იღო წყლისაგან



მცხეთა. სამთავრო.

და სულისა, ჯუარს ეცუა და დაეფლა და აღსდგა მესამესა დღესა, ამაღლდა სიმაღლესა მამისა თანა და კუალად მოვალს დიდებით, რომელსა შვენის ყოველი დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“. („საქართველოს სამოთხე“ გვ. 145.)

„და აღვაშენე ეკლესიად მაყვლოვანსა მას შინა ნინოძსსა და ვქმენ მას შინა საქმე ქმნული უჩინოდ მაყვლოვანთა მათ, რამეთუ არა გამოვასუ ფურცელი ერთიცა მათგან, არამედ ხარისხითა გარე შევიცვენ, რამეთუ მეხილვნეს მრავალნი სასწაულნი მას შინა და კურნებანი დიდნი და აღვაშენე ზემო ეკლესიად თავისა ჩემისათვის ქვითა და ერისა სიმრავლითა, რამეთუ ქვემოსა ეკლესიასა ერქუა „წმიდად წმიდათადა“ და ყოვლადვე ვერ ვიკადრებდი კართა მისთა განხუმად თვინიერ ხოლო დღესა კვირიაკესა, არცა შესვლად ვინ იკადრებდა თვინიერ მღვდელთასა, რომელნი გალობედ მას შინა, რამეთუ შიში დიდი დაცემულ იყო ყოველსა ზედა კაცთა

სუეტისა მისგან ცხოველისა. და ჰხედვიდა ყოველი კაცი სუეტსა მას, ვითარცა ძალსა ღმრთისასა. და მიხედვადცა ვერ ეძლო კაცთა სართულსა მისსა, რომელსა თვით ვხედავთ. და ვერ ვიკადრე წინაშე მისსა აღმოკუეთად მიწად სამარედ ჩემდა, რაითამცა დავსხენ ხორცნი ჩემნი მის წინაშე, რამეთუ მეშინოდა მისგან ცოდვისა ოდენ მოქმედსა. და შევმზადე ზემო საფლავი ჩემი, რაითა თუალსა მისსა მივპრიდო და წყალობასა მისსა მივემთხვიო აღდგომასა.

„და წარვიდა მეფე მირიან და ყოველი ერი, რამეთუ იქმოდეს ეკლესიასა ზემოსა (სამთავროს). და განასრულეს მეოცესა წელსა და მეოცდაერთესა წელსა მოკუდა მირიან მეფე, დაემარხა საშუ-



ძელიცხოველის ნაწილი, რომელიც მოიძია მამა გაბრიელმა ტაძრის ჩრდილოეთ სვეტში

ალოსა ეკლესიასა სუეტსა კერძოსა მის სამხრითისასა, ხოლო ჩრდილოით კერძოსა მას სუეტსა შინა არს ნაწილი სუეტისა მის ნათლისა ცხოველისა და მეორესა წელსა მოკუდა სანატრელი ნანა დედოფალი“. („მოქცევაჲ ქართლისაჲ“).



მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედა-
თა მონასტრის არქივში დაცულია ილუმენია
ნინო ციციშვილის წერილი, სადაც იგი ხე-
ლისუფლებას და საზოგადოებას შეახსენებს
სამთავროს მონასტრის სულიერ და ეროვნულ
ფასეულობას და თხოვნით მიმართავს
დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის
შინაგან საქმეთა მინისტრს, გულისხმიერება
გამოიჩინონ ეროვნული სიწმიდისადმი:

„აღნიშნული მონასტერი, როგორც მოგეხ-
სენებათ, არის არა მარტო ქართველ მონაზონ-
თა თავშესაფარი – სავანე, არამედ უძვირფას-
ესი ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლი
საქართველოს ქრისტიანიზაციისა და ამიტომ
მისი სათანადო მოვლა და დაცვა უნდა შეად-
გენდეს არა მხოლოდ წმიდა სარწმუნოებრივ
მიზანს, არამედ დიდს ეროვნულს და სახელმ-
წიფოებრივ საქმეს. აქამდის ქართველ ერს
შეეძლო დამშვიდებულად ყოფილიყო ამ მო-
ნასტრის ბედით, ვინაიდან მის ურყევად დარა-
ჯად იღვანე თვით მონასტრის დანი. მაგრამ
ამჟამად მონასტრის მდგომარეობა იმდენად
შეირყა, რომ იგი დაშლის და დაქსაქსვის
გზაზე დადგა, და მეც ვალად ვრაცხ გავხა-
ლო თქვენი ყურადღების ღირსად მისი ასეთი
მდგომარეობა.

როგორც უკვე წინადაც მოგახსენეთ,
სამი წელიწადია, რაც მონასტერი ირგვლივ
შემოძარცვულია. გლეხებმა ყოველივე სა-
მართლიანობისა და კანონიერების წინააღმ-
დეგ ძალმომრეობით ჩამოართვეს მას მთელი
ქონება, მიწები, ბაღები და შენობები. მას
არ დაუტოვეს თუნდაც ის ნორმა მიწებისა,
რომელიც დაკანონებულია სახელმწიფოს
მიერ ყოველივე იურიდიული ერთეულისათ-
ვის. გარდა რამდენიმე შენობისა შიგ მონ-
ასტერში, სადაც მონაზონნი აფარებენ თავს,
მათ აღარ გააჩნიათ ერთი მტკაველი იმ მი-

წებისა ან ბაღებისა, რომელიც მათი შრო-
მით და ოფლით იყო მოწვეული. ყველაფერი
ეს წართმეულია ძალმომრეობით, სრულიად
უსასყიდლოდ და მონაზონნიც რიცხვით ორ-
მოცი სული უკანასკნელ სახსარს მოკლებ-
ულნი, დღეს პირდაპირ, ყოველივე გაზვიადებ-
ის გარეშე, შიმშილით სიკვდილის კარს არიან
მისულნი, მაგრამ გარდა მონაზონთა, მონას-
ტერი პატრონობს და ზრდის ათს ობოლსა,
რომელთა მშობლებმა თავი დასდეს სამშობ-
ლოსათვის ომის ასპარეზზე. ამათ შესანახ-
ად და გამოსაკვებად მონასტერს აღარაფერი
გააჩნია. მონასტერი გაუქმების წინაშე სდგას
და უკვე დაიწყო კიდევ მისი დაშლა. მთელი
38 წლის განმავლობაში მონასტერი ინახავდა
ოთხკლასიან ქართველ ქალთა პროგიმნაზიას,
მუდამ ეროვნულს, რომელიც ქართველს ერს
უზრდიდა სამაგალითო დედებს, რაზედაც მას
არა ერთხელ მიუღია მადლობა საზოგადოე-
ბისაგან. დღეს, უსახსრობის გამო ეს საგან-
მანათლებლო კერა უკვე დაიხურა. მაგრამ
როგორც მოგახსენეთ, მონასტერსაც დღეს თუ
ხვალ მოვლის დახურვა, ვინაიდან შიმშილი
აიძულებს თავს უშველონ და დაიშალონ;
მონასტერი კი გადაიქცევა იმ წყევლის ადგი-
ლად, სადაც ძველი აღთქმის თქმით „ძღარბნი
დაიბუდებენ“

მოწყალეო მინისტრო! ღვთისა და კაცთ-
მოყვარეობის გულისათვის, ქართველი ერის
წარსული დიდებული სახელით, კიდევ მოგ-
მართავთ, დაიცვათ ეს ისტორიული ღვაწლ-
ითმოსილი შესანიშნავი არქეოლოგიური ნაშ-
თი; ნუ დაუშვებთ, რომ ადგილი, სადაც, ათას
ექვსასი წლის წინეთ ქართველთგანმანათლე-
ბელმა წმიდა ნინომ პირველად დაიდგა კერა
მაყველის ბუჩქნარში, რომლიდანაც შემდეგ
მოეფინა ქრისტიანობის ნათელი უკუნეთში
მყოფ საქართველოს, გადაიქცეს ძღარბთა და
ქვემძრომთა საყოფელად.

გთხოვთ, გასცეთ განკარგულება, რათა მონ-
ასტერს დაუბრუნდეს თავისი საცხოვრებელი
წყარო-ქონება, თუნდაც იმ ნორმით, რომელიც
დაკანონებულია სახელმწიფოს კანონმდებლო-
ბით; ხოლო ვიდრე ეს ქონება დაუბრუნდება
მათ, აღმოუჩინოთ მას ერთდროული დახმარე-
ბა-სუბსიდი, რათა იქ მცხოვრები მონაზვნები
და ობოლნი გადარჩნენ შიმშილით სიკვდილს.
გარდა ქრისტიანული კაცთმოყვარეობისა და
სამართლიანობისა, მონასტრისათვის ეს იქნება
ერთგვარი ანაზღაურება იმ დანაკლისის და
ზარალისა, რომელიც მიაცენეს მას სრულიად
უკანონოდ მისი მზად დამუშავებული მიწების,
ბაღების და სახლების ჩამოართმევით.

მცხეთის წმიდა ნინოს მონასტრის
წინამძღვარი ილუმენია ნინო
1919 წელს 11 ენკენისთვის“



მონივნის აღიქმა
კ ი თ ხ ე ა - მ ი გ ე ბ ა



უკეთო მონივნის წინაშე ღუთისა, გიათხე სიშვიდით
და მძიგე ზუენ ყოვლითა კნძალულებითა:

კითხვა: რაისათვის მონივნის, ძმაო, შეერდით, წმინდასა
ამას მსხვერპლის შეწინებასა და წმინდათა ამით კრებულთა?

მიგება: მხებავს განძირებათ ხათვლსაგან, ბაქთისხანო ძამათ.

კითხვა: ნებთა შენთა ღირს იქმნება ანგელისებნივესა ამას ხახესა
და წესსა გუნდათ მონივნისა?

მიგება: ბე, ღუთისა ძლითა, ბაქთისხანო ძამათ.

წინამძღუარძან: ხლთ რაეჲს ავტინტეიეს კეთილი და სანატრელი ესე
საქმეი, უკეთო გნებავს განსრულებათ კეთილსა საქმისა,
შრომითა, რუდუნებითა და ტკივილითა განსრულებების.

კითხვა: ნებთა გნებთა შენთა მონივნისა წინაშე უფლისა?

მიგება: ბე, ღუთისა ძლითა, ბაქთისხანო ძამათ.

კითხვა: დაფუკე ქალწულებსა შენსა ყოვლითა გნებთა და ხახებთა?

მიგება: ბე, ღუთისა ძლითა, ბაქთისხანო ძამათ.

კითხვა: ცხოვრებასა შინა შენსა ვადრე სიკვდილდე მყოფა

მონივნებასა უფრთხისხისა, და ყოველთა ქრისტეს მიერ ძამათა?

მიგება: ბე, ღუთისა ძლითა, ბაქთისხანო ძამათ.

კითხვა: დათქენა ყოველსა ქეინისხილესა, იწრებებსა, ბოროტთა

მიერ აღძრულსა მხკუარებასა, ხასუფეკელისათვის ცათასა?

მიგება: ბე, ღუთისა ძლითა, ბაქთისხანო ძამათ.